

240
1979/2

ქართული
ბიბლიოთეკა



საქართველოს
სახელმწიფო
ბუფებუბის

ბოგბბბ

XXXIV-B

«ბბბბბბბბ»

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ ИМ. С. Н. ДЖАНАШИА



25/11-82



В Е С Т Н И К
ГОСУДАРСТВЕННОГО МУЗЕЯ ГРУЗИИ
ИМ. АКАД. С. Н. ДЖАНАШИА
XXXIV—V

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1979

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმის

მ ო ა მ ბ ე

XXXIV—B

16945

168

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1979

კ. მარჯის სახ. საგ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

„მოამბის“ წინამდებარე ტომში ქვეყნდება ნაშრომები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის მნიშვნელოვან საკითხებზე. შრომები ძირითადად ემყარება მუზეუმის საფონდო და სხვადასხვა ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების შესწავლას.

ტომს ახლავს კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებები, ასევე მუზეუმის 1977 წ. ქრონიკა.

В «Вестнике» публикуются труды по важнейшим вопросам истории, археологии и этнографии Грузии. Труды в основном составлены в результате изучения богатых фондов и материалов добытых экспедициями Музея.

В «Вестнике» имеются разделы критики и библиографии, дана также хроника Музея 1977 г.

რედაქტორი ლ. ჭილაშვილი
Редактор Л. А. Чилашвили

П. П. ЗАКАРАЯ

К ВОПРОСУ О ВОЗНИКНОВЕНИИ ТИПА БАШНИ С ПИРАМИДАЛЬНО-СТУПЕНЬЧАТОЙ КРОВЛЕЙ

Древние фортификационные сооружения как Грузии, так и других стран мало изучены. Детальное их изучение дает достаточное представление, как о культурном уровне данной страны вообще, так конкретно о развитии строительного искусства.

Грузия в продолжении тысячелетий, защищая свою территорию, упорно отстаивала независимость. А защита территории от нашествий врагов, само-собой, требовала укрепления страны крепостями разного типа и характера. Другой важной причиной воздвижения крепостей служил сам феодальный строй. Во время феодальной раздробленности, когда страна находилась в состоянии «непрерывного и совершенно безцельного опустошения, которое неизменно продолжало существовать в течении всего средневековья»¹, порождалась необходимость увеличения количества и масштаба этих фортификационных сооружений. Грузия имевшая всегда как внешних, так и внутренних врагов, несмотря на свою территориальную малость, строила невероятно большое количество разнообразных сооружений.

Эти памятники только недавно стали объектами фиксации и научного изучения.

В данной статье мы касаемся только лишь одного вопроса, а именно: возникновения типа башни с пирамидально-ступеньчатой кровлей. В 1949 году нам пришлось изучить ансамбль Ананури, где вместе с другими сооружениями находится и башня вышеупомянутого типа².

Ознакомившись с обширной литературой касающейся данного вопроса мы решили в этой статье высказать свое мнение.

Ананурский архитектурный ансамбль находится по нынешней Военно-Грузинской дороге, приблизительно в сорока километрах к севе-

¹ Ф. Энгельс. О разложении феодализма и развитии буржуазии. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, XVI, ч. I, с. 443.

² Архитектурный ансамбль Ананури. Тбилиси, 1953, с. 21—30.

ру от Мцхета (табл. 1). Памятник целиком относится к поздне-феодалной эпохе. Местность эта принадлежала Арагвским Эриставам (эристави — правитель области, буквально — воевода). Резиденция их вообще находилась в Душети, но при неоднократном вторжении врага душетские стройки были разрушены и эристави, как видно, к концу XVII в. резиденцию временно переносят в Ананурский замок.

Находящиеся на территории этого замка постройки не одновременны. Можно установить следующую хронологию возникновения этих памятников: местность эта имела большое стратегическое значение, поэтому на том месте, где идущая с севера по течению реки Арагви, главная дорога поворачивала направо по направлению Шида-Картли (Внутренний Картли), первоначально была воздвигнута караульная башня, которой посвящается эта статья. Затем была построена однонефная церковь «Мкурнали» (вторая половина XVI века или начало XVII века). В связи с усилением феодального дома Арагвских эриставов и осложнением политических условий Грузии, в первой половине, или в середине XVII века на этом месте появляется купольная церковь и громадная крепость, с пятью башнями, водохранилищем и другими подсобными сооружениями. В 1689 году мдиванбег Бардзим строит себе усыпальницу, которая представляет церковь центрально-купольного типа, и она одна из прекраснейших построек позднефеодалной Грузии. В конце XVII или в начале XVIII века крепость расширяется. К северной и восточной части крепости присоединяется громадная территория с оградой и несколькими башнями. Теперь — нижняя крепость превратилась в развалины, а территория ее занята населением, но цитадель, сравнительно в хорошем состоянии.

Башня с пирамидально-ступеньчатой кровлей расположена западнее на расстоянии одного шага от церкви богородицы (построенной в 1689 г.). Как уже отметили, она воздвигнута раньше последней (табл. 2).

Башня в основном четырехэтажная, но первый этаж расположен довольно высоко (свыше трех метров от уровня земли). Таким образом, нижняя часть — глухая масса. Верхнее подкупольное пространство пирамидальной формы, можно считать как пятый этаж (рис. 1).

Вход, находящийся с восточной стороны, перекрытый снаружи и внутри стрельчатой аркой, расположен в первом этаже (рис. 2).

Других деталей в этом этаже нет. Междуэтажное перекрытие башни было на деревянных балках. Теперь остались по три балки на каждом этаже расположенных по направлению с юга на север. Для устройства пола по противоположному направлению вероятно помещались горбыли. Для связи между этажами должно быть, пользовались деревянными лестницами.

Второй и третий этажи в центре, с четырех сторон, имеют по одному небольшому, узкому окну, на четвертом же этаже — широкие окна расположены аналогично. Перекрытие этих окон арочное; только




Рис. 1. Ананури; восточный фасад башни и разрез на восток.

изнутри арки стрельчатой формы, а снаружи — полукруглые; кроме того диаметр арок меньше ширины окон, поэтому арки немного нависают.

По направлению ущелья, на северо-южной оси в верхней части последнего сводчатого этажа, помещены квадратные отверстия, вероятно наблюдательного значения. Такие же, только парные отверстия, имеет четвертый этаж во всех углах.

Поверхность внутренних стен башни была слегка оштукатурена и сохранена по сей день.

Наружные стены башни простые: высокую и стройную пирамидальную массу завершает — карниз с 45°-ным наклоном, а крыша — пирамидальной формы. Эта крыша оригинальна, как по форме, так и по конструкциям.




Рис. 2. Ананури; план башни

Обычно на наклонной плоскости крыши кладут каменные плиты, таким образом, что верхняя плита частично покрывала бы нижнюю и вместе с этим являлась ее продолжением; здесь же, в нашей башне, поверхность крыши делится почти на одинаковые ступеньчатые части, каждая из них покрыта горизонтальными каменными плитами, а выступ настолько велик, что верхняя плита защищает нижнюю вертикальную плиту от атмосферных осадков.

Башня построена бутовым камнем, поэтому снаружи она была оштукатурена, только углы были выведены из тесанных камней (рис. 1). В продолжении веков штукатурка осыпалась и только на восточной стороне сохранились фрагменты, защищенные в продолжении двух с половиной веков воздвигнутой перед ней церковью.

Установить точную дату постройки башни нет возможности, так как нет достаточных данных. Башня не имеет строительной надписи и в исторических документах тоже не сохранилось никаких сведений.

Сравнительно с другими памятниками аналогичного типа, Ананурская башня также не дает исчерпывающего ответа, так как вообще этот тип не изучен, несмотря на то, что этого вопроса касаются многие исследователи.

Несколькоэтажные башни, в плане квадратные с пирамидально-ступеньчатой крышей, распространены только в одном участке с обеих сторон Кавказского хребта. В указанную территорию входят из Грузии — Тушети и Хевсурети, а с севера — территория Чечни и Ингушети.

Все исследователи и даже путешественники касающиеся этих башен, выдвигают вопрос о происхождении данного типа. За неимением сведений в фактических материалах письменных источниках, для решения этого вопроса они прибегают к народному сказанию. Полагаться на этот метод рискованно, т. к. он приводит к совершенно противоположным мнениям. Например: на севере (Чечне и Ингушети) считают, что строителями этих башен являются грузины, тогда как в Грузии говорят наоборот, что строители являются северяне. Ясно, что установить действительность этим путем нельзя.

Первый исследователь этих башен В. Миллер описывает башни Чечни и заключает, что тип этот внесен из соседней Грузии³. В доказательство приводит политическое и культурное влияние Грузии на этот край. Обращает на себя внимание изображение креста на фасадах башен, символа христианства, параллели которой имеются на территории Грузии (как вообще, так и на аналогичных башнях). В труде В. Миллера читаем: «Что касается первоначальных строителей башен, то есть основание думать, что искусство сооружения этих укреплений было внесено в горную Чечню грузинами, оказавшими некогда несомненно культурное влияние на чеченцев, которые отчасти подчинялись им в политическом отношении... Притом изображение крестов и плиты с крестами указывают на строителей-христиан, которыми всего скорее могли быть грузины. Научившись от них, и сами чеченцы могли впоследствии возводить подобные же сооружения, а также поддерживать старые грузинские...»⁴ (подчеркнуто нами, П. З.).

Высказанная в 80-тых годах прошлого столетия эта правильная мысль не была принята археологами Л. Семеновым, работавшим над материальной культурой Чечни и художником-этнографом И. Щеблыкиным. В 20-ых годах текущего столетия они долго работали на территории Чечни и в своих нескольких статьях касаются множества вопросов.

Археолог Л. Семенов касаясь интересующего нас вопроса, в основном, разбирает вопрос о происхождении ступеньчатой крыши⁵.

³ В. Миллер. Терская область, МАК, 1888, вып. I, с. 40, табл. II.

⁴ Там же, с. 40.

⁵ Л. Семенов. Археологические и этнографические разыскания чеченской группы Северо-Кавказских языков. См. Известия Ингушского Научно-исследовательского Института Краеведения, II—III, Владикавказ, 1930, с. 389, 408.

Указанную форму крыши он сопоставляет с изменением форм крыши усыпальниц. Подземные усыпальницы первого периода по археологическим данным он датирует V—IX веками, последующий период содержит надземные усыпальницы, которые встречаются до XIX века, что же касается непосредственно пирамидально-ступенчатых кровель они, по его утверждению встречаются с XV века. Этот последний период — XV—XVI века он и считает периодом возникновения чеченских и ингушских башен.

В конце труда Л. Семенов отмечает ориентировочность упомянутых периодов. Насколько нам известно, автор еще не проделал указанной работы.

Статья указывает на знакомство автора с хевсурскими башнями по литературе, а Ананурскую башню он знает непосредственно. Несмотря на это, автор не делает никаких выводов, он только отмечает ее маленькие размеры по сравнению с ингушскими⁶.

Другой исследователь художник-этнограф И. Щерблыкин специально выделяет и рассматривает боевые башни, в том числе башни с пирамидальной кровлей⁷. Автор знаком с башнями Чечни непосредственно, а хевсурскими по литературе, но убедительных выводов все же не делает.

Существующие в Ингушетии башни И. Щерблыкин датирует по бойницам, временем изобретения огнестрельного оружия. Спорного здесь ничего нет, но когда он касается места возникновения этого типа, то дает непонятный ответ.

В заключении своей статьи автор пишет: «Ближайшими культурными соседями ингушей были грузины, их влияние видно по остаткам церквей. Однако, если грузины являются строителями башен, то почему же подобного типа башен не встречается в Грузии?»

Подобные башни можно наблюдать в Чечне, в Хевсуретии и только одна есть в Ананури... в замке Арагвских Эриставов. Грузинские мастера могли принимать участие в постройке этих башен, но тип и оригинальный стиль башни зародился на территории, принадлежащей чеченцам, ингушам и хевсурам⁸.

У автора нет убедительных документов для такого категорического заявления. Во-первых, он Хевсуретию считает отдельной страной, так как вышеприведенная цитата не допускает возникновения башни этого типа в Грузии, но допускает в Ингушетии, Чечне и Хевсуретии. Таким образом, по Щерблыкину получается, что Хевсуретия не относится к Грузии.

Мы полагаем, что в народе разной культуры и вероисповедания одинаковые архитектурные формы вклю-

⁶ Л. Семенов. указ. раб., с. 381.

⁷ И. П. Щерблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры, см. Известия Ингушского Научно-исследовательского Института Краеведения, Владикавказ, 1928 г., с. 271—281.

⁸ Там же, с. 280.

чающие в себя кресты, символы христианства, не могли возникнуть в одно время. Совершенно очевидно, что такие башни первоначально могли возникнуть только в Грузии.

Этнограф С. Макалатия тоже касается тушинских и хевсурских башен этого типа⁹. Достоверных документов для датировки этих памятников не имеет и он, но констатирует, что раз Грузия влияла на Северный Кавказ, то такие башни возникли в Грузии и уже оттуда перешли на Северный Кавказ.

Наконец, М. Джандиери и Г. Лежава¹⁰ коснулись башен этого типа. В книге они дают чертежи и описание башни сел. Ахиели в Хевсуретии. Вопрос о возникновении они не исследуют, но заключают следующее: «Строителями этой башни ахиелцы (разговор идет о башне селения Ахиели. П. З.) считают ингушей и абсолютная ее идентичность с башнями Ингушии на территории которой они сохранились в значительно большем числе, чем в Хевсуретии, может служить некоторым подтверждением этого предположения»¹¹. Как видно, здесь высказано только предположение, в котором они убеждены.

Этим исчерпываются высказывания в научной литературе об этих башнях (Чертежи и сведения о них встречаем и в других работах, но в данном случае они не имеют существенного значения, поэтому их не приводим¹²).

По существу, ни один из исследователей не дает обоснованного ответа — когда и где, собственно говоря, возник этот тип башен.

Как уже отметили, этот тип башен встречается на территории Грузии в Картли, конкретно в Арагвском ущельи — в Ананури и остальные в Хевсуретии и Тушетии. Из них в литературе известны следующие башни: в Хевсуретии — в сел.: Ахиели, Квирицминда (полуразрушенная), в окрестностях Лебаискари, у Датвисджварского перевала, в окрестностях Гуру и Кистаны; в Тушетии — в сел.: Дартло (две башни), Гиреви, Фарсма и др.

Из перечисленных башен только башня Дартло имеет на перекрытии входа третьего этажа надпись: «Эту крепость построил Брати¹³ сын Хутури»¹⁴. Смысл этой надписи ничего не дает для датировки башни, может быть по палеографическим знакам возможно было бы установить дату построения. Вопрос датировки всех башен в том числе и Ананурской все авторы основывают на существующих в них амб-

⁹ С. Макалатия, Тушетия, Тбилиси, 1933, с. 119—125, рис. 58—62 (на груз. яз.), Хевсуретия, Тбилиси, 1935 (на груз. яз.) и боевые и оборонительные постройки в нагорной Грузии, Тбилиси, 1945 (на груз. яз.).

¹⁰ М. И. Джандиери, Г. И. Лежава. Архитектура горной Грузии, 1940, с. 16—17, таб. X, рис. 20—22 и 45—46.

¹¹ Там же, с. 17.

¹² Радде, Гордеев. Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881, с. 235, таб. X.

¹³ Здесь вероятно подразумевается собственное имя «Баграти».

¹⁴ С. Макалатия. Тушетия, с. 120 (на груз. яз.).

разурах. На самом деле, основываясь на амбразуры которых считают бойницами, ранняя грань построения башни должна быть приурочена к XVI веку, но если другие башни имеют бойницы, то Ананурская башня не снабжена ярко выраженными бойницами. Существующие со всех сторон узкие и высокие отверстия второго и третьего этажа больше похожи на наблюдательные окна, чем на бойницы. Обращают на себя внимание, что нижняя их поверхность горизонтальна, но не наклонна, как это обычно бывает. В тех случаях, когда нет наклона в нижней части отверстия, тогда отверстие делается высокое и перекрытие — ступеньчатое, чтобы сразить врага стоящего около башни¹⁵.


Вообще, боевые элементы на башнях расположены с расчетом наблюдения движения врага при окружении башни. Направление бойниц и машикул давало возможность поражать как подступившего к подножию башни врага, так находящегося поодаль. В башне Ананури этот порядок не соблюден; из существующих отверстий можно поразить только далеко находящегося врага, но близко подступивший — оставался неуязвимым. Хотя на это возможно возразят, что подступившего врага поражали сбрасываемыми камнями из больших окон четвертого этажа. Мы считаем это невозможным, так как, воин сбрасывающий сверху камни, также подвергался обстрелу. Поэтому надо считать, что при применении огнестрельного оружия с таких открытых окон не вели огня. После изобретения огнестрельного оружия в нижней половине, или в целом в наблюдательных больших окнах верхнего этажа башен обычно делались выступающие машикулы (иногда вроде балкончика) и часто в тонких стенах устраивались маленькие отверстия для высовывания оружейного дула, там где не было такого устройства, такие большие наблюдательные окна закрывались при вражеском окружении. Так что окна четвертого этажа Ананурской башни можно было использовать для наблюдения и сбрасывания больших камней без прицела.

Здесь должны отметить то обстоятельство, что на сегодняшний день в изданных и неизданных памятниках этого типа везде на последнем этаже устроены выступающие (отвесные) машикулы, тогда как, в Ананурской башне этого нет.

Основываясь на вышесказанном, можно допустить, что Ананурская башня построена раньше чем стали применять огнестрельное оружие. Утверждать по имеющимся на сегодняшний день материалам это невозможно, так как отверстия второго и третьего этажа могли возникнуть еще в период недостаточного освоения и неполного учета специфики огнестрельного оружия при строительстве крепостей. Получается, что если Ананурская башня построена в указанных условиях, то тем более она должна была возникнуть раньше других.

Доказательством того, что эта башня боевого-караульного типа, а не только боевая, является следующее: расположение этой башни на

¹⁵ П. Закарая, Древние крепости Грузии, 1969, с. 216—219.



возвышенности перекрестка дорог идущих через Душети из внутренней Картли и с севера проходящей по Арагвскому ущелью; ограниченное количество боевых элементов башни; а также, — что последний подкупольный этаж только наблюдательного значения, в верхней ее части с двух сторон имеются отверстия для наблюдения (таких отверстий другие башни не имеют, о чем свидетельствуют изданные чертежи); башня стоит обособленно, она не была связана ни с крепостью ни с другой группой башен.

Датировку Ананурской башни облегчила бы ступеньчатая крыша если бы можно было установить время возникновения этой конструкции. Фасады башни для датировки не имеют ярко выраженных данных. Кладка стен также не характерна для той или иной эпохи. Дверь первого этажа имеет одну деталь, которая в данном случае частично помогает в датировке этой башни. Это стрельчатость формы арочной перемычки. Арки стрельчатой фермы распространены у нас в двух видах: одна высокая и стройная в XII—XIV веках и низкая и широкая позднефеодалной эпохи — в XVI—XVIII веках. В нашем случае нет ярко выраженной формы. Она больше напоминает форму арки первого периода. Если это так, то время возникновения башни намного передвигается вглубь. Но удовлетвориться только этим фактом не приходится, так как основываться только на эту деталь — трудно.

На основании выше не раз высказанных соображений можно допустить, что Ананурская башня воздвигнута раньше башен как тушинских и хевсурских, так и ингушских и чеченских. Для окончательного разрешения данного вопроса потребуются многолетняя всесторонняя фиксация и тщательное изучение всех башен указанного типа расположенных с обеих сторон хребта.

До сих пор речь в основном шла о датировке памятника, что же касается происхождения башен этого типа можно говорить гораздо убедительнее. Во первых, если согласиться с наиболее ранней (XII—XIV вв) датой построения башни, то вопрос будет вполне разрешен, но так как это окончательно не подтверждается данными архитектурного анализа и археологическими материалами, то следует привлечь и другие предположения.

Во первых, должно быть отвергнуто мнение вышеприведенной группы авторов, которые основываясь на ступеньчатости крыши, защищают теорию возникновения этого типа на Северном Кавказе.

Для разрешения этого вопроса они исходят из той позиции, что на Северном Кавказе крыши указанного типа встречаются как на башнях, так и на часовнях и на усыпальницах. На усыпальницах этого рода крыши по их же исследованиям, встречаются на протяжении всего средневековья. В данном случае, они забывают то обстоятельство, что конструктивно такое перекрытие очень несложное, простое и поэтому его применяют во многих других местах. Например, до XIX века в горных районах Грузии (Хевсуретии, Тушети, Хеви, Мтиулети и других местах) еще применялась ступеньчатая крыша в

усыпальницах и часовнях малых размеров¹⁶. Такой конструкцией перекрывают также крепости, как, например, перекрыта нижняя часть Паншетской башни довольно раннего периода, так и большая камера на ограде крепости Сно—позднефеодалного времени, а также другие.

Возникновение такой крыши, мы думаем, в первую очередь должно было произойти на раннем этапе развития строительной техники, особенно в таких местах, где в природе имелись плоские каменные плиты. А указанная часть Грузии, так же как и Северный Кавказ, как видно, богата такой породой камня.

Грузинские мастера, как это хорошо известно, рано освоили строительную технику перекрытия (прекрасные примеры которого имеются уже в первых веках до нашей эры) и вероятно, отстранили примитивный метод ступеньчатого перекрытия. А в указанных горных местностях консервация этого перекрытия была связана в первую очередь с социально-экономическими условиями, замкнутостью этого края и т. д.

Главное в том, что политическое и культурное влияние Грузии на Северный Кавказ, в частности на бывшие территории Ингушию и Чечню признаны всеми теми исследованиями, которые так или иначе касаются этого вопроса, потому мы не будем здесь повторять уже неоднократно сказанного. В этом отношении надо подчеркнуть то обстоятельство, что в средних веках этот край воспринимает христианство именно непосредственно из Грузии. Достоверным доказательством этого в первую очередь являются памятники культового назначения¹⁷. Культовые памятники первого периода непосредственно связаны с грузинскими памятниками (напр. Тхоба-Ерды, Альби-Ерды и др.), а памятники следующего периода в большинстве случаев представляют переработку — упрощение разнообразных грузинских архитектурных форм. Безусловное влияние грузинской культуры на Северный Край, также констатируется этнографией этого края. Грузинские надписи на этой территории имеются не только в церквях и на разных предметах, но даже на арочном камне усыпальницы¹⁸.

Все это доказывает, что грузинская культура, а в частности архитектура, в средних веках своеобразно влияла на прилежащие северные страны и иначе не могло быть при резко отличающемся культурном уровне двух соседних стран. Ясно, что влияние на протяжении такого

¹⁶ С. Макалатия, см. вышеприведенные труды и др.

¹⁷ Н. П. Щелблякин, Архитектура древних ингушских святилищ, см. Известия Ингушского Научно-Исследовательского Института краеведения, II—III, Владикавказ, 1930, с. 411—447, см. также вышеприведенные работы Л. Семенова и его же: Археолог. и этногр. разыскания в Ингушетии в 1925—27 гг., «Известия», этого института, I, с. 187—217; его же, Археол. раз. в Северной Осетии, «Известия» Северо-Осетинского Научно-Исследоват. института, Дзау-джикау, 1948, с. 44—136; а также Е. И. Крупнов, Грузинский храм «Тхоба-Ерды» на Северном Кавказе, см. «Краткие сообщения» ЦИМК, 1947г. вып. XV, с. 116—125.

¹⁸ Л. Семенов. Архитектура древних Ингушских святилищ, «Известия» ВНИИ, II—III, Владикавказ, 1930, с. 377.

большого промежутка времени было не в одинаковой степени, оно в действительности должно было меняться в соответствии с политическими и экономическими условиями.

Правда, на рассматриваемых крепостях и башнях не имеется надписей, объясняющих многие нас интересующие вопросы, но достаточно увидеть здесь распространенные виды укрепления, чтобы убедиться в очевидности места их происхождения. Они не имеют аналогии в других странах и распространены только в Грузии и отчасти в других областях, находящихся на Кавказских горах (то же можно сказать о культовых сооружениях и сооружениях другого назначения), но и то ясно, что архитектура этих областей находится в такой же зависимости от Грузии.

Наконец, если подытожим вышесказанное, можно утверждать, что на сегодняшний день нет надобности ставить вопрос о месте происхождения башни с пирамидально-ступеньчатой крышей. Конечно, местом возникновения может быть лишь Грузия. Что же касается того, которая из грузинских башен является древнейшей — это покажут будущие поиски и исследования.

Если даже не касаться отдельно стоящих башен или крепостей, которые распространены на территории всей Грузии и обследовать только интересующую нас территорию, мы увидим, что кроме башен с пирамидальной кровлей, имеется множество других типов. Грузинские мастера не удовлетворялись созданием башен только этих форм. Они, как указывают сохранившиеся памятники, повседневно создавали все более совершенные образы, используя современную им технику.

Таким образом, пшавские и хевсурские башни рассмотренного типа с пирамидально-ступеньчатой крышей один, но не единственный из видов существующих в Грузии фортификационных сооружений.

8. ჯალაბაძე

სათოხნ-საჩიროანი იარაღის ძირითადი ტიპები და მათი გავრცელება საქართველოში

საქართველოს ბუნებრივმა გეოგრაფიულმა გარემომ გარკვეულად განაპირობა მიწათმოქმედებაში ხელით სამუშაო იარაღების ნაირსახეობის ჩამოყალიბება. როგორც მთაში, ისე ბარში ხელით სამუშაო იარაღების მრავალი ტიპი იყო გავრცელებული. ყველაზე მარტივი სახის სამიწათმოქმედო იარაღად ჯერჯერობით მარგილია; მარგილი სწორი და წვერწამახვილებული ჯოხია, რომელსაც იყენებდნენ მიწიდან ბოლქვების ამოსაყრელად. მასვე ხმარობდნენ მიწაში ხახვის, ნიორის, ლობიოს და სიმინდის დასაბუნდად. ამავე და უფრო მეტი დანიშნულებით იყენებდნენ ჩეკს, რომელსაც განსხვავებით მარგილისაგან ან ხისავე ბრტყელი სამუშაო პირი ჰქონდა, ან რკინის. ჩეკით ხნულში ბელტებს აფხვიერებდნენ, ხოლო პურის ყანებში სარეველა ბალახის ამოსაძირკვად იყენებდნენ. ანალოგიური დანიშნულების იარაღს რაჭაში სარეკი ეწოდება, ხოლო ივრის ხეობაში სანარი. მსგავს იარაღს სვანეთში შუბისებური რკინის წვერი გააჩნდა და მას „წამ“ ეწოდებოდა.

მემინდვრეობაში ფართო გამოყენება ჰქონდა მერულს, რომელიც ხის ორკაბა ჯოხს წარმოადგენდა. მერულის საშუალებით ხდებოდა ნათიბის ან ნამკალის შეგროვება, მერულითვე ასუფთავებდნენ გაკაფული ტყის მასივს, აფხვიერებდნენ აგრეთვე საბოსტნე ნაკვეთებს. ზოგჯერ მერულს წვერებზე სიმაგრისათვის ხარის რქებს წამოაგებდნენ. მერული გავრცელებული იყო მთელ დასავლეთ საქართველოში, როგორც XIX ისე XX სს-ში.


ძელბარის ხის ფიცრისაგან გამოთლილი მიწის სათხრელი იარაღი იყო, რომელსაც ფართო გავრცელება ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ძელბარისათვის არჩევდნენ მაგარი ხის ჯიშს — აკაციას, იფანს, მუხას. დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში ძელბარით ბარავდნენ მიწას. ხალხის რწმენით, ვენახს ხშირად არ ჰირდებოდა ბარვა, დაბარვა კი ჯობდა ბლაგვირიანი იარაღით, რათა ვაზის ფესვი არ დაზიანებულიყო. ძელბარის ტიპის იარაღს ქართლში ბარულას უწოდებდნენ, იგი უმთავრესად ქართლის დასავლეთ რაიონებში იყო გავრცელებული.

ლითონისაგან დამზადებული უძველესი იარაღებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს სეგმენტური იარაღები და თოხები. თოხი პირველი სამიწათმოქმედო უნივერსალური იარაღი იყო, რომლითაც შეიძლებოდა მიწის, როგორც პირველადი ისე მეორადი დამუშავება. თოხით წარმოებულ საქმიანობა დამჯარი მეურნეობის პირველი პირობა იყო. დასავლეთ საქართველოში თოხი ძველთაგანვე იქცა მემინდვრეობის ძირითად და წამყვან იარაღად. თოხის ადრეული ტიპების მასალა ხე და ქვა უნდა ყოფილიყო. ხის თოხებს გვიანდლამდე

ხმარობდნენ იმერეთსა და სამეგრელოში, ქვემო სვანეთსა და ლეჩხუმში. ხის თოხები უმზადდებოდა ბზის, მუხისა და აკაციის. ს. მაკალათის ცნობით, ანალოგიური მდგომარეობა ყოფილა სამეგრელოში, იქაც — „ლონს თესავდნენ და თოხნიდნენ თურმე პატარა თოხით, რომელსაც „ჩენგს“ უწოდებდნენ. ხმარობდნენ აგრეთვე ბზისაგან გაკეთებულ თოხებს“¹. სამეგრელოში გავრცელებული „ჩენგის“ სამუშაო პირი, როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, ოთხი თითის სიგანე ყოფილა, რაც ზომაში 8,5—9 სმ უდრიდა და ზედმიწევნით ემთხვეოდა ბრინჯაოს თოხების სამუშაო პირის ზომებს. ი. აჯინჯალის სავარაუდო მოსაზრებით, ხის თოხებს იყენებდნენ აგრეთვე აფხაზეთის მემინდვრობაში².

ხის თოხებს და ხის ბარებს ხმარობდნენ დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონში: იმერეთში, ლეჩხუმში, რაჭაში, ქვემო სვანეთსა და გურიაში. მათი გამოყენება ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ივარაუდება 1900-იან წლებამდე.

საქართველოში ხელით სამუშაო სამეურნეო იარაღებიდან მრავალფეროვნებით გამოირჩევა თოხები. თოხების ნაირსახეობა დგინდება ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ამას ადასტურებს ბრინჯაოს თოხების არა ერთი აღმოჩენა³. ბრინჯაოს ხანიდანვე შეიმჩნევა ძირითადი და განსაკუთრებული დანიშნულებით



სურ. 1. იმერეთში აღმოჩენილი სპილენძ-ბრინჯაოს თოხები.

¹ ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 185.
² И. А. Аджинджали. Из этнографии Абхазии, 1969, с. 334.
³ ოთ. ჯაფარიძე, მაშათმოქმედებას იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49; ნ. რეხვიასვილი, მჭედლობა რაჭაში, 1952; G. Citaia, Hackbau im Westlichen Georgien (Kolchis), Agrar ethnografie, Brl. 1957; დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, 1965; ოთ. ლომსაძე, თხმრის განძი, 1963; გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), 1962; გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამი წათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960, და სხვ.

ქ. შარტავის ს. ხ. სიჭ. სსრ



ბის თოხის ტიპები, რომელთაგან პრიორიტეტი იმთავითვე მხრებდაშეველებული თოხებს ენიჭება. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ციხისძირში ნახული თოხები (საქ. სახ. მუზ. კოლექცია № 93—07/7; № 93—07/23; № 93—07/24). ციხისძირის თოხები ხასიათდება: მხრებდაქნილობით, გორდა პირითა და ფართო სატარე ხერვლით (სამუშაო ზომებია 9,5×11,5 სმ).

ციხისძირის თოხებში თუ პირის სიფართოე სიმაღლეს 3—4 სმ-ით აღემატება, კურზუ გურძემის ბრინჯაოს თოხები სულ სხვა მოყვანილობისაა, მათი ზომების შეფარდება პირიქითაა — სიმაღლე აღემატება სიფართოს, 3—4 სმ-ით⁴. ეს სხვაობა თოხების სხვადასხვა ფუნქციიდან უნდა გამომდინარეობდეს, შესაძლებელია მაღალი და ვიწროპირიანი თოხები ღომის და ფეტვის გამოსამარგლი დანიშნულებით იყო ხმარებული. არქეოლოგი ნ. კილაძე, მიიჩნევს რა ფეტვს ერთ-ერთ უძველეს მარცვლეულ კულტურად, აღნიშნავს, რომ საგვარჯილეს კლდის გამოქვაბულში ნახული რქის თოხები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ტანითა და წაგრძელებული სამუშაო წვერით, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ფეტვის მოვლა-მოყვანასთან⁵. საგვარჯილეს რქის თოხებთან ბრინჯაოს თოხებს მართალია მსგავსება არა აქვთ, მაგრამ კურზუ გურძემის ბრინჯაოს თოხების ტანის და სამუშაო პირის ფარდობის თავისებურება უთუოდ იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ თოხებით ფეტვის ყანები მუშავდებოდა. ამავე დანიშნულების უნდა იყოს საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცული ბრინჯაოს თოხი № 12—37, სოფელ ორბელიდან (ლეჩხუმი) ჩამოტანილი და ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული თოხი (საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია № 62—39/51). ამ თოხის შვეტი ტანი სამუშაო პირისაკენ ოდნავ განზიდულია, რაც მუშაობას მოსახერხებელს ხდის (მისი სიგრძე 15 სმ, სამუშაო პირის სიგანე — 11 სმ). იგი ფეტვის დასამუშავებელი თოხია.


ციხისძირის ბრინჯაოს თოხები უფრო სამინდვრე სამუშაო იარაღებია. კურზუ გურძემის და ორბელის თოხებში თოხის ტანის სიშვეტეა შესამჩნევი, რაც შეიძლება იმით იყო გამოწვეული, რომ შვეტტანიანი თოხებით მიწის თხრის, მარცვლის დაფარვა-მარგვლის გარდა, უნდა ეწარმოებინათ მოახობული მიწის პირველადი დამუშავებაც. ახალ მოახობულ მიწაში კი უხვად იყო შერჩენილი ხის ფესვები და ძირკვები. ამ სამუშაოს შედარებით მძიმე და მარჯვე მოსახმარი იარაღი ესაჭიროებოდა. ალბათ ამის დანიშნულებით გამოიყენებოდა ძევრში, თელოვანში, ხიზაბავრაში, თერეგვანში, ზენითში, ბუგეულსა⁶ და თხმორში⁷ აღმოჩენილი ბრინჯაოს თოხები.

ბრინჯაოს ხანის კოლხური თოხებიდან არქეოლოგი დ. ქორიძე ორ ძირითად ტიპს გამოყოფს, მეორე ტიპიდან კი სამ ძირითად სახეობას. პირველ ტიპად მას მიაჩნია სამკუთხა პირიანი და სწორტანიანი თოხები⁸, რომელსაც არ-

⁴ გ. ე ლ ი ა ვ ა, ქყონდილი — მარტვილი, 1962, გვ. 82.
⁵ Н. К и л а д з е. Многослойный археологический памятник, «Сагварджиლე» საქ. მეცნ. აკად. შობზე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 565.
⁶ დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965, გვ. 32, 77, 85.
⁷ თ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე, თხმორის განძი, თბ., 1963, გვ. 16.
⁸ დ. ქ ო რ ი ძ ე, კოლხური კულტურისათვის, 1965, გვ. 80.

ქეოლოგი ოთ. ჯაფარიძე გულის ფორმის თოხებს უწოდებს⁹. აღნიშნული თოხები (ურეკიდან, მეღეჭედურიდან, ზენითიდან), დ. ქორიძის აზრით, გამოყენებოდა ნიადაგის პირველადი დამუშავებისათვის¹⁰. დ. ქორიძემ ამ ტიპის თოხებს მათი ფუნქციის შესაბამისად ბართოხა უწოდა. მეორე ტიპის თოხებში მოაქცია მხრებდაქნილი გორდაპირიანი თოხების წყება (თერეგვანიდან, ზენითიდან, ოჯოლაღან, ბეგეულიდან, გუთურიდან, ციხისძირიდან, კოდისწყაროდან, შუახვევიდან და სხვ.), რომელთაც ახასიათებთ აგრეთვე ფართო პირი და წელში მოხრილობა¹¹.

ციხისძირის ბრინჯაოს თოხები შემოწერილობით ახლო დგანან აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ნ. რეხვიაშვილის მიერ დამოწმებულ და შესწავლილ აჩა თოხებთან¹², იმერულ და სვანურ კეკო თოხებთან¹³. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში მხრებდაქნილი თოხი დომინირებს. აღსანიშნავია, რომ ბრინჯაოს ხანამდე მხრებდაქნილმა დასავლურ-ქართულმა თოხებმა საკმაოდ უზვად შემოაღწიეს აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში: ზნაურში, თერეგვანში, ასპინძაში და სხვაგან. შუა ბრინჯაოს ხანაში კოლხური სამიწათმოქმედო იარაღების კულტურა ფართო ასპარეზზე გადის.



სურ. 2. იმერეთში გავრცელებული ხელით სამუშაო იარაღები.

იმერული მხრებდაქნილი თოხის ტიპი, რომლის წინაპარი ბრინჯაოს მხრებდაქნილი თოხია, დღემდე უცვლელად ინარჩუნებს თავის ფორმას. ამ ტიპის თოხი აღმოსავლეთ საქართველოში იწოდებოდა იმერულ თოხად.

⁹ ოთ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 189.

¹⁰ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

¹¹ იქვე, გვ. 82—83.

¹² ნ. რეხვიაშვილი, რკინის სამეურნეო იარაღები აფხაზეთიდან, მმ, XIX—XX; 1957, გვ. 321.

¹³ იქვე, გვ. 322. ნ. რეხვიაშვილის ნაშრომში მოცემული არ არის იარაღების ანაზომები, აქვე დამაჯერებლად არ გამოიყურება თოხის სახელის „აჩას“ ახსნა „აჩაღან“. ნ. ჯანაშვიის აფხაზურ ქართულ ლექსიკონში აჩა, თოხს კი არა, მწყერს ნიშნავს.

დასავლეთ საქართველოში თოხების მრავალსახეობა ჩამოყალიბდა. ბრინჯაოს ხანაშივე შეიქმნა სეგმენტური იარაღები, რომელთაც ტარსაგვები¹⁴ არ გააჩნიათ და ბოლოვდებიან ბრტყელი ყუნწებით. სეგმენტური იარაღები ფორმის მიხედვით თოხის ტიპებს იმეორებენ, რაც რამდენადმე ამ იარაღებს თოხის ფუნქციების მატარებლად გვევარაუდებინებს. ჩვენთვის ცნობილია ამ იარაღებთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებები (გ. ნიორაძე, ბ. კუფტინა, ოთ. ფაჯარიძე და სხვები), ერთნი ტყავის დასამუშავებლად მოიხსენივენ, მეორენი ბარის ტიპის იარაღად და სხვ. ჩვენი დაკვირვებით გამოირიცხული არ არის, რომ ისინი გამოყენებული იყო სახნისის დანიშნულებითაც.

დასავლურ-ქართულ კულტურაში თოხების ძირითად მწარმოებელ კერად აღიარებულია ჭოროხის აუზი¹⁴, საიდანაც იგი სხვადასხვა განშტოებებით ვრცელდებოდა. აქედანვე უნდა გავრცელებულიყო სეგმენტური იარაღებიც, მაგრამ, როგორც ჩანს, მსგავსი იარაღების წარმოების ცენტრები გვიანი ბრინჯაოს ხანისათვის სხვაგანაც უნდა წარმოქმნილიყო. ამის მოთხოვნილებას ამ პერიოდისათვის აყენებდა თვით სამიწათმოქმედო კულტურის აღმავლობა. არგონავტების თქმულებაში მოხსენიებული სპილენძის ჩლიქებიანი ხარები და ფოლადის გუთანის¹⁵ უნდა წარმოადგენდეს კოლხეთის მთიანი ზოლის სამეურნეო იარაღს, რომელიც თოხურ მეურნეობასთან ერთად ქმნიდა მდიდარ სამიწათმოქმედო კულტურას. თუ ჰომეროსის ეპოსი ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში შეიქმნა, ცხადია არგონავტების თქმულება უფრო ადრინდელ ხანას ასახავს. საგულისხმო კი აქ ის არის, რომ სახენელის გამწვევ ძალად დანალული ხარები გამოუყენებიათ, ხოლო თვით სახენელი ლითონისა ყოფილა¹⁶.

ამ თქმულებიდან შესაძლებელია რაღაც მცირე ნაწილი მაინც სიმართლეს ასახავდეს და მთელი სახენელი თუ არა, აღნიშნულ პერიოდში სახნისი მაინც რკინისა ვიგულოთ. ამ მოსაზრებას, გარდა არგონავტების თქმულებისა, მხარს უჭერს აღმოსავლეთ საქართველოს და საერთოდ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ამ დროისათვის ისეთი ძლიერი სამეურნეო იარაღის არსებობა, როგორიც იყო სალენწი კვერი (მინგჩაური, ახტალა, სამთავრო, ხოვლე) კვერით ლეწვა არც დასავლეთ საქართველოსათვის უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის უცხო სამეურნეო საქმე. გვიანდლამდე სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში ხორბლეულს კვერით ლეწავდნენ.

დასავლეთ საქართველოში, როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს ხანაშივე გვაქვს თოხების მრავალსახეობა. რკინის ხანაში ეს მრავალსახეობა ერთგვარად კლებულობს და ფორმები დაკნინებასაც კი განიცდის; სამაგიეროდ იზრდება თოხის მოცულობა, ფრთები განზეა გაზიდული, შენარჩუნებულია სატარე ნაჩერეტის ფორმა. ასეთებია მაგ., ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული № 1159 ა და № 11598 რკინის თოხები. დასახელებული ფორმები მეტად ორიგინალურია, იგი რამდენადმე მოგვაგონებს სამეგრელოში კურხუში, კიწიაში, ნახუნაოსა¹⁷ და ქართლში გამდლიწყაროში¹⁸, აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ ქუთაისიდანვე წაღე-

¹⁴ საქართველოს არქეოლოგია, გვ. 147.

¹⁵ აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 214.

¹⁶ იქვე, გვ. 15.

¹⁷ გ. ე ლ ი ა ვ ა, ჭყონდიდი-მარტვილი, გვ. 87.

¹⁸ დ. ქ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 34.



ბული ბრინჯაოს სეგმენტურ იარაღებს (მოსკოვის სახელმწიფო ისტ. მუზ. კოლექცია № 34/3 № 75702/6; № 75702/7; № 75702/1,4).

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცული № 1159 რკინის თოხის სიგანე 23, სიმაღლე სატარემდე — 7,5, ხოლო სატარე ნაჩვრეტის დიამეტრი 3 სმ-ია. სატარე ზურგიდან სახვრეტის დარტყმით არის გამოჩვრეტილი, ამის გამო სატარეს მიდამო შიგნით არის შემოზნექილი და ასევე დატოვებული. აღნიშნული თოხის ერთგვარი პარალელი სატარე ყუის გამოკლებით ეთნოგრაფიულ ყოფაში ისევ იმერეთში მოიძებნება¹⁹. როგორც აღვნიშნეთ, რკინის ხანაში თვით თოხების მრავალსახეობა კლებულობს, სამაგიეროდ პარალელურად იზრდება სახვნელთა მრავალსახეობა და ხელით სამუშაო სხვა სახის იარაღები. ასეთებად მიგვაჩნია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული სამეურნეო იარაღები, რომელნიც საინვენტარო დავთარში სახნისებად არის გატარებული. მაგ., ქუთაისის მუზეუმის კოლექცია № 809 ა სახნისს, ტარსაგები სახნისის ყუასავით აქვს გაშლილი, ტარსაგებთან სიგანე 4,5 სმ-ია, სიგანე — 32 სმ. სამუშაო პირი სოლისებური ფორმისაა — სიგრძით 21 სმ, საჭრისის პირთან სიგანე 9,5 სმ-ია. ფორმით ანალოგიურია რკინის სახნისი № 209 აბ, იგი პირველისაგან მოცულობით განსხვავდება. ეს უკანასკნელი უფრო განიერია. ამ იარაღებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი მსუბუქი სახვნელისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული; შესაძლებელია ხელსახვნელის მოვალეობას ასრულებდნენ. ამ სახნისების მსგავსია აგრეთვე ქუთაისის მუზეუმის კოლექცია № 2324 — რკინის სახნისი, რომლის სიგრძე 32 სმ-ია, ხოლო აქედან სატარეს სიგრძე 18 სმ უდრის. სატარეს მოყვანილობა კონუსური ფორმისაა, დასაგებ პირთან მისი ზომა 7×3 სმ-ზე. ასეთი ტარსაგები მოწყობილობით მხოლოდ ხელსახვნელი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ იარაღით მუშაობა ისევე უნდა წარმართულიყო, როგორც ბართოხით მუშაობის დროს, ე. ი. რკინის სახნისს დაუგებდნენ 90° მოხრილ ხის ტოტს და მიწას დაამუშავებდნენ თოხით მუშაობის მსგავსი მოქმედებით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სახნისით მიწის ღრმად დამუშავებაც შეიძლებოდა; იგი უფრო მოხერხებული იყო ახალ ნატეხებში. ანალოგიური სახნისი თოხის სახელწოდებით დაცულია ლენინგრადის საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კოლ. № 998—86), რომლის სიგრძე 16,5 სმ-ია, ტარსაგები ისევ აქვს მოწყობილი როგორც ზემოთ აღწერილი ქუთაისის მუზეუმის კოლექციის სახნისებს, ე. ი. კონუსური ფორმით, პირგაშლილი. პირის სიგრძე 9 სმ, ხოლო სამუშაო პირის სიგანე 6,5 სმ-ია. ეს ნივთი თერგის აუზიდან ყოფილა ჩატანილი და მუზეუმის დავთარში გატარებულია „კაპეს“ სახელით. დავთარში პითითებული არ არის კონკრეტულად რომელი პუნქტიდან არის იგი წაღებული. სახნისს თოხის ფუნქცია უნდა დაკისრებოდა ტყიანი რაიონების საახო სამუშაოებთან დაკავშირებით. თერგის ხეობა უხვტყიანი და მას 90° მოხრილი ტარის დაგების მერე იყენებდნენ, როგორც ხელსახვნელ იარაღს.

აღნიშნული ხელსახნისები თუ ხელსახვნელები, როგორც ჩანს, შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრებია და მათი ადგილმდებარეობა დაუდგენელია, ისევე, როგორც არ არის განსაზღვრული მათი ასაკი. თუმცა მათი ფორმების მიხედვით ეჭვი არაა, რომ ისინი გამოყენებაში უნდა ყოფილიყო გვიანბრინჯაოს ხანაში.

¹⁹ ნ. რეხვიასვილი, მკვდლობა რაქაში, გვ. 120.

ეთნოგრაფიულ ყოფაში დასავლეთ საქართველოში თოხების რამდენიმე სახეობა მოწმდება: ერთი მათგანია იმერული კეკო თოხი, რომელიც ფორმით ბრინჯაოს ხანის მხრებდაქნილი თოხების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. ამ ტიპის თოხები ღომის სამარგლად იყო გამოყენებული. იგი კეკო თოხის სახელით გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში, მათ შორის სამეგრელოშიც. სამეგრელოში იმერეთიდან თოხის ერთ-ერთი სახეობაც გადიოდა, რომელსაც ჩუნეშურს უწოდებდნენ. გ. ელიავას ცნობით, თოხის ეს ტიპი სამეგრელოში იმერეთის სოფელ ჩუნეშიდან გავრცელებულა; მისთვის დამახასიათებელია საკმაოდ დიდი ზომები — 16×22 სმ, ყუაკობულიანია, აქვს მრგვალი სატარე ნახვრეტი. დაგებული ჰქონია 150 სმ სიგრძის ტარი²⁰.

აღმოსავლეთ საქართველოში მას იმერულ თოხს უწოდებენ, კახეთში, სახელდობრ ქიზიყში, დაფიქსირდა იმერული თოხის მეორე სახელი ბამბის თოხი. როგორც ჩანს, ამ ფორმის თოხს ძირითადად ნიადაგის მეორადი დაჟუშავებისათვის იყენებდნენ. თუ ფეტვი და ღომი საქართველოში მარცვლეულთა შორის უძველეს კულტურად უნდა ჩაითვალოს, მაშინ მხრებდაქნილი თოხები ამ კულტურათა თანმყოფ იარაღებად შეიძლება მივიჩნიოთ.

თუ გავიზიარებთ დ. ქორიძის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას, რომ II ათასეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დასაწყისში „შიდა ქართლის დიდი ნაწილზე დიდი მოზღვაგებაა დასავლურ-ქართული კულტურის ელემენტებისა“²¹, მაშინ მიზეზიც სამეურნეო კულტურაში მომხდარ ცვლილებებში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, ამ დროისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ფართო განვითარების გზაზე იდგა სარწყავი მიწათმოქმედება. ეს კი მიწათმოქმედების მრავალდარგოვანს ხდიდა და დიდ მოთხოვნილებას აყენებდა ნაირსახოვან ხელით სამუშაო იარაღებზე.

ქართველ არქეოლოგებს შუაბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ საქართველოსთვის მიაჩნიათ სამიწათმოქმედო იარაღების ერთგვარი პროგრესის ხანად. არქეოლოგი ი. კიკვიძე ვარაუდობს, რომ ეს პერიოდი აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მიწათმოქმედებისათვის კვლავ ათვისების ხანა იყო²². თუ ეს მოსაზრება გამართლებულია, მაშინ ბარის ხელახალი ათვისების პერიოდში ძირითადი სამეურნეო კულტურა ფეტვი და ქერი უნდა ყოფილიყო. მარცვლეულის ეს ორი სახეობა ახალნატეხი მიწების ათვისებისათვის უფრო ხელსაყრელსა და უხვმოსავლიანს წარმოადგენდა. ქერი და ფეტვი კარგად იტანდა ახალნატეხ ნოყიერ ნიადაგს, რასაც პურეულის სხვა ჯიშები ვერ ეგუებოდნენ. ფეტვი ამავე დროს თოხით მუშაობის აუცილებლობასაც აყენებდა.

მხრებდახრილი თოხის ფორმა გავრცელებული იყო აფხაზეთსა²³ და ჩერქეზეთშიც. ჩერქეზული კეკოსმაგვარი თოხი, რომელსაც იქ „წუან“ ეწოდებოდა ყუიანად სიმაღლეში 17 სმ-ია, კიდიდან კიდემდე კი — 25,5 სმ. ეს თოხი მაიკოპშია სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული, ჩამოტანილია სოფ. პანახესიდან 1957 წელს. (სამწუხაროდ, უნომროა). მისი

²⁰ გ. ელიავა, თოხების ნაირსახეობა აღმოსავლეთ სამეგრელოს სინამდვილიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 34, 1974, გვ. 46.

²¹ დ. ქორიძე, დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები“, „ძეგლის მეგობარი“, № 15, 1968, გვ. 40.

²² ი. კიკვიძე, მორწყვა ძველ საქართველოში, 1963, გვ. 33.


²³ И. А. Аджинджали, Из этнографии Абхазии, Сухуми, 1969, с. 326.

ფორმა მხრებდაქნილია, პირი გორდა და ოვალურია. ერთი ასეთი თოხის ყუა ადიღედან დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (კოლ. № 28—58/3). თოხის ამ ტიპის ორიგინალობა ყუის მიხედვით მყლავნდება, საერთო ფორმით კი იგი კეკო თოხს წააგავს. ისე როგორც მთელ საქართველოში, ჩერქეზეთშიც ფეტვი წამყვანი კულტურა იყო. შესაძლებელია ფეტვის დამუშავებამ თოხის ამ ტიპის განვითარებას შეუწყო ხელი.

კეკო თოხის ტიპს ანუ მხრებდაქნილ თოხს თავისი სახესხვაობები გააჩნია, რომლებიც მეტნაკლებად ერთიმეორისაგან განირჩევიან ყუით, სამუშაო პირის ფორმა-მოყვანილობით და ფუნქციით. ერთი ამათგანია თრიალეთური თოხი, რომელიც ძირითადად გავრცელებულია თეთრი წყაროს რაიონში. თრიალეთური თოხი ხასიათდება ვიწრო სქელი პირით, მაღალი და ვიწრო ცულისებური ტარსაგები ყუით. ერთი შეხედვით აქაური თოხის გარჩევა ხელეჩოსაგან ძნელდება კიდეც. თრიალეთური თოხი ძალზე წააგავს კასტელის (XVII ს.) ჩახატულ თოხებს. კასტელის სურათზე წარმოდგენილია კათოლიკე მისიონერები არგვეთში, აქვე მოცემულია სიუჟეტი „გლეხები მუშაობის შემდეგ“. გლეხებს ეჩოსმაგვარი თოხები აქვთ. ამგვარ თოხებს იმერეთში ეჩოლა თოხი ეწოდებოდა. მსგავსი თოხები სამეგრელოში „დიხაში ეჩვას“ სახელით იყო ცნობილი და გავრცელებული. ქართლელი მჭედლის ცნობით, ხელეჩოსნაირ თოხებს სპეციალურად მთიელთათვის ამზადებდნენ, რადგან მთაში ამგვარ თოხებს ახოს აღების საქმეში დიდი გამოყენება ჰქონია. თოხის ეს სახეობა ხასიათდება მძიმე ყუით და ვიწრო მჭრელი სამუშაო პირით. ამ იარაღის საშუალებით ადვილად ამუშავებდნენ ახალ ნატეხ მიწებს, ადვილად ახდენდნენ შემორჩენილი ფესვების ამოთლა-ამოყრას, ე. ი. ის ასრულებდა როგორც თოხის, ისე წერაქვისა და ცულის ფუნქციას. ამ ტიპის იარაღებს ახლა საქართველოში აღარავინ ამზადებს.

ხელით სამუშაო იარაღების გარკვეული სახეობაა ქარჩი, რომელიც ძირითადად მთის ზოლში გამოიყენებოდა. ქარჩით წარმოებდა ახოდ ნატეხი და მთის ტყე-ბუჩქიანი მიწების პირველადი დამუშავება (იხ. საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია № 28—45/63; № 28—45/3; № 21—48/2; № 1—48/3 და სხვ.). ქარჩი რკინისაა, რომელსაც აქვს მსხვილი სატარე (ტაბ. 11-13), ვიწრო ტანი და სქელი პირი. ქარჩის სიმაღლე 15—25 სმ არ აღემატება, ხოლო სამუშაო პირის სიგანე 5—10 სმ შორის მერყეობს. ქარჩი ოდნავ შიგნითაა მოხრილ-მოქანდული. ველზე შეკრებილი მასალით ირკვევა, რომ ქარჩი ტარის გაწყობის მიხედვით ორი სახის ყოფილა ხმარებაში. ერთს სატარე თოხისებურად ჰქონდა მოწყობილი, ხოლო მეორეს სახნისისებურად. ერთს სწორი ტარი ეგებოდა, მეორეს კი 90° მოხრილი ჯოხი. ტარსაგების მეორე ფორმა ძალზე ძველია. იგი გვხვდება, როგორც ეთნოგრაფიულ ყოფაში, ისე არქეოლოგიურ განათხარ მასალებში (ქუთაისის მუზეუმის და ქორეთის სასკოლო მუზეუმის ფონდები). ქარჩები სახნისისებური ტარსაგებით უხვად იბოვება აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის კომუნთის განათხარ მასალებში (მოსკოვის ისტორ. მუზეუმის კოლ. № 25276). სახნისისებური ტარსაგებიანი ქარჩები უკანასკნელ ხანებში ძირითადად გავრცელებული იყო: ქსნის, მეჯუღის და პატარა ლიხვის ხეობებში. ბარელი მჭედლები ამ იარაღს მთიელ მეურნეთათვის ამზადებდნენ. როგორც ჩანს, მსგავსი იარაღი სამეგრელოშიც უხმარიათ.

გარდა ქარჩისა საახოო სისტემაში გამოყენებული იყო წერაქვი, ცულ-



სურ. 3. ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღების ძირითადი ტიპები საქართველოში



წერაქვი (ფშავი), ცულქარჩი, თოხწერაქვი (რაჭა), ბართოხა (ქართლი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, იმერეთი), ჩენგი (სამეგრელო).

ცულქარჩი კომბინირებული იარაღია. აღნაგობით წერაქვს წააგავს, სამუშაო მხარე ცულს წარმოადგენს, ხოლო მეორე წვერიან სათხრელს. ცულქარჩის ტიპის სამეურნეო იარაღის გავრცელება მთის ტყიანი რაიონის მოსახლეობაზე მოდის. მსგავსი სამეურნეო იარაღის ტიპს განეკუთვნება დმანისის რაიონში ნაპოვნი ბრინჯაოს ნისკარტიანი ცული²⁴, რომელსაც, განსხვავებით ფშაურ ცულ-ქარჩისაგან, ყუაზე აზის კონუსური ფორმის ნისკარტი. დასახელებული ცულის ნისკარტი შესაძლებელია იგივე მოვალეობას ასრულებდა, რასაც ფშაური ცულ-ქარჩის ყუაზე დასმული, ოღნავ წაბრტყელებული ქარჩის პირი.

ახოს საქმეში იყენებდნენ აგრეთვე ბართოხს. ბართოხი შედგება ბარისა და 90° მოხრილი ტარისაგან. ბარი რკინის ჩვეულებრივი სამეურნეო იარაღია. თუ მას 90° მოხრილ ხის ტარს დაუვებდნენ, მაშინ იგი თოხის ფუნქციის შემსრულებელი ხდებოდა. გავრცელებული იყო თუშეთში, ფშავში, ხევსურეთში, ქართლის მთიანეთში.

საქართველოს მთის ზოლში, განსაკუთრებით ხევში, სხვა ტიპის თოხებთან ერთად ფართოდ იყენებდნენ რომბისებურ, ფოთლისებურ, ნიკარტიან ანუ კომბინირებულ თოხს, უყუო და ქისტურ თოხებს, რომბისებურ და ფოთლისებურ ორთოხებს ხმარობდნენ ქვიანი ნიადაგების დასამუშავებლად. კომბინირებული თოხები გვხვდება: ხევში, ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, ქართლში, რაჭაში, იმერეთსა და სამეგრელოში.

ბრინჯაოს ფოთლისებურ დასავლურ თოხს სატარე გამოყოფილი არა აქვს, მაგრამ შემოწერილობით კარგად ემთხვევა ყუაგამოყოფილ ფოთლისებურ მოხვეურ თოხს. სატარის გამოყოფა თოხის სამუშაო ტანიდან უძველესი შენაძენია, რაც რკინის ხანის გვიანი პერიოდიდან უნდა იწყებოდეს. რკინის ხანის ადრეული პერიოდის თოხები კვლავ უყუოდ გვხვდება. მოხვეური უყუო რკინის თოხს მსგავსად რკინის ხანის თოხებისა ახასიათებს მოკლე გორდა პირი და ისრით ზურგიდან გაკეთებული სატარე ნაჩრეტი.

თოხებისა და საერთოდ ამ ტიპის ხელით სამუშაო იარაღების ყუის გაწყობა, გამართვა, როგორც ეთნოგრაფი ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, იარაღის დამზადების საქმეში ერთი მნიშვნელოვანი მომენტთაგანი იყო, რადგან „სატარის აგებულების პრინციპი ითვალისწინებს არა მარტო ტარის მყარად დაგებას, არამედ სიმძიმისა და ძალის წონასწორობის მოწესრიგებას იარაღის მოქმედების პროცესში²⁵“.


სატარესა და ყუის გაწყობა ერთგვარად შეპირობებული იყო აგრეთვე ნიადაგების თვისებით, აღსანიშნავია, რომ მოხვეურ არცერთი სახის თოხს ყუაზე ქეჩო არ გააჩნია. თოხის ყუაზე ქეჩოს (კოპულის) საპირობა ნიადაგების თავისებურებით იყო შეპირობებული. ქეჩოიან თოხებს მარჯვედ ხმარობდნენ ნახნავის ან ნაბარის დაჩრკვის დროს დაჩრენილი ბელტების დასაფშვენლად. ასე, რომ იგი უფრო თიხნარი ნიადაგების რაიონებშია გავრცელებული.

²⁴ Д. Коридзе, Новые находки медных орудий в Квемо Картли, С. А. № I, 1958, с. 135.

²⁵ ნ. რეხვიაშვილი, ქართული სამეურნეო იარაღი, მეუზუმის მოამბე, ტ. XVIII-B. 1954, გვ. 317.

ბული. სახელდობრ, ოთხკუთხა ყუაკობულიანი თოხები გავრცელებულია კახეთში, იმერეთში, ქართლში, რაჭაში, ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში, სამეგრელოში, აფხაზეთში და გადადის იგი ჩერქეზეთში.


ყუის მიხედვით მეტად ორიგინალური თოხებია შემონახული სამეგრელოში, გურისა და აჭარაში. ამ თოხების ფორმა და სატარე ყუა საერთოდ ოთხკუთხაა და ცულის სატარეს მოგვაგონებს. ამ სახის თოხი მტკიცეა და მძლავრი, იგი გათვალისწინებულია ბალახმორეული ნიადაგების ღრმად დასამუშავებლად. ამგვარი ყუა გააჩნია აგრეთვე მესხეთში გავრცელებულ თოხის ერთ სახეობას, რომელსაც უდღელების თოხს უწოდებენ და სოფელ უდის მჭედლების ნახელავად აღიარებენ.



სურ. 4. გურია-სამეგრელოში გავრცელებული თოხები.

დასავლეთ საქართველოში თოხების ნაირსახეობა შემოინახა რაჭამ. აქ ხმარებაში იყო როგორც მხრებდაქნილი, ისე ოთხკუთხა თოხები, თოხწერაქვები, ჩენგები, ჩეკია, თოხმარგილი და სხვ. თოხების მრავალსახეობა ერთი მხრით იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ რაჭველი მჭედლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადიოდნენ სამუშაოდ და დაკვეთით სამეურნეო იარაღებს ჭედდნენ. მსგავსი იარაღები მათ თავისთავისადაც უნდა დაემზადებინათ. გარდა ამისა, რაჭა მეურნეობის მრავალფეროვნებასთან ერთად, ნიადაგების ნაირობითა და რელიეფურობით გამოირჩეოდა, რაც ხელს უწყობდა სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ხელით სამუშაო სამიწათმოქმედო იარაღების არსებობას. აქ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ჩენგად წოდებულ თოხებზე. მათი სიმაღლე 27—28 სმ-ია, ყუა კობულიანია, ტანი შვეტი, მხრებთან სიგანე 8 სმ-ია, ხოლო სამუშაო პირთან 12 სმ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექცია № 153—64/2, № 130—64/6; № 141—65/9). აღნიშნული თოხის აღნაგობა უახლოვდება არქეოლოგ ო. ლამბაშიძის შესწავლილ თხმორის განძის მეო-

რე ტიპის თოხებს და რაჭულ თოხწერაქვას²⁶. ო. ლამბაშიძე ამგვარ თოხებს მიწის გასაფხვიერებელ ფუნქციას მიაწერს, თუმცა მხოლოდ მიწის გაფხვიერება ასეთი მძლავრი იარაღისათვის ძალზე მცირე საქმე იქნებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ამგვარი თოხებით აწარმოებდნენ ჯერ კიდევ აულეებელ სიმინდ-



სურ. 5. რაჭაში გავრცელებული თოხის ზოგიერთი ტიპი.


ში საშემოდგომო ხორბლის შეთესვას, რომ არ დაგვიანებოდათ და წვიმებისა და ზამთრის სიცივებისათვის დაესწროთ. ასე რომ, ეს იარაღი მიწის პირველადი დამუშავებისათვისაც გამოიყენებოდა.

რაჭაშივე ფართოდ იყო გავრცელებული ბოსტნის თოხები, ძველად აქ ამ დანიშნულებით ვიწროპირიანი დაბალი ტანის თოხი უხმარიათ. გვიანი დროისათვის ე. ი. XX საუკუნის დამდეგსა და 30-იან წლებში ბოსტნის თოხების ნაირსახეობასთან გვაქვს საქმე. ასეთებია თოხმარგილის სახესხვაობანი და ჩეკია თოხები. ჩეკია თოხი მცირეგაბარიტებიან წერაქვს წააგავს, რომელსაც

²⁶ ოთ. ლამბაშიძე, თხზობის განძი, გვ. 12 და ტაბ. I, სურ. 8.

ორი სამუშაო პირი აქვს; ერთი წერაქვისმაგვარი ნიკარტით ბოლოვდება, ხოლო მეორე ბრტყელი სამუშაო პირით. მისი საშუალო ზომებია: სიგრძე 21 სმ ბრტყელი სამუშაო პირის სიგანე 7 სმ. შუაში ჩეკია თოხს სატარე ნახვრეტი აქვს, რომლის დიამეტრი 2 სმ-ია (იხ. საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია № 153—64/3).

ბოსტანში მცირე მოცულობის სამუშაო თოხები გავრცელებული იყო სამეგრელოში, იმერეთსა და ლეჩხუმში, მათი ფორმა იმეორებდა კეკო თოხის ფორმას (იხ. საქ. სახ. მუზეუმის კოლექცია იმერული თოხი № 87—61/2; № 28—49/1; № 30—40/7; ლეჩხუმური № 62—39/20; № 62—30/22). ამგვარი თოხები იმერეთში გვხვდება, როგორც ჩეკიას, ისე ეჩოლას სახელით.




სურ. 6. ქართლში გავრცელებული თოხის ზოგიერთი ტიპი.

იმერეთის მთის ზოლის სოფლებში ახოს ალების დროს ფართოდ იყენებდნენ წაკატ-წერაქვისებურ იარაღს. წაკატი წალკატის სახელით გვხვდება ქართლის დასავლეთ რაიონებშიც, XIX ს. თბილისის სანახებში გავრცელებული

იყო ბოსტნის სამარგლი შალთა, რომელიც ფორმით პატარა ცელს წააგავდა მას სამუშაო პირი დაკბილული ჰქონდა. ზემო იმერეთში ხმარებაში იყო ოთხკუთხა ყუაკობულიანი თოხი, რომელიც ქართული (იგულისხმება ქართლური) თოხის სახელით იყო ცნობილი. იგი ვრცელდებოდა საჩხერის, ჭიათურის, ხარაგოულის რაიონებში. იმერეთში საყოველთაო გამოყენება ჰქონდა მხრებაქნილ თოხებს, რომელიც კეკოს, იმერული მთავარი თოხის და ლინგათოხის სახელებით იყო ცნობილი.

იმერეთშივე იყენებენ ძელბარს, ვენახის დაბარვისათვის ბარსა და წეხაქეს. დასახელებულ იარაღებს იმერეთში დღესაც იყენებენ.

ქართლში ძირითადი ხელით სამუშაო იარაღია ოთხკუთხა ანუ ქართული



სურ. 7. კახეთში გავრცელებული თოხები

თოხი, იგი გავრცელებულია მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ბარში, ისე მთაში. ამგვარ თოხებს ამზადებდნენ ქალაქებში, დაბეწსა და ზოგიერთ სოფელში.

დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე თოხი ძირითად სამეურნეო იარაღს წარმოადგენდა. ზედა პალეოლითში საგვარჯილესა და საკაყიის გამოქვაბულების მცხოვრებთ ცხოველთა ლულოვანი ძვლები და რქის თოხები გამოუყენებიათ²⁷. ბრინჯაოს ხანაში თოხური მეურნეობა საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა. მომდევნო პერიოდებში თოხის ფორმები თანდათან განვითარებას განიცდის.

თოხის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი იარაღის გამოყენება ადამიანის აზროვნებაში გარკვეულ წარმოდგენას დაუკავშირდა. სუმერული ლეგენდა ამ უნივერსალური იარაღის გამოგონებას უზენაეს ღვთაებას ენლილს მიაწერს. ლეგენდის მიხედვით ენლილს ოქროს ლაქვარდოვანტარაიანი თოხი ჰქონია²⁸. ქართველთა წინაპრებსაც ბრინჯაოს ხანაში თოხზე გარკვეული მითური წარმოდგენა ჰქონიათ, სხვანაირად ძნელი ასახსნელია სოფ. ქორეთში²⁹ და ურბნისის ტვლებიას გორაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს მინიატურული თოხები³⁰. აღნიშნული თოხების სიმაღლე 1,5—2 სმ-ია, ხოლო პირის სიგანე — 1—1,5 სმ. სამეურნეო იარაღების მინიატურული ფორმების დამზადების მაგალითი მხოლოდ არქეოლოგიური მასალით არ შემოიფარგლება. 1972 წელს ზემო იმერეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციას საჩხერელმა მჭედელმა გადმოსცა მინიატურული წალდი და კვესი. წალდის (კოლ. № 20—972/8) ზომა 4,5 სმ-ია, კვესისა (კოლ. № 20—972/9)—3,5 სმ. ამგვარ ნივთებს დიდ ხუთშაბათს უმძირახზე გამოჰქვავდნენ და მერე აკვანზე აბამდნენ, რომ ბავშვს ავი თვალი არ მიკარებოდა. ამით ადამიანი გაიზარებდა მიწასთან მუდმივი კავშირის ძალას. როგორც ცნობილია ძველი აღმოსავლეთის ხალხებში მიწის მოხვნა მიწის განაყოფიერების აქტად ითვლებოდა, რომლის შემსრულებლად მამაკაცი გაიზარებოდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახვნელში ხარის შებმის წესიც ამ კონცეფციის ასახვას უნდა წარმოადგენდეს.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თოხით ძირითადად მამაკაცები მუშაობდნენ, მაგარმ შეიმჩნევა, რომ იქ, სადაც მცირე სამუშაო იყო შესასრულებელი, ყოველთვის ქალი მუშაობდა. მაგ., ბოსტნის სამუშაოების მწარმოებელი ქალი იყო, ქალი ზრუნავდა საბოსტნე ნაკვეთის აკარგიანობაზე — მის როგორც პირველად, ისე მეორადი სახის დამუშავებაზე. ყოველივე ეს შეიძლება იმანაც განაპირობა, რომ საქართველოში თოხური მიწათმოქმედება საერთოდ მაღალ დონეზე იდგა. თოხი ზოგიერთ კუთხეში, მაგ., დასავლეთ საქართველოში, მიწის დამუშავების პირობას აკმაყოფილებდა — ჩვენ მხედველობაში გვაქვს მიწის ზედაპირული დამუშავება. აღმოსავლეთ საქართველოშიც თოხური მიწათმოქმედების სფეროში ქალი ერთ-ერთი წამყვანი ძალა იყო. ეს გარემოება უთუოდ მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომელიც თოხის, როგორც სამეურნეო იარაღის, პირველ მომხმარებლად ქალს აღი-

²⁷ საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 45.

²⁸ В. М. М а с с о н, Первобытное земледелие, Возникновение и развитие земледелия, 1967, с. 24.

⁹ ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე; 1961, გვ. 180.

³⁰ საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილ. ფონდი, კოლ. № 5—55/103.

რებს. ედ. ჰანის დაკვირვებით ეგვიპტურ მხატვრობაში თუ იეროგლიფებში სახენელი და თოხი ერთიმეორის იდენტურები არიან³¹.

თოხით, როგორც აღვნიშნეთ, ჩერკნიდნენ ნიადაგს, ახდენდნენ ზედაპირის მოსწორებას და მარგვლა-თოხნას. სიმინდს ზოგჯერ სამჯერ თოხნადნენ, აქედან პირველს პირადი თოხნა ეწოდებოდა, მეორეს შორდი. თუ ოჯახს სათოხნი ესწრაფებოდა, ამისათვის სცოდნიათ როგორც სანაცვლო მუშაობა, ისე ურთიერთდახმარება ანაზღაურების გარეშე, რასაც ნაღს ეძახდნენ. ნაღი ძველად საბატონო ან საეკლესიო მუშაობის გამომხატველი ბეგარა იყო, რომელსაც ბატონის ვალდებული ყმა ასრულებდა.

XIX საუკუნეში თოხი კვლავ ძალაში რჩებოდა და მრავალფეროვან სახეს იღებდა. ამას იწვევდა სოფლად კაპიტალიზმის შეჭრა, რომელსაც თან შეჰქონდა ექსპლოატაციის ახალი ფორმები. ამასთან სოფელში ჩნდებოდა ახალი სამეურნეო იარაღები. ქალაქების მომარაგებამ ბიძგი მისცა მებოსტნეობის შემდგომ აღმავლობას. ადრე თუ მებოსტნეობა შინმოხმარების ფარგლებს არ სცილდებოდა, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნეში იგი საბაზრო ხასიათს ღებულობდა. მებოსტნეობაში მრავალი ახალი სამეურნეო იარაღი გაჩნდა, ასეთებია ხახვის სამარგლი, ნივრის ამოსაღები და სხვ.

Г. ДЖАЛАБАДЗЕ

РУЧНЫЕ ОРУДИЯ ТРУДА ДЛЯ ОБРАБОТКИ ПОЧВЫ И ИХ РАСПРОСТРАНЕНИЕ В ГРУЗИИ

Резюме

В этнографическом быту Грузии, как в горных и предгорных, так и в низменных районах употреблялось множество разных типов ручных орудий труда.

В работе изложены результаты изучения как простых, так и сложных типов мотыг. Автор особо выделяет основные типы мотыг и дает сравнительно-исторический анализ мотыг, обнаруженных во время археологических раскопок. Автору удалось установить основные центры изготовления мотыг и интенсивность их распространения.

В работе представлены богатые этнографические иллюстративные материалы, на основе чего автор создал картограмму распространения основных типов мотыг и мотыгообразных орудий.

³¹ H a h n Ed. Die Entstehung der Pflugkultur, Heidelberg, 1909, зб. 152; მისივე, Alter der Kultur, зб. 447.

ც. შარატულავილი

ქსოვილების დამზადების ხალხური წესები კახეთში

1. მატყლის ქსოვილები

(ტაბ. III—VI)

ქსოვილების დამზადებას ადამიანი უძველესი დროიდან დაეუფლა, რაც მოწმობს არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი ქსოვა-როთვასთან დაკავშირებული იარაღები — ძვლის, ქვის, თიხის კვირისტავეები, რომლებიც ნეოლითური ხანის ძეგლებშია აღმოჩენილი¹; ასევე ენეოლითური და ადრებრინჯაოს ხანის კერამიკულ ნაწარმზე („იმერის გორა“ „ღიხა-გუძუბა“, „ამირანის გორა“, „ქვაცხელები“, ხიზანანთ გორა, დიდუბე, ილტოს ნამოსახლარი, ურბნისი, ოჩამჩირე და სხვ.)², კარგად იკითხება ქსლისა და საზედაოს ძაფების ანაბეჭდები, რაც მიგვანიშნებს, რომ კერამიკული ჭურჭლის დამზადებისას გამოიყენებოდა საქსოვ დაზგებზე დამზადებული ქსოვილები. ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული თვით ქსოვილის ნაშთებიც მოგვეპოვება (მარტყოფი, ბედენი, დაბლა გომი, წვერმაღალა, დმანისი, არმაზციხე, „ყაზბეგის განძი“ და სხვ.)³, (იხ. ტაბ. III).

¹ საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I; II, 1971. Липс И., Происхождение вещей, М., 1955; Массон В. М., Проблемы неолитической революции в свете новых данных археологии, Вопросы истории, М., 1970.

² ნ. ხოშტარია, „ღიხა გუძუბა“ კოლხეთის ძველი მოსახლეობა, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, თბილისი, 1944; ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბილისი, 1963; ბ. კუფტინი, შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის ენეოლითის პრობლემებისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV, გვ. 82; Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950; Ш. Дедабришвили, Памятники эпохи ранней и средней бронзы. Труды кахетской археологической экспедиции, I, 1969; Соловьев, Л. Н., Археологические раскопки близ гор. Очамчыры в Абхазии, Советская археология, IV, М.,-Л., 1959; Соловьев Л. Н., Селицы с текстильной керамикой из побережья Западной Грузии, Советская Археология, XIV, 1950; ალ. ჯავახიშვილი, ლ. დლონტი, ურბნისი I, ქვაცხელები (ტვლეპია გორა), თბილისი, 1962.

³ Б. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, таб. А, рис. 30. მარტყოფში შალის ქსოვილის ფრაგმენტი მოიპოვა და შესასწავლად გადმოგვცა არქეოლოგმა შ. დედაბრიშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვასხენებთ; გ. ვოზნეჩიშვილი, ბედენის აკლდამა; ქ. ისაკაძე, საფეიქროს საქმე საქართველოში, თბ., 1970; Куфтин Б., დასახნაშრ., დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, 1955; ა. ფაქიძე, გ. ვოზნეჩიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 25; Уварова П., Коллекции Кавказского музея, т. V, Археология, Тифлис, 1902; ც. შარატულავილი, ქსოვილის ორი ფრაგმენტი ყაზბეგის განძიდან, ეურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1971 წ., № 8.



ამრიგად, ყოველგვარი სავარაუდო მოსაზრების გარეშე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ენეოლითური ხანის ადამიანს უკვე ჰქონდა საქსოვი დაზგა, რომლის საშუალებითაც ქსოვილებს ამზადებდა. მისი არსებობა სავარაუდოა უფრო ადრეც — ნეოლითურ ხანაში. ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ჟიემს მელაართის მიერ „ჩათალ-პიუიკში“ (ანატოლია) მოპოვებული არქეოლოგიური მასალები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შალის ქსოვილების ნაშთები (3 ცალი). ქსოვილის ქსელიცა და მისაქსელიც ორწვერი საშუალო სისქის ნართია, ნაქსოვია მჭიდროდ, ტილოსებური ხლართით. ეს კულტურული მონაპოვარი ადრენეოლითურ ხანას განეკუთვნება (ძვ. წ. VII ათწლეული)⁴, რაც მეტყველებს, რომ ადრენეოლითური პერიოდის ადამიანს სცოდნია ქსოვილების დამზადება საქსოვი დაზგების საშუალებით, და საქსოვ მასალად მატყლი გამოუყენებია. ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია, ქსოვის ტექნიკისა და ქსოვილების ტექნოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით და საერთოდ კაცობრიობის კულტურული მიღწევების დასადგენად.

ამრიგად, ქსოვილების წარმოებას დიდი ტრადიცია აქვს, რომელიც ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ უკანასკნელ დრომდე შემოგვინახა. ამჟამად ჩვენ შევვხებით კახეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებულ ქსოვილების, კერძოდ სასამოსლე მატყლის ქსოვილების დამზადების ზოგიერთ წესს; ეს ქსოვილები ცნობილი იყო: „შალის“, „საჩოხე შალის“, „საყაბალახე შალის“, „ყდის შალის“, წაღმა — უკულმა შალის“, „ადგილის შალის“, „ღიაგონალური“, „თევზიფხური“ და სხვათა სახელწოდებით (ტაბ. III—VI).

აღნიშნული ქსოვილების დასამზადებლად გამოყენებული იყო სხვადასხვანაირი საქსოვი დაზგები, როგორც ვერტიკალური — „ყდები“, ისე ჰორიზონტალური ტიპის — „ადგილის დაზგა“, „საფეიქრო“ (ორი ან ოთხ დგომიანი), „საფეიქრო სკამი“, „ორმოიანი საფეიქრო“. დასახელებული დაზგების ნაწილი შესწავილია და გამოქვეყნებულა⁵, ნაწილს ქვემოთ შევვხებით, ხოლო მათი სრულყოფილი შესწავლა, ე. ი. ტიპოლოგია და ევოლუცია გამიზნული გვაქვს ცალკე შრომაში.

ზემოთ დასახელებულ დაზგებზე ამზადებდნენ სხვადასხვა ხარისხის ქსოვილებს — ძირითადად ტილოსებური, ან ტილოს წარმოებული („ქსელის რედსი“) ხლართით; ოთხდგომიან საფეიქროზე კი „სარეული ხლართითაც“ ქსოვდნენ, რომელიც კახეთში — „ღიაგანალისა“ და „თევზიფხურის“ სახელით იყო ცნობილი (იხ. ტაბ. III, IV, V).

სასამოსლე „შალის“ დამზადება „ადგილის დაზგაზე“ და „საფეიქროზე“ განხილული გვაქვს სხვა შრომებში⁶, ამის გამო მათ აღარ შევვხებით. ამჟამად განვიხილავთ მხოლოდ „ყდებზე“ ქსოვის წესებს, კერძოდ, ე. წ. „ყდის შალის“ დამზადების პროცესებს, და საერთოდ „შალის“ სახელით ცნობილ მატყლის

⁴ James Mellaart, Gatal hüyük, a neolithic town in Anatolia, London, 1967, 116—118.

⁵ ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ფეიქრობა მესხეთ-ჯავახეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972; ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, კრ. ქსნის ხეობა, თბ., 1975; ქართული ხალხური საფეიქრო იარაღები, ყურნ. „მეგლის მეგობარი“, 1967, № 12; ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აღმოსავლეთ საქართველოში („ჯვრიმური ქსოვა“) საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXXI-B, 1975; ხალხური ფეიქრობა კახეთში, ხელნაწერი, 1962.

⁶ ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.



ქსოვილების საკითხს, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების წყაროების შესახებ.

ქსოვის პროცესებს წინ უსწრებდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, როგორცაა: ა) საქსოვი მასალის — მატყლის დამუშავება-მომზადება დაფად, რომელსაც „ბაწარი//ნართი“ ეწოდებოდა; ბ) საწარმოო იარაღის საქსოვი დაზვის გამართვა — აწყობა, გ) ქსელის გაბმა-დაქსელვა. შევეხებით მხოლოდ სასამოსლე „შალის“ დასამზადებელი ნართის ხარისხსა და მის სპეციფიკურ მხარეს, თუ რა გავლენას ახდენს იგი ქსოვის ხარისხზე.

შალის ქსოვილები საერთოდ სხვადასხვა სახისა და ხარისხის მზადდებოდა. ამას განსაზღვრავდა ერთი მხრივ ნართის ხარისხი (როგორც მასალა-მატყელი, ისე მისი დამუშავების ხასიათი), მეორე მხრივ — ქსოვის პროცესში გამოყენებული ხერხი და წესი.

ნართის ხარისხიანობისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანი იყო თვით მასალა — ნატყლის ხარისხი. ამიტომაც მატყლსაც შერჩევა ჭირდებოდა — საუკეთესოდ ითვლებოდა ბატკნის მატყლი. ამისათვის დიდი ცხვრის — ზრდადამთავრებული ცხვრის მატყლსაც იყენებდნენ, მაგრამ მას შეარჩევდნენ, გადაარჩევდნენ, მეორე მხრივ მნიშვნელოვანი იყო თვით მისი დამუშავების პროცესი: რეცხვა, ჩეჩვა, რთვა, ძახვა⁷.

ნართი სხვადასხვა სიმსხოსი (ნომრის) მზადდებოდა. ნართის სიმსხოს მიხედვით სამნაირს ასახელებენ: წმინდას, საშუალოს და მსხვილს. ამის მიხედვით შალიც სხვადასხვა ხარისხის მზადდებოდა (წმინდა ნართიდან თხელი, ნაზი ქსოვილები, მსხვილი ნართიდან — მსხვილი ქსოვილები). სხვადასხვა ხარისხის ნართის დამზადება თავის მხრივ შეპირობებული იყო იმით, თუ რა დანიშნულების ქსოვილის დამზადება ჰქონდათ გამიზნული. მაგ., საკაბედ და საყაბაღსავე წმინდა ნართს ამზადებდნენ — წმინდა შალის მოსაქსოვად ზოგი ცალწვერ ნართსაც იყენებდა, ძირითადად კი ორწვერ წმინდა ნართს ხმარობდნენ. ზოგი „ზეწვზე“ ე. ი. ძალიან წმინდად ართავდა. საშარვლე, საჩოხე, სახალათე შალის დასამზადებლად საშუალო სისქის ნართს ამზადებდნენ; ხოლო სქელი შალისათვის მსხვილ ნართს იყენებდნენ (მსხვილი შალისაგან კერავდნენ ქულაჯებს, მწყემსის ტანსაცმელს და სხვ.), მსხვილი ნართისაგან ქსოვდნენ აგრეთვე მაგარ ქსოვილებს: ჯეჯიმს, ფარდაგს, ტომარას, ხურჯინსა და სხვ. ნართის სიმსხოს ზოგჯერ მასში შემავალი ძაფის წვერთა რაოდენობაც განსაზღვრავდა; მაგალითად, ნართს ხმარობდნენ ცალწვერს, ორ წვერს, სამწვერს; ორ და სამწვერ ნართს ძახავდნენ.

ამგვარად, ნართის ხარისხი — სიმსხო თავის მხრივ შეპირობებული იყო, თუ რა დანიშნულების ქსოვილი უნდა დაემზადებინათ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია სასამოსლე შალის ქსოვილების დამზადებისას ქსელსაცა და საზედაოსაც თითქმის ერთნაირი სიმსხოს ნართს იყენებდნენ, მაგრამ ქსელი მეტად იყო დაგრებილი, ვიდრე საზედაო. ქსელი მაგარი ნართი იყო საჭირო (ნართი სიმაგრეს გრეხვის შედეგად იძენდა), რომ ქსოვისას ბეჭვამი არ ჩაწყვეტილიყო. საზედაო ნართს კი შედარებით ნაკლები გრეხილობისას ამზადებდნენ. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ საზედაო ნართი შედარებით ნაკლები ჭირდებოდა, ვიდრე ქსელი. მაგ., 3 გირვანქა ქსელი 2 გირვანქა სა-

⁷ აღნიშნული პროცესები განხილული ვაქვს სხვა შრომებში, ამის გამო მათ გამოორებას აქ აღარ შეეცდებით.



ზედაოს შეიქსოვდა. ქსელისა და საზედაო ნართების ასეთი შეფარდება (როგორც ჩანს, დენობის მიხედვით) ქსოვილის (ქსელისა და საზედაოს ძაფთა) სიხშირეს განსაზღვრავდა.

ნართის სიმსხო (ნომერი), როგორც ითქვა, ერთი მხრივ განსაზღვრავდა ქსოვილის ხარისხს, ამავე დროს ქსლის სიხშირეს და სიგრძეს. გამოცდილმა მქსოველმა იცოდა ამა თუ იმ რაოდენობის ნართიდან, რამდენი არშინი დაიქსელებოდა. ამ შემთხვევაში ნართის წონასთან ერთად ნართის სიმსხოს ჰქონდა მნიშვნელობა. სხვადასხვა ნომრის ნართისაგან სხვადასხვა სიგრძისა და სიგანის ქსელი მზადდებოდა, ამავე დროს იგი ქსლის სიხშირესაც განსაზღვრავდა. წმინდა ნართი მეტს დაქსელავდა, ხოლო მსხვილი ნართი ნაკლებს, ამის გამო გამოუცდელი მქსოველი ზოგჯერ ტყუედებოდა, რადგან მსხვილი ნართი ბევრს ვერ ქსელავდა და ნართი აკლდებოდა. ხარისხით წმინდა ნართისაგან დამზადებული ქსოვილი ჯობდა, ხოლო გამძლეობის თვალსაზრისით მსხვილი ნართისა.

ქსოვილების დამზადებისას, ზემოაღნიშნულის გარდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქსლის სწორად გამართვას (თანაბრად დაჭიმვას), ქსოვისას სიზუსტეს — მისაქსელის გატარებას, ბეჭვასა და შემდეგ კი მის დამუშავებას: თელვას, ლებვას და მის აბრეტურას. ამრიგად, ქსოვილების დამზადება მრავალ ტექნოლოგიურ პროცესს მოიცავდა, რაც მოითხოვდა გულმოდგინე შრომასა და დიდ დახელოვნებას.

უნდა აღინიშნოს, რომ შალის ქსოვილებს ამზადებდნენ, როგორც საკუთრივ მატყლის ნართისას, ე. ი. როცა ქსელიცა და საზედაოც მატყლის ნართისა იყო. ამას გარდა იცოდნენ მატყლის ნართთან ერთად სხვა მასალის, მაგ., აბრეშუმის ან ბამბის ძაფით ქსოვა; ამ შემთხვევაში, ქსელი მატყლის ნართი იყო, ხოლო საზედაო აბრეშუმის ან ბამბის ძაფი (იგი ქსოვილის ზედაპირზე არ ჩანდა, მას ქსელი ფარავდა). აბრეშუმის ძაფს ზოგი ქსელშიც შეურევდა, ერთ წვერს მატყლის ნართს ერთ წვერ აბრეშუმის ძაფს ამოუტოლებდნენ და ისე შექმნიდნენ.

შალის ქსოვილების დამზადებისას, საზედაოდ აბრეშუმის — ყაჭის ან ბამბის ძაფის („კოჭის ძაფის“, „მიტკის ძაფის“) გამოყენება საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო ცნობილი — იმერეთში, სამეგრელოში, ქართლში, ხევსურეთში, თუშეთში, ქსნის ხეობის მთისძირა ზოლში და სხვ. ამგვარად დამზადებული შალი საუკეთესოდ ითვლებოდა, უფრო წმინდა, კარგი ხარისხის ვამოდიოდა (იხ. ტაბ. V, სურ. 2, 3).

ორგვარი მასალის ნართით დამზადებულ ქსოვილებს ზოგიერთ კუთხეში შესაფერისი (მასალის მიხედვით) სახელიც გააჩნდათ. მაგ., იმერეთში მატყლისა და ბამბის ძაფით დამზადებულ ქსოვილს „ხამ-შალას“ უწოდებდნენ; როგორც ცნობილია, „ხამი“ ბამბის ქსოვილის აღმნიშვნელი სახელია, ხოლო „შალი“ მატყლისა, აქედან უნდა იყოს ნაწარმოები ამ ორივე სახის მასალის კომბინირებით დამზადებული ქსოვილის სახელი „ხამ-შალა“. იმერეთსა და სამეგრელოში აბრეშუმისა და მატყლის ნართით დამზადებულ ქსოვილს „შალ-აბრეშუმს“ უწოდებდნენ. ამ შემთხვევაში ქსელი აბრეშუმის იყო, ხოლო მისაქსელი მატყლის ნართი (ცალწვერი); ქსოვილის ზედაპირს მხოლოდ მისაქსელი ქმნიდა. აგრეთვე იცოდნენ მატყლის ნართითა და „თივთიკით“ ქსოვა, ამგვარი შალი საუკეთესოდ ითვლებოდა, მისგან ძირითადად კაბას, ყაბაღასს კერავდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება შავთელის აბდულ მესიაში მოხსენიებულ ტერმინ — „თანაშექსული“ შესახებ:

„შესამოსელნი, შესამკობელნი, გმოსიან ტანსა ოქრონემსულნი.

გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი, ძოწეულითა თანაშექსულნი“.

ივ. ჯავახიშვილს „თანაშექსული“ მიაჩნია ქსოვის ერთ-ერთ სახეობად⁸. აღნიშნული ტერმინი კარგად გამოხატავს ქსოვილში ორი სახის მასალის არსებობას, მის თანაბრად შექსოვას, როგორც ეს ზემოთ ეთნოგრაფიული მასალებით გვექონდა დამოწმებული.

ქსოვილების დამზადებისას ორგვარი მასალის — ნართის გამოყენება ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი. დაბადებაში აღნიშნულია: „ნუ შეიმოს სამოსელსა, რისა მატყლი და სელი შესთულად მოქსოვილ იყოს“ (მეორე სჯულისა, 22₁₁)⁹. ლიაპუნოვას ეგვიპტური (ელინური, რომაული, კობტური) ქსოვილების შესწავლის საფუძველზე შენიშნული აქვს, რომ ქსოვილების დამზადებისას ერთდროულად გამოყენებული იყო მატყლისა და სელის ნართი. მატყლის ნართით ზოგჯერ მხოლოდ სახეებს ქსოვდნენ (მაგ., როგორიცაა «петельчатые ткани»); ზოგჯერ კი ფანს უქსოვდნენ («пурпурные ткани») ¹⁰.

* * *

განვიხილავთ მატყლის ქსოვილების დამზადების წესებს „ყდებზე“, ე. ი. „ყდის შალის“ ქსოვის პროცესებს.

საქსოვი დაზგა — „ყდები“ წარმოადგენს ვერტიკალური ტიპის საქსოვს. „ყდები“ შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ორი თანაბარი სიგრძის ხეები — „ყდები“, ორი განის ხიდი ე. წ. „ლვილი“, რომელიც ყდებშია გაყრილი (ერთი ზედა ნაწილში, მეორე ქვედაში, რის შედეგადაც საქსოვი სწორკუთხედის ფორმას იღებს). დგომი, დგომის ხით (შდრ. „შე“ და „საშევრის ჯოხი“), „საგორავი“//„გარა“, „გარათ საყვანელა“, „ფეხები“//„ქიჩები“ (ორი), საბეჭავი, ირმის რქა, „ცხემლა“ წკებლა (ორი ან სამი), სოლები. „ყდებს“ ოთხი ან ხუთი „თვალი“ (შდრ. ხევისურული „ფატერები“) აქვს ამოღებული ხიდების გასაყრელად; აგრეთვე საქიჩურების ჩასარჭობი. საქიჩურებზე დგომის ხე//საშევრის ჯოხს დებდნენ, საქიჩურის ჩასარჭობი რამდენიმე იყო (4,5), რადგან ქსოვის დროს ხდებოდა მათი გადაადგილება. ერთ ნაწილს რომ მოქსოვდნენ, საქიჩურს თითო ფეხით აუნაცვლებდნენ, რის შედეგადაც დგომის ხე ზევით იწევდა, გადაინაცვლებდა, შემდეგ კი ქსელს დააბრუნებდნენ.

ქსელვა. საქსოვ ყდებს სხვადასხვა ზომაზე მართავდნენ, ე. ი. განის ხეებს ყდებში რომელიმე „სალვილე თვალი“ გაუყრიდნენ. „სალვილე თვალი“ რამდენიმე ჰქონდა — 3, 4, 5. ისინი სხვადასხვა სიმაღლეზე იყო მოთავსებული. ეს იმის მიხედვით, თუ რა სიგრძის ქსოვილის დამზადება სურდათ და რა რაოდენობის ნართი ჰქონდათ მომზადებული.

⁸ ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, 1962, გვ. 199.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

¹⁰ И. Лурье, К. Ляпунова, М. Матье, Б. Пиотровский, Н. Флитнер, Очерки по истории техники древнего востока, М.-Л., 1940, с. 320—322.

„ყდებზე“ ქსელის გაბმა-გამართვა უშუალოდ წარმოებდა. ქსელს განისხილებს ვარშემო ახვევდნენ, ორი ქალი ქსელავდა, ერთი ქვემოთ იჯდა და ქვედა ხილთან მიმაგრებულ წკებლაზე ქსელავდა, ახვევდა; მეორე ზემოდან საქსელე ნართს (საქსელე ნართი გორგლებად ჰქონდათ დახვეული და ისე ქსელავდნენ) ზედა ხილზე გადატარებით ქვევით აწვდიდა. მქსელავი ნართს ჯერ ქვედა ხილთან მოთავსებულ წკებლაზე მიამაგრებდა (ჩანასკვავდა), მას ერთხელ შემოახვევდა და ნართის გორგალს ზევით მიაწვდიდა მეორე ქალს. იგი ნართს ზედა ხილს გადაატარებდა და უკანა მხრიდან დაბლა ჩააწვდიდა მქსელავს, რომელიც ქვედა ხილს ქვეშ ამოატარებდა, ქვედა ხილთან დამაგრებულ წკებლაზე შემოუყრიდა, შემოახვევდა (ერთხელ მოეხვევა და ყულფივით გამოედება) და უკან დააბრუნებდა ქვემოთ, ახლა უკანიდან ზედა ხილზე გადმოატარებდა და წინიდან ჩააწვდიდა დაბლა, მქსელავი ისევ წკებლას შემოახვევდა და ზევით მიაწვდიდა. ამრიგად, საქსელე ნართი ჯოხს ერთხელ ქვემოდან მოეხვეოდა, ერთხელ ზემოდან. ამგვარი თანმიმდევრობით დაიქსელება გარკვეულ ზომაზე. ქსლის ზომა (ქსლის ძაფთა რაოდენობა) „სათვალავითაც“ იცოდნენ და ქვედა ხილზე, ან ჯოხზე დანიშნულიც ჰქონდათ, ისე რომ ქსოვილის — „შა-ლის“ სიგანე ერთი არშინი, ოთხი მტკაველი უნდა გამოსულიყო. ყდაზე დაქსელვის რამდენიმე ხერხი მოწმდება¹¹. გარდა აღნიშნულისა, ყდაზე დაქსელვას ორნაირად ახდენდნენ: ერთი როცა ზემოდან მქსელავს „ყუას“ ანუ ყულფს აწვდიან ქვემოთ, ერთხელ უკანა და ერთხელ წინა მხრიდან (ეს ხდება თანმიმდევრულად) და მას მქსელავი ქვედა ხილთან მიმაგრებულ წკებლაზე შემოუყრის. შემდეგ ქსელი თითოს გამოშვებით „იდგიმება“ II „იშვენებოდა“.

მეორე შემთხვევაში — ორ წკებლაზე იქსელებოდა. ერთი წკებლა ქვედა ხილის ქვემოთ იყო მიმაგრებული, მეორე — მის ზემოთ. ქვედა წკებლას ზემოაღნიშნული წესით ეხვეოდა ქსელი; მეორე წკებლას კი ხან ზემოდან გადაატარებდნენ, ხან ქვემოდან. ეს თანმიმდევრობით ხდებოდა. წკებლა ქსელს ორად ყოფდა. ზემოთას ამოდეგმავდნენ. დგიმის ძაფი (ბამბის ან მატყლის მაგარი ნართის იყო, რამდენიმე წვერი შეგრეხალი) მჭიდროდ იკვანძებოდა დგიმის ხილზე. დგიმის ხილს კი ყდაში ჩარჭობილ კაპიან ჯოხებზე თოკით // „ღარძლით“ ამაგრებდნენ. წკებლას ზემოთ მოთავსებული ქსელი თუ ამოდეგმული იყო, ე. ი. დგიმზე იდგა, წკებლას ქვემოთა თავისუფალი ქსელი — „საგორავზე“ რჩებოდა. „საგორავი“ მრგვალად გათლილი ხე, დგიმის ხილს ზემოთ, მის პარალელურად ქსელში იყო გაყრილი, ისე რომ ქსლის ძაფები დგიმსა და საგორავს შორის გადაჯვარედინებული იყო. ამ მხრივ, იგი მეორე დგიმის როლს ასრულებდა. ქსოვის პროცესში საგორავი მოძრაობდა და დგიმი უძრავად იყო დამაგრებული. „საგორავს“ ხის „კავით“, „კაუჭით“ ამოძრავებდნენ (ჯერ ზევით ასწევდნენ, მერე ქვემოთ ჩამოსწევდნენ).

ქსოვის დაწყების წინ აუცილებელი იყო ქსელის დაჭიმვა. ქსელს ყდებზე სოლებს საშუალებით ჭიმავდნენ. სოლებს ხილების შესაყარ თვლებში გაუ-

¹¹ ხევსურები „ყდაზე“ დაქსელვას ორნაირად ახდენდნენ: ერთი, როცა ჯერ დაქსელავდნენ და შემდეგ „დაშვენიდნენ“ (დადეგმავდნენ), მეორე, როცა ქსელისას თან „შვენიდნენ“. „ცლაზე“ ქსოვას აწარმოებდნენ ერთი „შე“-თი („შე“ დგიმს შეესატყვისება, მეორე დგიმის როლს მოძრავი „გარა“ ასრულებდა) და ორი „შე“-თიც; ნაწარმის სახელწოდება — „ცალშინი ტოლი“ და „ორშინი ტოლი“ სწორედ აქედან არის ნაწარმოები. „ცალშინის“ დაქსელვისას ორ წკებლას ხმარობდნენ. „ორშინის“ ქსელისას კი სამ წკებლას (იხ. ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალები), „ხალხური ქსოვის წესები ხევსურეთში“. 1961, ინახება საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების არქივში).



ყრიდნენ. ხიდები გაიწვედა, რის შედეგადაც ქსელი დაიჭიმებოდა. ამავე დროს ხიდებს ყდებში ამაგრებდა, რაც აუცილებელი იყო ქსოვის

ამგვარად გამართული „ყდა“ საქსოვად იყო გამოზადებული, საზედაო ნართს „ცხემლაზე“ დაახვევდნენ, მას კიდევ ცალკე, სხვა ძაფი ჰქონდა გამოზმული (შდრ. ხევსურული „საკუდა“)¹², რომელიც „ცხემლას“ ქსელში გატარებისას საზედაოს ზემოთ მოექცეოდა, ბეჭვისას იგი იცავდა ქსელს ჩაწყვეტი-საგან, ჩაბეჭვის შემდეგ იმ ძაფს — „საკუდას“ ისევ გამოაცილდნენ.

დაქსელვას ორი ქალი აწარმოებდა, ქსოვას კი ერთი, იგი საქსოვი ყდის წინ დაბალ სკამზე ან ხის კუნძზე დამჯდარი ქსოვდა.

ქსოვა. ქსოვას საგორავის მოძრაობით იწყებდნენ. საგორავს ზევით დაქვევით ამოძრავებდნენ ხის კავით. საგორავის მოძრაობის შედეგად ქსლის გარჩევა ხდება — „ქსლის პირი“ იხსნება. ქსლის ერთი ნაწილი ზევით ამოვა, მეორე ნაწილი ქვევით ჩავა. ე. ი. ხან დგომიანი ქსელია ზევით, ხან თავისუფალი (საგორავზე მოთავსებული ქსელი), ეს ხდება თანმიმდევრულად, გარკვეული კანონზომიერების დაცვით. საგორავს ქვევით ჩამოსწევენ, დგომის ქსელი ზემოთ ამოვა, ხოლო საგორავზე მოთავსებული ქსელი ქვევით ჩავა, ქსლის ძაფები ერთმანეთში იხლართება, გადაჯვარედინდება. ამის გამო რქას ან თითისტარს (შდრ. ხევსურული „ფხინი“, „წიწუ“) მთელ სიგანეზე გაუსვამენ, რომ ქსელი კარგად გაირჩეს. ამ პროცესს, მართალია, საგორავის მოძრაობა იწვევდა, მაგრამ რქას მაინც გაუსვამდნენ, რაც ქსელს უკეთესად არჩევდა (დაბლითა ძაფები მაღლა ამოცვივდებოდა); „ქსლის პირში“ („ხახა“) „ცხემლით“ საზედაო ნართს გაატარებდნენ, რომელსაც საბეჭავით ჩაბეჭავდნენ, შემდეგ საგორავს ზევით ასწევდნენ და ქსელი ისევ გაირჩეოდა, შემდეგ საზედაოს კვლავ „ცხემლით“ გაატარებდნენ და ჩაბეჭავდნენ. ამ პროცესის თანმიმდევრული გამეორება ქსოვის პროცესს გამოხატავდა.

როგორც ითქვა, ყდაზე დგომი ორკაპი ხეებით „ანუ“ ფეხებით“ არის დამაგრებული, ყდაზე ამოჭრილ ხვრელებში. ამ ადგილს ქართლში „ფეხებიც“ ეწოდებოდა. ყდაზე სულ სამი ან ოთხი „ფეხი“ იყო ამოჭრილი, უფრო სწორედ საფეხური (შდრ. ხევსურული „ქიჩი“ და „საქიჩური“). საფეხურს შორის მანძილი ნახევარი არშინი იყო. ქსოვას ქვედა ფეხიდან ანუ საფეხურიდან იწყებდნენ, ე. ი. დგომის ფეხები ქვემოდან პირველ საფეხურში იყო ჩამაგრებული. ერთ ფეხს რომ მოქსოვდნენ, შემდეგ დგომის ფეხებს აუნაცვლებდნენ, გადაადგილებდნენ მეორე საფეხურში, მერე მესამეში; ამგვარად, მეოთხე ფეხსაც რომ მოქსოვდნენ, შემდეგ ქსელს დააბრუნებდნენ, ამისათვის სოლებს გამოაცილდნენ. ქსელი მოფონდებოდა, ნაქსოვს დაბლა დასწევდნენ, მოქსოვილი უკან მოექცეოდა და მოსაქსოვი ქსელი წინ გადმოვიდოდა. სოლებს ხელახლა გაამაგრებდნენ. ქსელი ისევ დაიჭიმებოდა, დგომის ფეხებს პირველ საფეხურში მოათავსებდნენ და ზემოთ აღნიშნული წესით გააგრძელებდნენ ქსოვას. ქსელს რამდენიმეჯერ დააბრუნებდნენ, ვიდრე სულ არ მოქსოვებოდა. ბოლოს, როცა ორი მტკაველი დარჩებოდა, ქსელს გაჭრიდნენ და მოქსოვილი — „შალი“ ჩამოვარდებოდა, ძირს დაეშვებოდა.

ამგვარად, მოქსოვილ შალს შემდეგი დამუშავება ჰქონდა, კერძოდ თელვა და ლებვა. ცხელ წყალში ჩადებდნენ, ახლა თბილი წყლით დანამავენ და შემდეგ ლასტზე ფეხებით თელავდნენ. მოთელილ შალს კი გასწორების, გა-

¹² გ. ჩ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, ქართული საქსოვი დაზგები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVIII-B, ბბ., 1954.

ტკეცის მიზნით საგორავზე (მრგვალ ხეზე) დაახვედნენ, ანდა ხეზე გადაკიდდნენ, ბოლოებს გაუკერავდნენ და შიგ დიდ ხეს გაუყრიდნენ, რაც დაჭიმავდა და დატკეცავდა-გაასწორებდა.

„ყდის შალი“ საჩოხედ 7,8 არშინი იქსოვებოდა, რომლის სიგანე ერთი არშინი იქნებოდა. მის დასამზადებლად 5 გირვანქა ნართი იყო საჭირო, ქსელი მეტი ჭირდებოდა, ვიდრე საზედაო, სამი გირვანქა ქსელი და 2 გირვანქა საზედაო.

ორი კილო ნართიდან 9,10 არშინი სიგრძის შალი მოიქსოვებოდა, სიგანით 4 მტკაველი. საყაბალახე შალს ნახევარი კილო ანუ 3,4 კვერცხის წონა წმინდა ნართი ჭირდებოდა, რომლის სიგრძე 2,5 მეტრი იქნებოდა, საკბებს კი ოთხი გირვანქა წმინდა ნართი.

* * *

ყდებზე ამზადდნენ ორნაირ შალს „წალმასა“ და „წალმა-უკულმას“, რომელთა ქსოვა ერთნაირი წესით ხდებოდა; განსხვავება ნართის დამზადებაში იყო. „წალმა შალისათვის“ ნართი ერთნაირად იყო დართული „წალმა“. „წალმა-უკულმა შალის“ მოსაქსოვად კი ნართს ორნაირად — „წალმა“ და „უკულმა“ ართავდნენ. „უკულმა ნართს“ ჯარახე ართავდნენ. ამ შემთხვევაში ჯარახე „ლამბს“ ჯვარედინად უკეთებდნენ (როგორც ძახვისას) და ნართი უკულმა დაირთვებოდა, შემდეგ წალმა დაიძახებოდა. დაქსელვისას ორი გორგლით ქსელავდნენ. ერთზე „წალმა ნართი“ იყო დახვეული და მეორეზე „უკულმა“. „წალმა“ და „უკულმა“ ნართის მონაცვლეობით დამზადებულ ქსელს შემდეგნაირად დგმავდნენ: „წალმა“ ნართის ქსელი იდგმებოდა, ხოლო „უკულმა“ — თავისუფალი საგორავზე იდგა. ქსოვა ზემოაღწერილი წესით მიმდინარეობდა. საზედაოდ წალმა ნართს ხმარობდნენ. ზოგი აბრეშუმის ყაჭს ან „კოჭის ძაფს“ შეაყრიდა. შალის ქსოვილების დამზადებისას საზედაოდ აბრეშუმის ან „კოჭის ძაფის“ გამოყენებით, შალი უფრო წმინდა, კარგი გამოდიოდა. საზედაოდ ქსოვილის ზედაპირზე არ ჩანდა, მას ქსელი ფარავდა მთლიანად. ამ შემთხვევაში ქსოვილის ხლართი „ქსელის რეპს“ შეესატყვისება (ტაბ. V, VI). ამ წესით დამზადებული („წალმა“ და უკულმა“ ნართით დაქსელილი) შალის ზედაპირი განსხვავდებოდა „წალმა შალის“ ზედაპირისაგან, რომლის ქსელიც ჩვეულებრივ წალმა დართული ნართისაგან მზადდებოდა. წალმა და უკულმა დამზადებული (დართული) ნართისაგან მოქსოვილი შალის ზედაპირზე, როგორც მთხრობელები აღნიშნავენ, „ჯავარი ეყარა“, „ჯავარი“ სიგანეზე — თავისივე ფერის ზოლებივით გასდევდა, რასაც „ჯავარს“ უწოდებდნენ. აქედან გამომდინარე მას პირობითად „ჯავარიან შალს“ ვუწოდებთ. „წალმა შალს“ ჯავარი არ ჰქონდა. „ჯავარიან შალი“ უფრო რბილი იყო, ვიდრე „წალმა შალი“. „ჯავარიან შალს“ ძალიან წმინდა, ორწვერა ნართისას ქსოვდნენ. როგორც ითქვა, მას საზედაოდ აბრეშუმს ან ბამბის — „კოჭის ძაფსაც“ შეაყრიდნენ და ნაქსოვი უკეთესი გამოდიოდა (აბრეშუმს განსაკუთრებით „საკაბე“, საყაბალახე, საჩოხედ შალის დასამზადებლად ხმარობდნენ), ტაბ. VI.

შალის ქსოვილების დამზადებისას ორნაირად დაგრეხილი ნართის გამოყენება საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო გავრცელებული: შიდა ქართლი, ქსნის ხეობა, თუშეთი, ხევისურეთი, პანკისის ხეობა და სხვ. შიდა ქართლში

მას „წალმა-უკულმართი შალი“ // „უკულმართი შალი“ ეწოდებოდა, მას ჯავარიან შალსაც უწოდებდნენ, ჩვეულებრივს კი „წალმართი შალი“; ხევესტრეთში „წალმა-უკულმართად ტოლად“, ფშავში „წალმა-უკულმართად ტოლად“, ითქვამის, მეთში — „სოლურა ტოლად“¹³, „ქისტურად ტოლსაც“ წალმა-უკულმა ბაწრისაგანაც ქსოვდნენ, მხოლოდ ცალკეცად, (ე. ი. ცალწვერი ნართისას) „წალმა-უკულმა“ ბაწრით ზოლებიანსაც ქსოვდნენ, ზოლები სიგრძეზე მისდევდა — „კაქკაჭადა“. ასეთ ტოლს „საკაცო ტოლად“ ეწოდებოდა; მისგან ძირითადად შარვლებს კერავდნენ¹⁴. „წალმა-უკულმართად ბაწრისაგან“ მოქსოვილ ტოლს — „სოლურა ტოლს“ „ნაჯარადა“ აქვს, „გარდიგარდმო“¹⁵. „ნაჯარადა“ იგივე „ჯავარს“ უნდა შესატყვისებოდეს.

კახეთში „წალმა“ და „უკულმა“ ნართისაგან „საფეიქროზე“ ოთხი დგომით, „სარკული“ ხლართითაც ქსოვდნენ; ამგვარ ნაქსოვს „თევზიფხუტრს“ უწოდებდნენ (ტაბ. III, სურ. 3).

საყურადღებოა, რომ „წალმა-უკულმა შალის“ ზედაპირზე შექმნილ სახეებს, სიგანის ზოლებს ყველგან თითქმის ერთი სახელით აღნიშნავენ — „ჯავარი“ ეყარაო; მხოლოდ თუშები „ნაჯარადა“-ს უწოდებდნენ. აქედან გამომდინარე ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ჩვეულებრივი ე. ი. „წალმა შალისაგან“ განსხვავებით მას „ჯავარიანი შალის“ სახელი დაუემკვიდროთ. „წალმა-უკულმა“ შალის ზედაპირი „ქსლიან რეფსულ“ ქსოვილებს შეესატყვისება, ხოლო მისი გადიდებული მასშტაბით ჩვენება წიწვოვან სახეს იძლევა (იხ. ტაბ. V, IV, სურ. 1, 2). „ჯავარიანი შალი“ რბილი იყო, ვიდრე „წალმა შალი“. „ჯავარიანი შალი“ საუკეთესოდ ითვლებოდა და მეტადაც ფასობდა. მისგან კერავდნენ: ჩოხებს, ყაბალახს, კაბას და სხვ. „წალმა-უკულმა“ ანუ „ჯავარიანი შალისაგან“ შეკერილი ჩოხები დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ქსოვილებისა და კოსტუმის ფონდში, რომელიც კავკასიის ხალხთა ყოფიდან არის შემოსული (კახეთი, ქართლი, ხევესტრეთი, თუშეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი და სხვ.), რაც მიგვანიშნებს, რომ აღნიშნული წესით შალის ქსოვილების დამზადება კავკასიის ხალხთა ხალხურ ფეიქრობაში ფართოდ იყო გავრცელებული.

შალის ქსოვილები ძირითადად სადა, ერთი ფერისა მზადდებოდა — თეთრი, შავი, ლეგა. შავსა და თეთრ მატყლს ერთად გადაჩეჩავდნენ და ნაცრისფერი ნართი გამოდიოდა, რასაც „ლეგას“ უწოდებდნენ. თეთრი ფერის შალს შემდეგ ღებავდნენ სხვადასხვა ფერად, ლურჯად, შავად, ყავისფერად, შვინდისფერად და სხვ. ეს დამოკიდებული იყო იმაზე, რა დანიშნულების ქსოვილი მზადდებოდა (საჩოხე, საყაბალახე, საშარვლე, საკაბე, სახალათე და სხვა), აგრეთვე გათვალისწინებული იყო ასაკი და მდგომარეობა.

ქსოვილებს ღებავდნენ, როგორც ოჯახებში, ისე სპეციალურ სამღებრო-სახელოსნოებში.

შალის ქსოვილებს ზოგჯერ ფერად ზოლიანს ან „უჯრიან“ // კუბოკრულ სახიანსაც ამზადებდნენ. ამისათვის ნართს წინასწარ სხვადასხვა ფერად ღებავდნენ და ფერადი ნართებით ზოლებად ქსელავდნენ. ზოლიანი ქსოვილების დამზადებისას სახედაოდ ერთი ფერის ნართს შეაქსოვდნენ, ხოლო „უჯრია-

¹³ საქ. ცენტრ. არქივი, გ. ბოჭორიძის არქივი, № 1753, გვ. 208—210.

¹⁴ გ. ბოჭორიძე, არქივის მასალები; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1933.

¹⁵ გ. ბოჭორიძე, არქივის მასალები.



ნი“ ქსოვილის მისაღებად, ისევ ფერად ნართებს შეახამებდნენ. ზოლებისა უკრედების გამოსახვა ქსოვილის ზედაპირზე გარკვეული სათვალავით ხდებოდა. სათვალავი საჭირო იყო, პირველ რიგში ქსელის დამზადებისას, ზოლიანის ქსოვის დროს სათვალავი აღარ ჭირდებოდა, „უკრებიანის“ ქსოვისას კი სათვალავი აუცილებელი იყო, რომ ფერადი საზედაო ნართიც ისეთი სიზუსტით შეექსოვათ, როგორც მისი ქსელი იყო დამზადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ქსოვილის ზედაპირზე სასურველ სახეს — უკრედებს ვერ გამოსახავდნენ.

ზოლიან ქსოვილებს „ყდებზეც“ ქსოვდნენ და „საფეიქროზეც“, კუბოკრულ სახიანს კი მხოლოდ „საფეიქროზე“. კუბოკრულ სახიან ქსოვილებს ორი დღემითაც ქსოვდნენ და ოთხითაც. ს. საბუეში და ქ. თელავში ოთხი დღემით კუბოკრულსახიანი „დიაგონალური“ ნაქსოვი „შალი“ დავამოწმეთ. მას ძირითადად საფენებად იყენებდნენ.

ძველად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფერადზოლიან შალის ქსოვილებს უფრო თუშები ამზადებდნენ. ამისათვის იყენებდნენ ვერტიკალური ტიპის დაზგებს — „აკაზმებს“ // „ყდებს“, რომლიდანაც მამაკაცის შარვლებსა და გოგონების კაბებს კერავდნენ. შალის ქსოვილებს აქ საერთოდ „ტოლი“ ეწოდებოდა. გ. ბოჭორიძის მასალების მიხედვით ფერადზოლიან ტოლს „კაჭკაჭა“ საცავო ტოლი“ ეწოდებოდა, მას ზოლები სიგრძეზე მისდევდა, იგი ფერების შეხამების მიხედვით რამდენიმე სახელით აღინიშნებოდა: „კაჭკაჭა ჭრელი“, „ჭრელ-ჭროლა ტოლი“, „თეთლეგა კაჭკაჭა“ და სხვა¹⁶. თუშები „აკაზმებზე“, „საჭიკას“ ფერადზოლიან სარტყლებსაც ქსოვდნენ (იხ. საქართველოს სახ. მუზ. ეთნოგრაფიის ქსოვილებისა და კოსტუმის ფონდში დაცული კოლ.). ხევსურეთში ქსოვდნენ ფერადზოლიან შალს — „ტოლს“, რომელსაც დაბლა სადიაცოს ე. წ. „ქოქომოს“ შემოაკერებდნენ; აგრეთვე ფერადზოლიან სარტყლებს, „ჭრელას“ და „ზიკებს“, რომლითაც ტანსაცმელს იმკობდნენ. ფერადზოლიან შალის ქსოვილებს ქართლში, ქსნის ხეობაშიც ქსოვდნენ¹⁷.

* * *

ყდაში შალს დღეში ერთ არშინზე მეტს ვერ ქსოვდნენ, მაშინ როდესაც საფეიქროში ორ, სამ, ოთხ არშინს ქსოვდნენ. ეს შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას. ყდაში ქსლის პირის გახსნა „სავორავის“ მოძრაობით ხდებოდა, რომელსაც ხელით ამოძრავებდნენ; საფეიქროში კი დგომების მოძრაობით, ამ უკანასკნელს საფეხურებით; საფეხურები ფეხის ზემოქმედებით მოდიოდა მოძრაობაში. ხელით მხოლოდ საზედაო ნართს ატარებდნენ და სავარცხლით ერთიანად ბეჭავდნენ; ყდაში ჩაბეჭვას ხის ბეჭით ახდენდნენ. ბეჭი მცირე ზომისა იყო. ამის გამო ქსელს ერთიანად ვერ ბეჭავდნენ, არამედ ნაწილ-ნაწილ, რაც, რა ოქმა უნდა, მეტ დროსა და ენერგიას მოითხოვდა. ამდენად, ყდაში შალის ქსოვა უფრო რთული და შრომატევადი იყო, ვიდრე საფეიქროში. სიმტკიცის მიხედვით „ყდის შალს“ ამჯობინებდნენ „საფეიქრო შალს“. ეს გარემოება ერთნაირად აქვთ შენიშნული საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვ-

¹⁶ საქართველოს ცენტრ. არქივი, გ. ბოჭორიძის არქივი, № 1753, გვ. 208—210.
¹⁷ ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ფეიქრობა ქსნის ხეობაში, კრ. ქსნის ხეობა, თბ., 1975.

რებთაც, სადაც კი ქსოვილების დამზადებას აწარმოებდნენ „ყდებზეც“ და „საფეიქროზეც“. მაგ., ქსნის ხეობაში ერთ-ერთი მთხრობელი აღნიშნავდა: „როგორც დღე დამეს სჯობია, „ყდის შალი“ სჯობდა საფეიქროს შალსს“¹⁸.

ამასვე უნდა უსვამდეს ხაზს ვ. კაკაბაძის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული შალის ქსოვილებისადმი უპირატესობის მინიჭება იმერულ ქსოვილებთან შედარებით¹⁹, რაც გამოიხატებოდა შალის ქსოვილების სიმკვრივესა და მასალის ღირსებაში; ამგვარი შეფასება მართებულად მიგვაჩნია, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოში „შალს“ ძირითადად ვერტიკალური ტიპის საქსოვ დაზგებზე — „ყდებზე“ ამზადებდნენ (კახეთში, ქართლში, ხევსურეთში, თუშეთში, არაგვისა და ქსნის ხეობა და სხვა), თუმცა მის პარალელურად ჰორიზონტალური ტიპის „საფეიქრო“ დაზგებსაც იყენებდნენ (კახეთი, ქართლი, ქსნის ხეობა, ხევი, ფშავი, მესხეთი და სხვ.). მაგრამ, როგორც ითქვა, „ყდის შალი“, სიმკვრივეთა და სიმტკიცით ბევრად სჯობდა „საფეიქროს შალს“. იმერეთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ქსოვილების დასამზადებლად ჰორიზონტალური ტიპის საქსოვი დაზგები — „საფეიქრო“ იყო გამოყენებული. ამდენად, ვ. კაკაბაძის შენიშვნა მართებულად მიგვაჩნია. ვ. კაკაბაძე აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებულ შალის ქსოვილებს მასალის მხრივაც უპირატესობას აძლევს. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად „თუშური ჯიშის“ ცხვარი იყო გავრცელებული, დასავლეთში კი „იმერული“. თუშური ჯიშის ცხვრის მატყლი ღირსებით სჯობდა იმერული ჯიშის ცხვრის მატყლს, რაც მისგან დამზადებულ ქსოვილების აკვარგეიანობაზე თავისებურ გავლენას ახდენდა.

* * *

შალის ქსოვილები ფართოდ იყო გამოყენებული ტანსაცმლის დასამზადებლად. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შინ ნაქსოვი (ხალხური საფეიქრო ნაწარმით) შალის ქსოვილებით იმოსებოდა. მისგან იკერავდნენ ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტებს: ჩოხას, ქულაჯას, ხალათს, შარვალს, სარტყელს, პაიჭებს, ტოლალებს, კაბას (ქვედა და ზედა ტანს), ქათიბს და სხვ. ამავე დანიშნულებით იყო გამოყენებული როგორც ადგილობრივი, ისე სხვა რაიონებიდან შემოტანილი შალის ქსოვილები. მაგალითად, გორელი დერეციკის გადმოცემით, ჩოხის შესაკერად „ქიზიყურ შალსაც“ იყენებდნენ²⁰, ე. ი. „ქიზიყური შალი“ რაიონის ფარგლებს ცილდებოდა.

ს. მაკალათიას აღნიშნული აქვს, რომ „თუშური ტოლი“ იყიდებოდა საჩოხედ და საქათიბედ და საკმაოდ ბევრი სალდებოდა კახეთში. შვიდი მეტრი საშუალო ღირსების თუშური ტოლი აქ ფასობდა 250—300 მანეთამდე²¹. თუმცა მიხეილ მაჩაბელი იმავე თუშური შალის ქსოვილების შესახებ წერდა: „...и ткацкие изделия из села Алвани на продажу почти не попадают, несмотря на громадный их спрос“²².

¹⁸ ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მასალები, 1967.

¹⁹ ვ. კაკაბაძე, შინამრეწველობა, 1967.

²⁰ ც. ყარაულაშვილი, მასალები ქარგვა-ქსოვის ხალხური წესები ქართლში (გორის რ.), 1961, ინახ. საქ. სახ. მუზ. ეთნოგრაფიის განყ. არქივში.

²¹ ს. მაკალათია, თუშეთი, 1933, გვ. 72.

²² საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გ. მაჩაბლის არქივი, № 193.



საშინაო სავაჭრო ურთიერთობის შედეგად, რომელსაც ე. წ. „მენოგენეტი“ აწარმოებდნენ, კავშირურთიერთობას ამყარებდნენ მთისა და ბარის მცხოვრებლებთან. ამ მხრივ საინტერესოა ნეკრესის ეკლესიის საბუთი — პირობის წიგნი, რომელიც შედგენილია 1796 წ. 22 ივლისს, სოფ. შილდის მკვიდრის ამგროსი ნეკრესელის, თავადებისა და სოფლის მიერ მენოგენეთა თაობაზე: „...შარშანს წინ, ქკს უპბ მენოგენეთა ისხდნენ სვიმონა, ანტონა, მიკურტუმა და პეპანა: ახლა ამ წლის თარიღში ჩვენ ერთობით ეს პირობა გამოვართვით, რომ რადგან მენოგენეთ აღარ დასხდნენ, ამათ აქ შილდაში აღარ ივაჭრონ რა, აღარც არა იყიდონ და აღარც არა გაჰყიდონ, არც მთილამა და არც ბარილამა. ამათს გარდა ვინც ფეიქრები არიან, გრიგოლამა თუ სხვამ, ან მთილამ ან ბარილამ ივაჭრეს რამე, სალამათს იმას გამოვართმევთ ათორმეტს თუმანსა, ამგროსი მენოგენებს“²³.

მართალია, ქსოვილების დამზადება ქალთა საქმიანობად ითვლებოდა, მაგრამ აღნიშნული საბუთიდან ირკვევა, რომ ფეიქარი ხელოსნები მამაკაცები იყვნენ; ეს დამახასიათებელია მხოლოდ ბარისათვის (კახეთი, მესხეთი, ქართლი), მთაში კი ამგვარ გარემოებას არა აქვს ადგილი.

კახეთის ბაზრებზე (თელავი, სიღნაღი და სხვა) ვაჭრებსა და დერციკებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ლეკური შალის ქსოვილები, ძირითადად იგი ნუხიდან მოჰქონდათ, ზოგჯერ თვითონ ლეკებსაც ჩამოჰქონდათ. ლეკური შალის ქსოვილები სხვადასხვა ხარისხისა იყო, ზოგი აბრეშუმნარვეიც ყოფილა და სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: „მუხახის შალი“, „აყოშა შალი“, „ქობაჩის შალი“, „ბოლოზის შალი“, „კარატის შალი“, „ხუნძახის შალი“, „აქლემის ყელის შალი“ და სხვა. ლეკური შალის ქსოვილები დაუმუშავებელი შემოჰქონდათ. იგი ძირითადად თეთრი ფერისა იყო და მოუთელავი. მას თბილი წყლითა და საბნით ასველებდნენ და ფეხით თელავდნენ. მოთელილ შალს კი ლევადნენ სხვადასხვა ფერად: ლურჯად (ლილაში), წაბლისფრად, მრეშს (კაკლის წენგოში) და სხვა. სამოსლის ფერები ასაკის შესაბამისად იხმარებოდა ე. ი. მასში ასაკობრივი დაყოფა შეინიშნებოდა. მაგ., თეთრი, და წყლისფერი, შალი სანეფოდ იხმარებოდა ლევა — ყველა ასაკში ჩაიცმებოდა, შუაკაცობამდე; აქლემის ყელის ჩოხას ჯეილობა იცვამდა. მრეშს იცვამდნენ შუაკაცობიდან — სიბერემდე. შავ ან მუქი ლურჯი ფერის ჩოხებს ცოლიანი მამაკაცები იცვამდნენ²⁴.

„აქლემის ყელის შალი“ ყვითელი ფერისა იყო, წმინდა და რბილი. მისგან ჩოხებს, ყაბალახს და ქალის კაბებს კერავდნენ. „აქლემის ყელის შალი“ ძვირად ფასობდა და მისგან შეკერილ ჩოხებს უფრო თავადები იცვამდნენ. ზოგი ყვითელი ფერისასვე იკერავდა, ზოგი შავად ალებინებდა.

გლეხობა უფრო „აყოშას“ და „ქობაჩის“ შალს ხმარობდა, ზოგი „ხუნძახის“ და „მუხახის“ შალის ჩოხებსაც იკერავდა. „მუხახის შალი“ — ნახევარი მატყლი და ნახევარი აბრეშუმი იყო, ქსელი „ბაწრისა“ და ზედად აბრეშუმი ეყარა. გლეხური ჩოხა ჩაქიანიც იყო და ნაოჭიანიც. თითო ჩოხას ათი-თორმეტი არშინი შალი უნდოდა. საჩოხედ ბოლო დროს „იმერულ შალსაც“ ხმარობ-

²³ ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, 1953, გვ. 394.
²⁴ შინამრეწველობის მასალები, შიგნით კახეთი, ქ. თელავი, ტანისამოსი, გვ. 340, 341—343.



დნენ. „იმერული შალისას“ „ჩერქეზულ ჩოხებს“ იკერავდნენ და „ქართული ჩოხას“ კი „ლეკური შალისას“²⁵.

მთხრობელთა ჩვენებით, ძველად დარბაისელი ხალხი უფრო „კაბას“ ატარებდა, რომელიც ნაოჭიანი და ყურთმაჯიანი იყო; მასალად შავი მათედი იმპარებოდა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია მამაკაცის ყურთმაჯიან კაბაზე, რომელსაც შეძლებული და მაღალი წრის დარბაისელნი იცვამდნენ. ირკვევა წოდებრივი განსხვავება. სხვადასხვა წრის ხალხი სხვადასხვა მასალისა და ხარისხის ქსოვილებს ხმარობდა.

ისტორიულ საბუთებში დაცული ცნობებით ირკვევა, რომ ლეკური ანუ დაღესტნური შალის ქსოვილები საქართველოში შემოჭქონდათ. 1808 წლის საპატრიარქო ბაჟის ნუსხაში აღნიშნულია: „რომ წაიღონ კახეთს... (უზალთუნი) ქ. თუ ქობაჩის შალს მოიტანენ. (უზალთუნი) ქ. ამათგანვე მოიტანეს წამოსასხამს ნაბადზე. (1/2 შაური) ლეკურს შალზე“²⁶.

XVIII ს. შუა ხანების ნუსხაში აღნიშნულია „ლეკური შალის ჩოხა უხმარებელი... შალის სარტყელი“²⁷.

ზაალ ეშვიკაბაშვის სალეკო თეთრის ნუსხაში 1779 წ. სხვა ნატურალურ გადასახადთან ერთად შალის ქსოვილებიც იხსენიება: „ქ. ჩოფიკას-შვილის სახელოს სტეფანწმინდიდან ცხვარი ია, ხუთი ადლი ტილო და ორი აბაზი თეთრი ერთ ცხვარად, შალი ერთი ცხვრათ, ჩოხაც ცხვრათ, ერთი საკიდელი ცხვრათ. ქ. გაიბოტელი ცხვარი ე., შალი ქ. ტყარშეთილამ ცხვარი იბ. შალი ა, ტილო და ორი აბაზი ერთს აპატივა“. ამავე საბუთში აღნიშნულია აგრეთვე ხევის, გუდამაყრის, ქართლის სოფლები, სადაც სალეკო გადასახადის ასაკრეფად დასახელებულია ცხვარი და სხვადასხვა ქსოვილები: შალი, ტილო, ჯეჯიმი, ტომარა, ჩოხა, შარვალი და სხვა²⁸.

* * *

აღსანიშნავია, რომ საქსოვი დაზგების ნაირსახეობა ქსოვილის სახელწოდების განმსაზღვრელად გვევლინება: მაგ., „ადგილის დაზგაზე“ მოქსოვილ შალს — „საფეიქროს შალი“ (მესხეთი), „ყდაზე“ მოქსოვილის „ყდის შალი“ (კახეთი, ქართლი).

ქსოვილის სახელწოდებას ზოგჯერ ტექნიკური პროცესიც განსაზღვრავდა. მაგ.: „წალმა შალი“, „წალმა-უკულმა შალი“, „დიაგონალური“, „თევზიფხური“ და სხვა. პირველი ორი სახელწოდება ნართის გრეხილობის დამზადების მიხედვით არის აღებული და დართვის ტექნოლოგიური პროცესის გამომხატველია, უკანასკნელი ორი სახელი კი ქსოვილზე მიღებული სახეების აღნიშვნელია. საერთოდ ქსოვილის სახელწოდებაში ზოგჯერ თავს იჩენს საქსოვი იარაღის სახელი — „ადგილის შალი“, „საფეიქრო შალი“, „ყდის შალი“, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ქსოვილების დამზადება რამდენიმე სახის დაზგაზე წარმოებდა. ზოგჯერ საქსოვი იარაღის ნაწილის სახელიც ჩანს. მაგ., ხევსუ-

²⁵ შინამრეწველობის მასალები, შიგნით კახეთი, ქ. თელავი, ტანისამოსი, გვ. 340—343.

²⁶ ნ. ბ. რ. ძ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, წ. I, 1938, 201, 311.

²⁷ ნ. ბ. რ. ძ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, დასახ. ნაშრ., წ. III, 1955, გვ. 165.

²⁸ დასახ. ნაშრომი. წ. III, გვ. 65, 66.



რეთში შალის ქსოვილის აღმნიშვნელი სახელება „ცალშიანი ტოლი“, „ორშიანი ტოლი“ და სხვ. „შე“ იგივე საშეგარი-ყდის დგომია. ერთი „შეთი“ სხვათაგან სხვის ქსოვილი (სადა, ტილოსებური ან ქსლიანი რეთსი) იქსოვებოდა, ორი „შეთი“ კი სხვანაირი სახის. ამ უკანასკნელს ზედაპირზე ირიბი დიაგონალური ხაზები გასდევდა, რაც ერთგვარად „სარყულ ხლართიანი“ დიაგონალური ქსოვილის ზედაპირს გვაგონებს.

ამრიგად, მატყლის ქსოვილების ნაირსახეობას და მათ შესაბამის სახელებს განსაზღვრავს, როგორც ნართის ხარისხი და მისი დამზადების წესები (გრეხილობის მიხედვით „წალმა“ და „უკუღმა“), ისე ქსოვის ტექნოლოგია, რომლის შედეგადაც განსხვავებული ზედაპირის ქსოვილები მიიღება. აგრეთვე, ქსოვილის სახელწოდებაში ზოგჯერ საქსოვი მასალის სახელიც მოჩანს; განსაკუთრებით, როცა იგი სხვადასხვა მასალით არის დამზადებული („ხამშალა“, „შალ-აბრეშუმი, „სელ-აბრეშუმი“ და სხვა).

ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალებით ქსოვილის სახელის განმსაზღვრელად ხშირად ეთნიკური ან გეოგრაფიული ადგილის (ქვეყნის, მხარის, სოფლის, ქალაქის მიკრორაიონის) სახელიც ჩანს, მაგ., „ქიზიყური შალი“, „იმერული შალი“, „ონური შალი“ „მუხახის შალი“, „ლექური შალი“, „ქვემოური შალი“, „ქისტურად ტოლად“²⁹, იბერიული ტილო“³⁰, „კოლხური სელი“³¹, „ოსური შალი“, „ქირმანის შალი“³², „ქობაჩის შალი“³³, „რიზაის შალი“³⁴, „ფრანგის შალი“³⁵, „კახური მერდინი“, „იმერული თავთა“³⁶, „ჰინდის ყირმიზი თავთა, განჯის მოვი, „იეზიდის მოვი“, თავრიზის თავთა, ნასრხანის ჩითი“³⁷, ფრანგის ატლასი, ინდოური დაწინწკლული ყალანქარი“³⁸, ქვემოური ქეჩა, ქალაქური იანქეჩა, ქალაქის ჩითი“³⁹ და სხვა.

ქსოვილის სახელის განმსაზღვრელად ზოგჯერ დანიშნულება გვევლინება: მაგ. „საჩოხე შალი“, „საყაბალახე შალი“, „საქათიბე ტოლი“, საკაბე შალი, საშარვლე, „სამეცხვარეო ტოლად“, „სადიაცო ტოლად“, „საკაცო ტოლად“⁴⁰. ეს სახელები მიუთითებენ ფუნქციაზე და აგრეთვე სქესობრივ განსხვავებაზე, რის გამოც განსხვავებული ხარისხის ან ფერის შალი მზადდებოდა.

ამრიგად, ქართული ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალებით სასამოსლე მატყლის ქსოვილების აღმნიშვნელ სახელად „შალი“ იხმარებოდა; მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, ხევი, თუშეთი) მას „ტოლი“ ეწოდებოდა.

²⁹ საქ. ცენტრ. არქივი, გ. ბოჭორიძის არქივი, № 1753, გვ. 208—210.

³⁰ ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI—XIV); თბილისი, 1964.

³¹ Геродоте, т. II, 105.

³² ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, ტ. III, 1955, გვ. 355.

³³ იქვე, გვ. 29, 292, 293, 304, 311, 220. შალი ქსოვილის სახეობა. ქობაჩი—სოფელი ლეკეთში, საიდანაც საჩოხე შალები მოჰქონდათ (გრძ.); დანართი I, II, III, წიგნების ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა მ. ბერძენიშვილმა, თბ., 1958.

³⁴ იქვე, III წ. 535; რიზე ქალაქი და ვილაიეთი თურქეთში შავი ზღვის პირას, რიზაის შალი, რიზეში დამზადებული.

³⁵ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. III, გვ. 232.

³⁶ იქვე, გვ. 201, 231.

³⁷ იქვე, გვ. 231—232.

³⁸ იქვე, გვ. 248.

³⁹ იქვე, გვ. 259, 232.

⁴⁰ ბოჭორიძის არქივი, ფონდი № 1753, გვ. 208—210.



გ. ჩაჩაშვილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე აღნიშნავს, რომ „მეგრულში ლართი ეწოდება შალს. იგი მზადდება გაზაფხულის მატყლისაგან და საჩოხედ ხმარობენ“⁴¹.

საბას განმარტებით, „ლართი“ საწვიმარი ნაბადია“⁴². საბასთან სიტყვა-ნაბადსაც ვხვდებით, მისი განმარტებით „ნაბადი შეთელილი“-ა. როგორც ჩანს, შეთელილი ნაბდები სხვადასხვანაირი იყო, რომელთა აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინები გვხვდება — „თაქნაბადი“ და „თეჭა“, ისინი ქვეშაფენელ საგებელის აღნიშვნელ სახელთან — „ტერის“ განმარტებასთანაა მოცემული.

ამრიგად, „ლართი“ სულ სხვა მნიშვნელობის სიტყვაა და საჩოხე შალის ქსოვილთან საერთო არაფერი აქვს.

ივ. ჯავახიშვილი და დ. ჩუბინაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ შალი სპარსული სიტყვაა — کاش — შალ სპარსულად ქსოვილის სახელია; თურქულად წამოსასხამსაც ნიშნავს. ცენკერის ლექსიკონის მიხედვით, کاش შალფეში სპარსულად ეწოდებოდა მატყლის მსხვილ ქსოვილს⁴³. საყურადღებოა, რომ დალესტნის ერთ-ერთ სოფელს „შალი“ ეწოდება. საბა 3 მეფეთა 21²⁷-ზე დაყრდნობით „ლაზლის შალს“ „ძაძას“ უწოდებს. მისივე განმარტებით, „ლაზა“ — მატყლის მკედია მსხვილი“ (ლექსიკ.)⁴⁴.

ივ. ჯავახიშვილს ამავე საკითხის დასასაბუთებლად მოჰყავს „დაბადებიდან“ გარკვეული ტექსტები, სადაც აღნიშნულია მატყლი, როგორც შესამოსელი, ქსოვილის მნიშვნელობით: „აჰა ეგერა სძესა შეშუამთ და მატყლსა შეიმოსთ (ეზეკ. 34₃: ოშკ). „რუჴს შევიდოდიან იგინი ბჭეთა ეზოჲსა მის შინაგანისათა სამოსელი სელისაჲ შეიმოსიდიან და არა შეიმოსიდიან მატყლისაჲ“ (ეზეკ. 44¹⁷ ოშკ). „განვძარცო მისგან მატყლი ჩემი და სული ჩემი რომლითა დაფარვიდენ სირცხვლთა თუსთა“ (ოსესი 2₉). „ტყავი მისი და ...ფაშუნიერითურთ მისით დაიწყეს და მოიღოს მღღმან მან ძელი ნაძუსაჲ და უსუბი და მატყლი მეწამული“ (რიცხუთაჲ, 9₅₋₆). „ანუ შეიმოს სამოსელსა, რისა მატყლი და სელი შესთულად მოქსოვილ იყოს“ (2 შჯულ 22¹¹)⁴⁵. ამ შემთხვევაში მატყლი მასალის მნიშვნელობით არის მოხსენიებული: „სამოსელთა სელისათა შეიმოსოდიან და არა შეიმოსიდიან მატყლიერთა მსახურებასა შინა“ (ეზეკიელი. გვ. 719)⁴⁶.

როგორც ზემოაღნიშნული ტექსტიდან ირკვევა, რელიგია კრძალავდა „მსახურებასა შინა“ მატყლის სამოსლის ხმარებას. ამ გარემოებას ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება: „მღვდლებს ნება არა ჰქონდათ მატყლის ჩაცმისა და სელის ქსოვილით იმოსებოდნენ“⁴⁷.

ჩვენში კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საისტორიო წყაროების (ელისაბოლნელის წარწერა IX—X სს. და ც¹ იო¹ვნსი და ეფვთ¹მსი X—XI სს.) მიხედვით, მონასტრის მსახურთ, ქართველ ბერებს შესამოსლად ჰქონიათ „ჩოვა“,

⁴¹ გ. ჩაჩაშვილი, ქართული გლეხი მამაკაცის კოსტუმი XIX ს-სა (მუზეუმის მასალების მიხედვით), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 397.

⁴² სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV², 1965, სიტყვასთან „ლართი“.

⁴³ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. III—IV, გვ. 165.

⁴⁴ საბა, დასახ. ნაშრ.

⁴⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. III—IV, გვ. 123, 162.

⁴⁶ იქვე, გვ. 98.

⁴⁷ იქვე, გვ. 161.



რომელიც შალის ქსოვილს ნიშნავს; აგრეთვე ზოგიერთი მათგანი „ფიჩვის სახელით ცნობილ მატყლის სამოსელს ხმარობდა, რის გამოც მათ „ფიჩოსანი“ ეწოდებოდათ⁴⁸. ეს გარემოება შეიძლება შემდეგი მიზეზებით აიხსნას; სამხრეთის ხალხებისათვის მატყლის სამოსლით შემოსვა არ იყო მიზანშეწონილი კლიმატური პირობების გამო; ჩრდილოეთის და მთის ზოლის ხალხთა სამოსლად კი პირიქით მატყლის ქსოვილის ხმარება სასარგებლოც იყო.

ივ. ჯავახიშვილი, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, ძველ საქართველოში ტანისამოსისათვის გამოყენებულ ქსოვილთა შესახებ აღნიშნავდა, მატყლის ქსოვილების ერთ-ერთი სახეობა ფიჩვი უნდა ყოფილიყო. ამის დასაბუთებლად მოჰყავს IX—X სს. ელია ბოლნელის წარწერა: „აწ ვინ შემდგომად ჩემსა ესე ღამისთევად და ზედაშე ამის ეკლესიისაგან და ფიჩოსანთა (ფჩსთა) შესცვალოს“, შეჩვენებული იყოსო (ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენის ისტორიისა და მატ. კულტ. მოამბე, III, 339)⁴⁹. აგრეთვე, გიორგი მთაწმინდელს აღნიშნული აქვს, რომ: „იყო რაა თორნიკ აღმოსავლეთს (ე. ი. საქართველოში), მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მონაზონნი: ჩამოიტანნა, სიმრავლე არა მცირედი და ენება, რათა ქართველნი ოდენ იყვენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი“-ო (ცაი ოგნისი და ეფთმსი, გვ. 13)⁵⁰. ამ მასალებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ბერების სამოსელი თავდაპირველად საქართველოში ფიჩვისაგან იკერებოდა, იქედანაც ჩანს, რომ მონაზონს მარტივად ფიჩოსანიც ეწოდებოდა⁵¹.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის მიხედვით ირკვევა, რომ ფიჩვის ერთ-ერთი თავდაპირველი მნიშვნელობა მატყლის ქსოვილის აღმნიშვნელი სახელია, რომლითაც ბერები იმოსებოდნენ, მხოლოდ ისიც გარკვეული კატეგორიისანი და ამის მიხედვით მათ „ფიჩოსანი“ ეწოდებოდათ.

საბა „ფიჩვის“ რამდენიმე სახესხვაობას იძლევა, რომლის მიხედვით „ფიჩუ-მატყლის ფარდაგია“. თხელი ფიჩვი ხირაულია, კედლის ფარდაგი სარაფანდა, ხოლო ბალნის ფიჩვი//ფლასი, ბალნისა—კილიკი (წმინდა ნინოს ცხოვრებაზე დაყრდნობით). საბას ფიჩვუ, ხირაული, კილიკი და სხვა ქვეშ საფენელ და საგებლის ზოგად სახელთან—ტერთან აქვს გაიგივებული. ფიჩვის ამგვარი განმარტება ასახვას პოულობს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მესხეთ-ჯავახეთში ფიჩვი მატყლის ფარდაგს ეწოდება; ფიჩვი ბალნის საფენებსაც ეწოდებოდა; მხოლოდ პირველისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს „ბალნის ფიჩვს“ უწოდებდნენ. ქსნის ხეობაში ფიჩვი მხოლოდ ბალნის საფენის აღმნიშვნელ სახელად გვხვდება⁵².

ამრიგად ფიჩვი, ერთი მხრივ, მატყლის ქსოვილის აღმნიშვნელი სახელია, რომლითაც ბერები იმოსებოდნენ, მეორე მხრივ, საფენი და კედლის შესამკობელი — „დამოსაკიდებლი“ კედელთ ფარდაგია.

მატყლის ქსოვილის აღმნიშვნელად ძველად საქართველოში „ჩოვაც“ გვხვდება; როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, აღნიშნული სახელი თურქულსა და სპარსულში ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა. რაკი ქართულში მხოლოდ IX—X სს. ჩნდება, საფიქრებელია, ეს ტერმინი სპარსულიდან იყოს შეთვისებული, ვიდრე თურქულიდან, რომლის გავლენა ამაზე უფრო გვიან ხდება⁵³.

⁴⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., ტ. III—IV, გვ. 49, 153.

⁴⁹ იქვე, გვ. 163.

⁵⁰ იქვე.

⁵¹ იქვე.

⁵² ც. ყარაულაშვილი, ტერმინი ფიჩვას საკითხისათვის, ხელნაწერი.



საბას განმარტებით, „ჩოჯა“ მატყლის სამოსელია⁵⁴. „ჩოჯა“-ს ამგვარი გვხვდება ეთნოგრაფიული მასალებითაც მოწმდება. როგორც ჩანს, შემდეგში სამოსლის ერთ-ერთი ელემენტის კონკრეტულ სახელად იქცა, კერძოდ მამაკაცის ზედა საცმელის, რომელიც მატყლის ქსოვილისაგან მზადდებოდა, თუმცა თუშეთსა და ხევსურეთში „ჩოჯა“ ქალის ზედა ჩასაცმელსაც ეწოდებოდა. ამის დადასტურებას ვხვდებით ფ. გორგიჯანიძის ნაშრომში: „ერთს ლამეს დედოფალმა თუშური ჩოხა ჩაიცვა...“⁵⁵.

აჭარიანის სომხური ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით ირკვევა, რომ ტერმინი „ჩოხა“ სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით ფართოდ ყოფილა გავრცელებული აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სპარსული čuxa აღმოსავლეთიდან ბალკანეთამდე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. მაგალითად, ქართულში čuxa, čoxa, čuka, თურქულში čuga, არაბულში čuxa, ლაზურში čoxe, იგივე τσοχα (სოფოკლეს ლექსიკონი, 1081) — τσοχεვიος, სერბიულში, čoha, čoha, ბულგარულში čoha, სლოვაკურში čuha, ახალი სლავური čoha, უნგრულში csuha, csoha, პოლონურში czucha, czuha czuhaj, czuja, czujka, szuja, უკრაინულში čuha, čuhana, რუსულში чуха (Bernener, 158) (ჰუმბოლდტი 273). (ტ. V, 1926—32 წწ., გვ. 761).

ი. აბულაძის ცნობით, „ჩოხა“ ქართულში შემოსული უნდა იყოს VIII—IX სს-ში⁵⁶.

ამ ტერმინის გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტის ცნობა: „ქართველთა... ტანს კაბა მოსიათ ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა“⁵⁷. ამრიგად, ვახუშტის მიხედვით „ჩოხა“ ქსოვილის აღმნიშვნელი სახელია, „ჩოხის“ ამგვარ გაგებას ზოგიერთი ეთნოგრაფიული მასალებიც მოწმობენ; შდრ. რაჭული „ჩოხის შარვალი“⁵⁸. ცნობილია სიტყვა „ჩოხის“ მეორე მნიშვნელობაც — მამაკაცის ზედა ჩასაცმელი (რომელიც მატყლის ქსოვილისაგან მზადდებოდა). ამ მხრივ საინტერესოა აჭარული „ჩოხა-შალი“, რომლითაც მამაკაცის ზედა ჩასაცმელსა და მატყლის ქსოვილსაც აღნიშნავდნენ⁵⁹. ეს ტერმინი „ჩოხა“ ასეთივე მნიშვნელობით დაღესტნის ხალხებშიც გვხვდება.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ივ. ციციშვილი აღნიშნავდა, ჩოხას აქვს სამი გაგება: იგი წარმოგვიდგება, როგორც ხალხური ზედა სამოსის ერთ-ერთი სახე, მონაზონთა შესამოსელი და შალის ქსოვილის ერთ-ერთი სახესხვაობა⁶⁰.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სიტყვა „ჩოხა//ჩოჯა“ ქართულში VIII—IX სს-ში შემოდის; თავდაპირველად იგი მატყლის ქსოვილს ეწოდებოდა, ხოლო შემდეგში ეს სახელწოდება თვით მატყლის ქსოვილისაგან შეკერილი ზედა სამოსის კონკრეტულ სახელად იქცა.

53 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.
 54 ს ა ბ ა, დასახ. ნაშრომი.
 55 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99.
 56 გ. ჩ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 402.
 57 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ.
 58 გ. ჩ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 401.
 59 ი. ს ა მ ს თ ი ა, აჭარული მამაკაცის კოსტუმი, ხელნაწერი.
 60 ივ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954,

* * *

ცნობილი იყო აგრეთვე „თივთიკის შალი“. იგი რბილი, ნაზი ქსოვილი იყო, თავისი მაღალი თვისებების გამო საუკეთესოდ ითვლებოდა და ძვირად იყიდებოდა. მისგან იკერავდნენ: ყაბალახებს, კაბებს, ჩოხებსა და სხვ. ეთნოგრაფიულ ყოფაში ტერმინი თივთიკი წარმოდგენილია ფონეტიკური სახესხვაობით: „თივთიკი“ (ხევი), „თიფიკი“ (ქართლი), „თიმთიკი“ (რაჭა), „თინ“, „თინთიკი“ (თრუსოს ხეობის ოსები).

„თივთიკის შალს“ ამზადებდნენ „თხათა რბილთა თმათაგან, რომელსაც საბა „თხისურს“ უწოდებდა. საბა „თივთიკს“ სხუთა ენად მიიჩნევს. ქართულად თხისური ჰქვიაო“⁶¹. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ თხისური მხოლოდ რბილსა და ნაზ თმას ნიშნავდა, ეს განმარტება ვახუშტის ცნობას („რომ ჰირისუფალნი ძველ საქართველოში“ შთაიცივიან ძაძა-ფლანსი და დაიბურთან თავსა თხისურნი ჩაჩნი“) ⁶² არ უდგება. რაკი ჰირისუფალნი მწუხარების ნიშნად კარგსა და რბილი ქსოვილისაგან შეკერილ სამოსლის მაგიერ სწორედ მსხვილი და უხეში ქსოვილისაგან გაკეთებულს იცვამდნენ, ამიტომ შემომოყვანილ ცნობაში არას გზით თხისური არ შეიძლებოდა თხის ნაზი და რბილი ბალნისაგან შემზადებული ქსოვილის სახელად ვიგულისხმოთ, არამედ პირიქითო⁶³.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტის ცნობაში იქვეა აღნიშნული უხეში ბალნის ქსოვილი „ფლასი“, რომლითაც ტანს იმოსავდნენ; როგორც ქვემოთაც დავინახეთ, საბას განმარტების თანახმად „ფლასი ბალნის ძაძაა“. ამავე დროს, თავზე რბილი ქსოვილის „თხისურ-ჩაჩს“ — გრძელ ქუდს იხურავდნენ. ამ შემთხვევაში თხის ბალნის უხეში და რბილი ქსოვილია დასახელებული.

ივ. ჯავახიშვილი ცენკერის (თურქული, არაბული, სპარსული) ლექსიკონზე დაყრდნობით ტერმინ თივთიკის შესატყვის თურქულ სიტყვას, *تاراج*, შიხე უდარებს, სადაც ეს სახელი ანგორის თხის ბალნისაგან მოქსოვილი ნაზი ქსოვილის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება⁶⁴.

ეთნოგრაფიული მასალებითაც ცნობილია, რომ თივთიკი ყველა თხას არა აქვს. თივთიკი მხოლოდ გარკვეული ჯიშის თხას და ჯიხვს აქვს. თივთიკი შიგნით არის მოთავსებული, შემოდან კი უხეში ბალნით არის დაფარული. თხას წელიწადში ერთხელ რკინის სავარცხლით გამოვარცხნიან (ხევი, თრუსოს ხეობა), ან მაკრატლით გაკრეჭენ (აჭრიან უხეშ ბალანთან ერთად), შემდეგ მას პენტავენ მშვილდით, ჩეჩავენ ცალკილა საჩეჩელზე და ართავენ თითისტარზე.

ამრიგად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ „თხათა რბილთა თმათაგან-თივთიკისაგან რბილ, ნაზ ქსოვილებს ამზადებდნენ, რომელსაც „თივთიკის შალი“ ეწოდებოდა; ხოლო უხეში ბალნისაგან უხეშ ქსოვილებს, რომლისაგანაც „ყისინას“-საბანს, ტომრებს, ხურჯინს, თორბას, „ფიჩუს“ ამზადებდნენ⁶⁵. ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ბალნის ქსოვილს ძველად სამგლოვიარო სამოსელადაც ხმარობდნენ, რომელსაც „ფლასი“ ეწოდებოდა.

⁶¹ საბა, დასახ. ნაშრ.

⁶² ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

⁶³ ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

⁶⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

⁶⁵ ც. ყარაულაშვილი, ტერმინ ფიჩვის საკითხისათვის, ხელნაწერი, 1970.

ვახუშტის აღნიშნული აქვს, „ჭირისუფალნი ძველ საქართველოში შთა-
ცივიან ძაძა-ფლასნი და დაიბურვიან თავსა თხისურნი ჩაჩნი“⁶⁶. ჩანს, „ძაძა-ფლას-
სნი“ სამგლოვიარო ტანსაცმელი ყოფილა. სამგლოვიარო სამოსელი უბრა-
ლო მსხვილი შალისა, შესაძლებელია თხის ბალნისაგანაც მზადდებოდა; საბა-
ც ასე განმარტავს: „ფლასი ბალნის ძაძა“⁶⁷.

ფლასი სამგლოვიარო ტანსაცმლის მნიშვნელობით ვეფხისტყაოსანშიც
არის მოხსენიებული: „აქათ სამ წელს არ მოვიდე. მაშინ გმართებს გლოვა.
ფლასი“⁶⁸. ხოლო სამგლოვიარო მანდილი — „ხლა“-ს სახელით არის აღნი-
შნული: „შავი ხლა თავსა ჰსლებია“⁶⁹. ფლასი ამავე მნიშვნელობით ვისრამიან-
შიც გვხვდებამ: „ჩემი გული გამაძლარა ამა საწუთროისა სიცოცხლითა; არად
მინდა არ ჩავიცუამ ტანისამოსსა, არცა დავჯდები ტახტსა ზედა. ჩემი ტანისა-
მოსი ფლასია და ტახტი მიწაა, და ნადიმი ჩემი მოთქმა“ (ვის. 59)⁷⁰.

საბა ბალნის ფლასს ბალნის საფენელ-საგებელთან (ბალნის ფიჩვი, ყისი-
ნა) აიგივებს და მათ ზოგადი სახელის „კილიკის“ ქვეშ აერთიანებს. „კილიკი
(„წმინდა ნინოს ცხოვრებაში“) ფლასი ბალნისა, ბალნის ფიჩვი, ყისინა, გინა
ჯორჯის შემაწუხებელი რამე, ბალნის ფიჩვი CD. „სარეცლად მათ და იყო
კილიკი მცირე E“⁷¹.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი) ეთ-
ნოგრაფიული მასალებით ფლასი საფენია, რომელსაც ლოგინის მაგიერადაც
ხმარობდნენ — ქვეშაც იფენდნენ და ზედაც იხურავდნენ: ისე, როგორც „ყი-
სინას ქართლში, ხევში და ოსეთში“⁷².

ამრიგად ირკვევა, რომ ზემოდასახელებული მატყლის ქსოვილების აღმნი-
შნელი სახელები სხვადასხვა ხასიათის, წარმოშობისა და ნაირსახეობის გა-
მომხატველია. სასამოსლე მატყლის ქსოვილის ქართული ტერმინი, როგორც
ჩანს, კიდევ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

* * *

მატყლისაგან ქსოვილების დამზადება საქართველოს ტერიტორიაზე
მცხოვრები მოსახლეობისათვის ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი, რასაც მოწ-
მობენ არქეოლოგიური მასალები. სხვადასხვა ხარისხის ყველაზე უძველესი
მატყლის ქსოვილის ნიმუშები ბედენის აკლდამიდან მოგვეპოვება (ძვ. წ. ა.
III ათასწლეულის ბოლო)⁷³. ამავე პერიოდს ეკუთვნის კახეთში ილტოს ნამო-
სახლარის კერამიკულ ჭურჭელზე მოცემული ქსოვილის ანაბეჭდები⁷⁴, რომე-

⁶⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრ.

⁶⁷ ს ა ბ ა, დასახ. ნაშრ.

⁶⁸ შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

⁷¹ ს ა ბ ა, დასახ. ნაშრ.

⁷² ყისინა, უხეში შალის ქსოვილი, რომელსაც ძირითადად თხის ბალნისაგან ამზადებდნენ, აგრეთვე მატყლის. მას ერთ ფერს ქსოვდნენ. რამდენიმე განს ჩააკერებდნენ და საბნის მაგიერ ზედ იხურავდნენ, განსაკუთრებით მწყემსები და ღარიბი ხალხი. ისტორიული საბუთების მიხედვით ყი-
სინისა ტომარა და თორბაც უკერნაით. ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ტერმინი ფიჩვის საკითხის
თვის, ხელნაწერი, 1970.

⁷³ ტ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბედენის აკლდამა.

⁷⁴ III. Д е д а р и ш в и л и, Памятники эпохи ранней и средней бронзы, Труды
кахетской археологической экспедиции, I, 1969, с. 53, рис. 12.



ლიც შესაძლებელია მატყლის ქსოვილისა იყოს. მეტად მნიშვნელოვანია შა-
ლის ქსოვილის ნაშთი მარტყოფიდან (ადრებრინჯაოს ხანა)⁷⁵ (იხ. ტაბ. I, სურ.
2). იგი დიდ მსგავსებას პოულობს კახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამო-
წმებულ „თევზიფხურ“ სახიან მატყლის ქსოვილთან. როგორც აღვნიშნეთ,
„თევზიფხურ სახიანი“ ქსოვილი ოთხდგიმიან საფეიქროზეა დამზადებული და
იგი სარყულხრათიან ქსოვილების ჯგუფს ეკუთვნის (იხ. ტაბ. I, სურ. 3). ამ-
რიგად, თუ კი მარტყოფში ადრე ბრინჯაოს ხანის მასალებში მოპოვებული
ქსოვილიც „თევზიფხურ სახიანი“ ქსოვილივით ოთხი დგიმით არის ნაქსოვი,
მაშინ, ჩვენში ადრებრინჯაოს ხანისათვის სავარაუდო ჩანს ოთხდგიმიანი
საქსოვი დაზგების გამოყენების შესაძლებლობა. საყურადღებოა ის ფაქტი,
რომ ამავე პერიოდის მასალებში მოპოვებულია ანალოგიური ქსოვილის ნაშთი
(ბედენის აკლდამა)⁷⁶. ამრიგად, ეს ფაქტი მეტად საინტერესო და მნიშვნელო-
ვანია ტექნიკის ისტორიისა და ხალხური ქსოვის ისტორიის თვალსაზრისით.

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნების (სირია, მესოპოტომია, ალე-
ქსანდრია) მხოლოდ ანტიკურ ხანაში გაცნენ მრავალდგიმიან საქსოვებს⁷⁷, აღ-
მოსავლეთ საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის მოსახლეობა ჩანს უკვე და-
უფლებული იყო ოთხდგიმიან საქსოვებს. თუმცა ახალი სამეფოს პერიოდის
ეგვიპტის მოსახლეობა დგომისაფხურიან ორდგიმიან დაზგებს უკვე იცნობდა⁷⁸.

ამასვე მოწმობს უფრო მოგვიანო ხანის მასალებში — ბაგინეთში (არმაზ-
ციხე) აღმოჩენილი ფერადსახიანი მატყლის ქსოვილი (ა. წ. II ს.)⁷⁹. იგი ძალიან
წმინდა ნართისაგან არის დამზადებული, ქსლის ორი ფერის ნართის მონა-
ცვლეობით რთული გეომეტრიული სახეა ჩაქსოვილი, რომლის დამზადების
ტექნოლოგია რთულია და მხოლოდ მრავალმაქოიან საქსოვ დაზგაზე შეიძ-
ლება მოიქსოვოს⁸⁰.

საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში მრავალ ადგილას აღმოჩნდა მატ-
ყლის ქსოვილები, რომელთა შორის შეინიშნება ნაირსახეობა, როგორც ნარ-
ტის ხარისხის, ისე ქსოვის ტექნოლოგიური წესების მხრივ, რომელთა დაწვრი-
ლებით განხილვას აქ აღარ შევუდგებით⁸¹.

ზემოაღნიშნული ნათლად მეტყველებს, რომ ქართველი ტომები ნაირი
სახის მატყლის ქსოვილების დამზადების ხელოვნებას ადრევე დაუფლებიან

⁷⁵ აღნიშნული ქსოვილის ფრაგმენტი მოიპოვა და შესასწავლად გადმოგვცა არქეოლოგმა შ.
დედაბრივილიმა, რაზედაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

⁷⁶ აღნიშნული ქსოვილი გვიჩვენა არქეოლოგმა გ. ვობეჯიშვილმა, რაზედაც დიდ მადლობას
მოვახსენებთ.

⁷⁷ ნ. პიგულევსკაია პლინიუს უმცროსის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ა. წ. I ს-ში
ალექსანდრიაში არსებულა ქსოვის ახალი განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც «πολυμίτα» ეწო-
დებოდა. მკვლევარები ადგენენ, რომ „μυτος“ კუნძულ კრეტაზე მცხოვრებნი „დგიმის“ უწოდებდნენ.
აქედან გამოიძინარე ქსოვის განსაკუთრებულ სახეობაში ოთხდგიმიანი დაზგის გამოყენება უნდა
იგულისხმობოდეს. Н. Пигулевская, Производство шелка в Византии и Иране в
IV в., Византийский временник, т. X. М., 1956, с. 4.

⁷⁸ Н. Ш о л п о, Пряжильно-ткацкая промышленность в древнем Египте, ИИНИТ,
т. V, М.,-Л., 1935, с. 266.

⁷⁹ ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. ვ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე,
მცხეთა, 1955, გვ. 25.

⁸⁰ ქ. ი ს ა კ ა ძ ე, საფეიქრო საქმე საქართველოში, თბილისი, 1970, გვ. 80, ნახ. 34.

⁸¹ „ყაზბეგის განძთან“ მოპოვებული მატყლის ქსოვილის ფრაგმენტის შესახებ, იხ. ც. ყ ა -
რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქსოვილის ორი ფრაგმენტი „ყაზბეგის განძიდან“, უტრნ. „მეცნიერება და
ტექნიკა“, 1971, № 8.

და მასთან დაკავშირებული შესატყვისი საკუთარი სახელებიც უნდა ჰქონოდათ. შესაძლებელია დროთა მსვლელობამ ისინი დაგვიკარგა და მათი ადგილი უცხოური წარმოშობის სახელებმა დაიკავეს.

ჩვენ მართებულად მივვაჩნია სამოსლისათვის განკუთვნილი მატყლის ქსოვილების აღსანიშნავად „შალის“ მაგიერ ზოგადად „მატყლის ქსოვილი“ ვიხმაროთ, ისევე, როგორც ეს აბრეშუმის, ბამბისა და ოქროქსოვილებზეა მიღებული, კონკრეტული სახელები კი მათ სხვა აქვთ.

Ц. КАРАУЛАШВИЛИ

НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ИЗГОТОВЛЕНИЯ ТКАНЕЙ В КАХЕТИИ

1. ШЕРСТЯНЫЕ ТКАНИ

Резюме

(Таблицы III—VI)

Изготовление тканей является древнейшей отраслью общественного производства.

Шерсть является одним из первых видов сырья, которое было использовано в ткачестве. Об этом свидетельствуют фрагменты тканей (Чатал-Гинок, Бедени, Марткопи, Дманиси, Цвермагала, Казбеги и др.), обнаруженные в результате археологических раскопок.

В процессе исторического развития, на почве производственного опыта постепенно обогащаются трудовые навыки и традиционные способы изготовления тканей, в результате чего в этнографической действительности они представляются нам в разнообразном виде. Это обогащение трудовых навыков и традиционных способов ткачества отразилось как на изготовлении тканей, так и на орудиях производства. В этом отношении обращает на себя внимание то обстоятельство, что в этнографическом быту только одной Кахетии в изготовлении тканей использовались несколько ткацких станков: «qdebi», «adgilis dazga», «ogmoiani sapeikro», «Sapeikro şkamî», «sapeikro: (четырёх ремизные) и др.

Различные виды ткацких станков создавали разнообразные ткани. Наименования этих изделий определялись наименованием станков, на которых они были изготовлены, или наименованием тех деталей, которые играли главную роль в создании вид и переплетения ткани («adgilis şali», «qdis şali», «sapeikros şali», «caşşiani toli», «orsiani toli»). В некоторых случаях наименования тканей были связаны с местом ее производства (область, село, город и т. д.). «kiziquri şali», «imeruli şali», «onuri şali», «xonuri şali», «dekuri şali», «muxaxis şali», «kvemouri şali», «kisturai toli», «iberuli tilo», «kolxuri seli», «osuri şali», «kirmanis şali», «prangis şali», «kaxuri merdini», «imeruli tavta», «ganşis movi», «tavrizis tavta», «rusis çitii», «kalakis çitii» и т. д.



Различия шерстяных тканей, предназначенных для одежды определялись также видом кручения пряжи, ткани изготовлялись из пряжи крученной в одном направлении и из пряжи крученной в двух направлениях («са҃рта и и҃ц҃рта» т. е. одна направо, другая—влево). Ткань, изготовленная из пряжи крученной в двух различных направлениях («са҃рта и҃ц҃рта») отличалась своей поверхностью, которая называлась «*žavariani šali*», ткань изготовленная таким способом называлась «*са҃рта-и҃ц҃ртати šali*» в отличие от ткани, изготовленной из пряжи крученной в одном направлении, именовавшейся *са҃ртати šali*.

Ткань, изготовленная из пряжи крученной в двух различных направлениях, была распространена как в Грузии (в Картли, Кахети, Хевсурети, Тушети), так и среди других кавказских народов (Азербайджан, Дагестан и др.).

Ткань была как чисто шерстяная (т. е. основа и уток были из шерстяной пряжи), так и полушерстяная (т. е. если основа была из шерстяной пряжи, то уток изготовлялся из шелковой либо бумажной нитки, или наоборот). При изготовлении полушерстяных тканей их поверхность создает основа или уток. Переплетение полушерстяной ткани аналогично «полотнообразному» — «репсовому» переплетению. В восточной Грузии основой являлась шерсть, а уток был из хлопка или шелка. Такое переплетение ткани представляет собою «репс основы». В Западной Грузии (Имерети) основой в большинстве случаев является шелк или бумажная нитка, а уток — из шерстяной пряжи. В этом случае поверхность создается утком. Такое переплетение ткани представляет собою «репс утка».

Изготовление полушерстяных тканей было распространено в Грузии и среди других кавказских народов. Из письменных источников (библия) и археологических материалов (древнеегипетские ткани и др.) выясняется, что они были известны с древних времен.

Кроме овечьей шерсти для изготовления тканей употреблялись козий пух и верблюжья шерсть. Они отличались мягкостью и нежностью и ценились высоко.

Разновидность тканей создавалась также способом переплетения ниток. Ткани имевшие «полотняные и полотнообразные переплетения» («репс основы» и «репс уток»), изготовлялись на следующих станках: «*sapeikro*», с двумя ремизами, «*adgilis dazga*» и «*qdebi*»; «саржевые переплетения» же на «*sapeikro*» с четырьмя ремизами.

Шерстяные ткани изготовлялись в основном одного цвета (белого, черного, серого; белую ткань красили в разные цвета), но встречались также полосатые и клетчатые.

В грузинском этнографическом быту шерстяная ткань в основном именуется «*šali*», а также «*toli*» (в горных районах Восточной Грузии — Хевсурети, Хеви, Тушети), «*čoxa-sali*» (Аджария); по историческим источникам же «*šali*», «*čoxa*», «*ričvi*», «*mačqli*», «*plasi*» и др. Некоторые из них являются словами негрузинского происхождения («*šali*», «*čoxa*»). Некоторые на-

звания являются определяющими указанием назначения тканей («*riévi*» «называется также и палас, «*zaza*», «*plasi*» — грубошерстное траурное одеяние).

По грузинским историко-этнографическим материалам наименования шерстяных тканей для одежды выражают их назначение, характер и разновидность.

По археологическим материалам выясняется, что грузинские племена рано овладели искусством изготовления различных шерстяных тканей, и разумеется, должны были иметь связанные с этим их соответствующие наименования. Возможно, что со временем они исчезли и их место заняли наименования иностранного происхождения.

По нашему мнению вместо названия тканей для одежды «Шали» должно быть введено название «*matqlis ksovili*» (шерстяные ткани), как это принято в отношении шелковых, бумажных и златотканых материалов, конкретные названия которых совершенно другие.

გ. ნემსაძე

საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადება


ვერცხლის თასს, რომელიც ზაპკისის არხის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩენილ აგურის ფილაქვიან მდიდრულ აკლდამაში აღმოჩნდა, საკმაოდ დაზიანებული დამრეცი კედლები და სწორი ძირი აქვს; მის ფსკერზე გამო-სახულია ვარდული, ხოლო კედლებზე, გარედან, კომპოზიციურად ერთმანეთ-თან დაკავშირებული ორი დამოუკიდებელი სცენისაგან შედგენილი ფრიზია ამოკვეთილი¹.

ავჭალის თასის ერთ-ერთი სცენა ჭურჭლის უკეთ გადარჩენილ ნაწილზეა გამოსახული, სადაც მოცემულია მოგიზგიზე საკურთხევლის აქეთ-იქით მდგა-რი ცხენები. შემოსხენებული ფრიზის სიუჟეტი — ორი ცხენის ერთი და იგი-ვე სამსხვერპლოს წინაშე გამოსახვა თავისთავად განსხვავებულ სურათს იძ-ლევა საქართველოს გვიანანტიკური ხანის ვერცხლის ე. წ. ცხენიანი პინაკების* საკრალური ხასიათის სცენებთან შედარებით. ექვსივე შემთხვევაში სამსხვერ-პლოს წინაშე თითო ცხენია წარმოდგენილი. თუ გავითვალისწინებთ თასის აღნიშნულ თავისებურებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მასზე ცხენები ათამდა-ნის „დამცველი ანტიპოდები“ არიან. ასეთ შემთხვევაში ავჭალის თასის ფრი-ზის სიუჟეტში სიცოცხლის ხის მოტივის შინაარსობლივი მხარე უნდა ვეძიოთ. ავჭალის თასის ფრიზს თუ შევადარებთ სიცოცხლის ხის ამსახველ სურათს, მათ შორის მსგავსებას სავსებით დასაშვებად მივიჩნევთ. ეს მსგავსება თვალ-ში საცემია იმიტომ, რომ თასის ცხენები სიცოცხლის ხის მოტივის ძირითა-დი ელემენტის ხის „დამცველი ცხოველების — ანტიპოდების“ მსგავსად, ათამ-დანის ორივე მხარესაა გამოსახული. სიცოცხლის ხის მოტივის მეორე ძირი-თად ელემენტს, როგორც ცნობილია, სიცოცხლის ხე წარმოადგენს². ავჭალის

¹ თასი გამოქვეყნებული აქვს ს. მაკალათაის იხ. მისი 1920—1924 წწ. საქართველოში აღ-მოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დახასიათებისათვის. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927—1928 წწ. ტაბ. VIII, 33, გვ. 173—176. ჭურჭელი ინახება საქართველოს მუზეუმის არქეო-ლოგიის განყოფილებაში, კოლ. № 11—24: 1—38. თასი გამოქვეყნებულია მანამდე, ვიდრე ქიმი-ურად გაიწმინდებოდა; ამიტომ ფრიზის არსებობის შესახებ გამოქვეყნებული არაფერს ამბობს. იგი აღნიშნავს მხოლოდ თასის ზომებს: სიმაღლე — 60 მმ; ძირის დმ — 95 მმ. და იმას, რომ ძირზე გამო-სახულია ვარდული. კომპლექსი, რომელშიც ეს თასი აღმოჩნდა, ავტორმა დაათარიღა I საუკუნით.

* საქართველოში, როგორც ცნობილია, ექვსი ე. წ. ცხენიანი პინაკია აღმოჩენილი: ორი არ-მაზისხევეში (№ 3 სამარხი), ორი ზღუდერში № 1 და № 2 ხის საკოფაგებში, ერთი ბორში და ერ-თიც არაგვისპირში.

² გ. ჩიბრაძე, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, 1941, გვ. 307—320.



სურ. 1. ავჭალის ვერცხლის თასი.

თასის მიხედვით კი ცხენები ათაშდანის დაცველ ანტიპოდეზად მივიჩნით. მაშასადამე, ავჭალის თასის სიუჟეტსა და სიცოცხლის ხის მოტივს შორის განსხვავებაცაა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თასზე, ნაცვლად სიცოცხლის ხისა, წარმოდგენილია ცეცხლოვანი ბომონი. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია კითხვა: არსებობს თუ არა სიცოცხლის ხესა და ცეცხლოვან ათაშდანს (უფრო სწორად გვაინტერესებს ცეცხლი — გ. ნ.) შორის რაიმე აზრობრივი კავშირი? ამ კითხვის პასუხი, ვფიქრობთ, სიცოცხლის ხის აღწნიშვნელ მოტივშივე უნდა იყოს მოცემული.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ლაზური ბუხრის ორნამენტში სიცოცხლის ხის მოტივი უშუალოდ ბუხარზეა წარმოდგენილი და ამდენად კონტაქტშია კერასთან³ და მაშასადამე, ცეცხლთან. თავისი მნიშვნელობით კერის უქრობელი ცეცხლი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა⁴ და ამიტომაც აზრობრივი სიახლოვის გამო ბუხრის ორნამენტი სიცოცხლის ხის მოტივთან ურთიერთობაში წარმოგვიდგება. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ბუხრისა და კერის კომპლექსი, როგორც ჩანს, შექმნილია მას შემდეგ, რაც ცეცხლმა კერიდან ბუხარში გადაინაცვლა⁵. დარბაზული ტიპის უბუხრო საცხოვრებლებში კერა

³ გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 308.

განუყრელად დაკავშირებული იყო დედაბოძთან და ბუხრისა და კერის მსგავსად, ერთ მთლიან კომპლექსს წარმოადგენდა⁶.

ლაზური ბუხრის ორნამენტის სიკოცხლის ხის მოტივში ძირითადი ელემენტების გარდა ვხვდებით: მზის, მთვარის, ვარსკვლავების აღმნიშვნელი ნიშნებიც. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ დარბაზის დედაბოძებსა და მის ბულაურებს, საზოგადოდ კერასთან დაკავშირებული საკულტო ორნამენტები ამკობს, უმეტესად კი ასტრალური ხასიათისა, იმგვარივე, როგორც ეს ზემოხსენებული ბუხრის სიკოცხლის ხის მოტივს სდევს თან⁷.

ერთი სიტყვით, დედაბოძთან დაკავშირებით უნებურად დგება საკითხი სიკოცხლის ხის შესახებ, თუმცა სხვა ნიშნების გათვალისწინებით, იგი ბუხარს უფრო უკავშირდება.

ასეთ ვითარებაში საკითხავია: ხომ არ იქმნება საფუძველი იმისათვის, რომ დედაბოძი გავიზიაროთ თვით სიკოცხლის ხედ? მაშინ, ამ მსჯელობით მივიღებდით სიკოცხლის ხეს — დედაბოძს შემკულს ასტრალური ნიშნებით და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ კერას, ცეცხლს, სადაც კერა ასევე „მარადიული სიკოცხლის სიმბოლოა“.

წამოჭრილი საკითხის გასაშუქებლად მეტად მნიშვნელოვან ცნობას ვხვდებით ქართლის ცხოვრებაში, რომელიც ეხება მირიან მეფის მიერ ქრისტიანული ხის ეკლესიის აშენების პროცესს. ლეონტი მროველი ასე აგვიწერს ამას: „მირიანმა მეყვსეულად მოიღო ძალი და ასწავებდა ხუროთა, და მოჰკუთნა ნაძვი იგი და ნაძვისა მისგან შეამზადნა შვიდნი სუეტნი ეკლესიისანი და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართეს იგი სუეტნი თვის — თვისად, ხოლო სუეტნი იგი უდიდესი, რომელ საკვირველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებლად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა“⁸.

რით არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქართლის ცხოვრების ზემოთ მოტანილი ცნობა? უპირველეს ყოვლისა, მასში ყურადღების ცენტრშია ნაძვის ხე, რომელიც მირიან მეფემ მოაჭრევინა და ეკლესიის აშენებას წარუძმძღვარა. აღნიშნული გარემოება თავისთავად საინტერესოა იმით, რომ საქართველოში „ქრისტიანობის მოძღვრების გამავრცელებელთა ხერხი იყო წარმართი ღვთაებების ადგილზე ჯვრის აღმართვა“⁹; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდებოდა ძველი საკულტო-სალოცავი ადგილების გაქრისტიანება და მათ ნაცვლად ახალი რელიგიის შესაბამისი სალოცავების დადგმა. სწორედ ასეთ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც მირიან მეფემ მცხეთაში ნაძვის ადგილას ეკლესიის აშენება განიზრახა.

ნაძვისა და ფიჭვის ხეები სვანეთში წმინდა სალოცავებად იყო მიჩნეული, მასზე პირველად იწერდნენ, თაყვანს სცემდნენ და შესაწირიც მიჰქონდათ. სალოცავი ხეები, როგორც ვ. ბარდაველიძე შენიშნავს, სვანეთის სხვა ადგილებშიც ბევრი ყოფილა¹⁰. გარდა სვანეთისა, ნაძვი ზეზობელ ჩრდილოკავკასიაშიც

⁶ ირ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (დედაბოძის დეკორის მიხედვით). სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაბეჭდი.

⁷ ვ. ჩ ი ტ ა ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 310.

⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 112.

⁹ ვ. ლ ო მ ი ა (ბარდაველიძე), ხის კულტისთვის საქართველოში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. III, 1926—1927, გვ. 127.

¹⁰ ვ. ლ ო მ ი ა (ბარდაველიძე), დასახ. ნაშრ., გვ. 168. საინტერესოა, რომ გარდა სვანეთისა, წიწვოვან ხეს ზემო იმერეთშიც, კერძოდ საჩხერის რაიონშიც, წმინდა ხედ მიიჩნევენ.



სიურ ტომებშიაც საკულტო ხედ იყო მიჩნეული. ამდენად ვფიქრობთ, რომ მცხეთის ნაძვის წმინდა და სალოცავ ხედ გააზრებისათვის საფუძველი აისებობს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში, როგორც ეს წერილობითი წყაროების, ენობრივი და ეთნოგრაფიული მასალითაა გამორკვეული, ხის კულტი მეტად გავრცელებული იყო. სწორედ ამიტომ, ზემომოხსენებული მცხეთური ნაძვის ხე, ქართველ წარმართთა სათაყვანებელ ხეთა რიგს (მუხა, ცაცხვი, აკაკი, ალვა და სხვ.) უნდა მივაკუთვნოთ, რადგან ნაძვის ხე ზემოთ მოტანილ ცნობაში წმინდა ხედ უნდა მივიჩნიოთ. ამიტომ მისი მოჭრით მირიანს სურდა ძველი წარმართული ადგილისა და სალოცავის გაქრისტიანება. უფრო მეტიც, ამ ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ წარმართული ნაძვი მან ქრისტიანობის სამსახურში ჩააყენა.

ქართლის ცხოვრების იგივე ცნობით, როგორც დავინახეთ, ნაძვის შვიდი სვეტიდან ერთი — „უდიდესი და საკვირველი“, „საშუალ ეკლესიისა შესაგდებლად განმზადებული“ იყო. აღწერიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ლეონტი მროველი აღნიშნულ სვეტში დედაბოძს უნდა გულისხმობდეს. ამ საკვირველი სვეტის აწვევა, როგორც ტექსტიდან ჩანს, შეუძლებელი აღმოჩნდა. მისი დადგმა მოხერხდა მას შემდეგ, როცა „მას ყოვლად ნათლითა შემკობილი და ცეცხლის ზეწრით შებლარდნილი“ ჭაბუკი მოადგა. მან ახსენა რაღაც სამი სიტყვა, შეჰყო ხელი სვეტის ქვეშ, აღმართა და წაიღო იგი მაღლა. ამის შემდეგ: იქ მყოფთა იხილეს „სუეტი იგი, ცეცხლის სახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკვეთსა ზედა ძირსა ნაძვისასა“¹¹.

ერთი სიტყვით, ქართლის ცხოვრების ზემოთ მოტანილი მრავალმხრივ საინტერესო ცნობები ჩვენთვის მნიშვნელოვან მასალასაც შეიცავს. უდავოა, რომ აქ შეიძლება თვალი გავადევნოთ ქართული წარმართული რწმენა-წარმოდგენების რთულ გზას, სადაც აშკარად ჩანს წმინდა ხის — სიცოცხლის ხის? — ნაძვის¹², მისგან დამზადებული დედაბოძისა და ცეცხლის მჭიდრო ურთიერთკავშირი.

დედაბოძისა და სიცოცხლის ხის ურთიერთობის საკითხი სათანადოდ დაამუშავებული ქართულ ეთნოგრაფიაში¹³, სადაც დედაბოძი სიცოცხლის ხის ემბლემადაა მიჩნეული.

ამდენად ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ზემოაღვალის თასის მრავალგზის ხსენებულ სიუჟეტში მუდმივობის, ცხოველმყოფელობის და მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ უქრობელი ცეცხლის ათაშთან მივიჩნიოთ. ეს გვიბიძგებს წმინდა ცეცხლის საკურთხეველი სიცოცხლის ხის შემცველ ერთ-ერთ ვარიანტად ჩავთვალოთ¹⁴. მით უმეტეს, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ სი-

¹¹ ქართლის ცხოვრება. ტ. I, თბ., 1955, გვ. 114.

¹² ბოლნისის სიონის ტაძარზე, როგორც ეს ტ. ჩუბინიშვილმა გადმოძვა, გამოყვანილია რელიეფი — სამსხვერპლოზე დადგმულია ნაძვის ხე თუ რტო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაძვი წმინდა ხეა და რომ იგი ქრისტიანობის სამსახურში ჩადგა. სამსხვერპლოზე წმინდა ხის დადგმა თუ ამოსვლა როგორც ჩვენში, ისე გარე სამყაროს ადრეული ძეგლებისათვის უცნობი არ არის (უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება). ამიტომ ბოლნისის ნაძვიანი სამსხვერპლოს ფესვები წარმართულ რელიგიაშია ღრმად ვადგმული.

¹³ ირ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ასტრალური სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ორნამენტში (დედაბოძის დეკორის მიხედვით).

¹⁴ გ. ნ ე მ ს ა ძ ე, ავჭალის ვერცხლის თასი (ანოტაცია), ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, XX სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1972, გვ. 7—8.

ცოცხლის ხის მოტივში თვით სიცოცხლის ხე ყოველთვის მცენარეული სახით არ არის წარმოდგენილი; არის შემთხვევა, როცა მის ერთ-ერთ ვარიანტად თევზია მიჩნეული¹⁵.

საინტერესოა ისიც ითქვას, რომ ჩვენში აღმოჩენილი ვერცხლის ე. წ. ცხენიანი პინაკების საკურთხეველზე სამ შემთხვევაში მცენარეული ნაყოფებია დაწყობილი (წიწვოვანი ხის ნაყოფი — გირჩა და მის აქეთ-იქით კი ვაშლები), ხოლო მეორე სამ შემთხვევაში — აგიზგიზებულია ცეცხლი. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია გვეფიქრა, რომ ხის ნაყოფები და ცეცხლი ურთიერთმონაცვლე ტოლფასოვანი სიმბოლოებია, სადაც გირჩას სიცოცხლის, მუდმივობისა და ამავე დროს ნაყოფიერების სიმბოლოდ განიხილავენ მკვლევარნი, ხოლო ვაშლებს ნაყოფიერების, შვილიერების სიმბოლოდ, რაც, რასაკვირველია, სიცოცხლის სიმბოლიკას ემთხვევა. ვერცხლის თასების საკურთხეველზე მოცემული ცეცხლი და ზემოაღნიშნული ნაყოფები, როგორც ჩანს, თავისი შინაარსით ერთმანეთს არ გამოირიცხავს. ამიტომაც გვაქვს ცხენის წინ დადგმული ცეცხლოვანი ბომონებიცა და ხის ნაყოფებიანი საკურთხეველები. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს მათ ურთიერთშენაცვლებასთან. ერთი, აქ რისი დამატებაც შეიძლება, ისაა, რომ ცეცხლოვანი ბომონები ფაშატი ცხენების, ხოლო ხის ნაყოფებიანი საკურთხეველები კი — დაუკოდავი, ულაყი ცხენების წინაა დადგმული¹⁶.

ზემოთ აღნიშნულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ იბერიაში ქრისტიანობის წინ ძელთა (ხეთა) თაყვანისცემის გვერდით ცეცხლთაყვანისმცემლობაც იყო ფუნქციონირებული, მაშინ უფრო ადვილი უნდა იყოს იმისი წარმოდგენა, თუ როგორ მოხდა სიცოცხლის ხის მოტივში ხის შემცვლელ ერთ-ერთ ვარიანტად ცეცხლოვანი ათაშდანი.

ერთი სიტყვით, ავჭალის თასის სიუჟეტში სიცოცხლის ხის მოტივთან გვაქვს საქმე, სადაც ანტიპოდი ცხოველები ცხენებია, ხოლო სიცოცხლის ხე — უჭრობელი ათაშდანი.

ავჭალის თასის მრავალგზის ხსენებული სიუჟეტი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, სასანური ირანის მონეტების ზურგზე გამოსახულ სცენასთან უნდა აბამდეს კავშირს. სასანურ მონეტებზეც, როგორც ცნობილია, ყოველთვის გამოსახულია ირანის სახელმწიფოებრივ-რელიგიური ემბლემა — უჭრობელი ცეცხლის ათაშდანი. მეფეთ-მეფის, შაფურ I დროიდან მონეტებზე მგზნებარე საკურთხეველს ორი შეიარაღებული გუშაგი იცავს, რომელთაგან ერთი ირანის უზენაესი ღვთაება აპურამაზდაა, ხოლო მეორე — თვით მეფეთ-მეფე¹⁷. ცნობილია ისიც, რომ აღნიშნული სცენა სტანდარტად იქცა ყველა შემდეგდროინდელი სასანელი მეფეების მონეტებისათვის და შემორჩა დინასტიის ბოლომდე, როგორც ირანის სახელმწიფოს პოლიტიკური და რელიგიური ბატონობის ემბლემა. მონეტების ზურგზე გამოსახული სცენის მიხედვით მეფეთ-მეფე უმაღლესი რელიგიური უფლებითაა აღჭურვილი. იგი აბუშარაზდასთან ერთად ღვთაებრივი ცეცხლის საგუშაგოზეა წარმოდგენილი და შემკულია რელიგიური ატრიბუტებით. მათ უმაღლეს სახელმწიფოებრივ და რელიგიურ ძლიერებას ხაზს უსვამს მონეტებზე გამოსახული სცენა, რომლის მიხედვითაც მეფეთ-

¹⁵ გ. ჩიტიანა, დასახ. ნაშრ., გვ. 319.

¹⁶ ავჭალის თასის ცხენებიც ფაშატი.

¹⁷ В. Г. Луконин, Культура Сасанидского Ирана, М., 1969, с. 83.



მეფის სამეფო უფლებებს ღვთაებები აკურობებენ ხოლმე და ძლიერების ატორიტეტებს გადასცემენ. აპურამაზადას გარდა ასეთ როლში მითრასა და ქალღმერთ ანაპიტასაც ვხვდავთ, რომლებიც მეფეთ-მეფესთან ერთად ცეცხლიანი საკუროთხველის აქეთ-იქით არიან გამოსახულნი¹⁸.

სასანური მონეტების წმინდა ღვთაებრივი ცეცხლი, ავჭალის თასის ფრინჯის მსგავსად, ბომონხეა აგიზგიზებული. სასანური მონეტების ათაშდანს, ისევე, როგორც ეს ავჭალის თასზეა გამოსახული, თავისი მცველები, გუშაგები ჰყავს; იმ განსხვავებით, რომ ერთ შემთხვევაში ღვთაება და მეფეა გუშაგად გამოყვანილი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ცხოველები — ცხენები (იქნებ სწორედ ღვთაებრივი ცხოველები)¹⁹. მაშასადამე, ავჭალის თასის ცხენებიან სიუჟეტსა და სასანური მონეტების ზურგზე გამოსახულ სცენებს შორის გარკვეული კავშირითიერთობა უდაოდ არსებობს.

სასანელთა სახელმწიფო ემბლემა გამოსახული იყო არა მარტო საკუროთხვევრანელთა მონეტებზე, არამედ საქართველოში იმათი პოლიტიკური მძლავრობის პერიოდში მოჭრილ ე. წ. ქართულ-სასანურ დრაჰმებზეც. შემჩნეულია, რომ უკვე VI ს. ბოლოსათვის ქართულ მონეტას ჯვრის გამოხატვის ტენდენცია უჩნდება, თავდაპირველად მეფის წხრის ზემოთ, შემდგომ კი — საკუროთხვეველზე აგიზგიზებული ცეცხლის ადგილას. ეს ცხადად ჩანს, როგორც ანონიმურ, ისე სტეფანოზ I და სტეფანოზ II მონეტებზე²⁰.

მაშასადამე, ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო — ჯვარი მაზდეანურის ადგილს იკავებს და, ამდენად, ქართული ეროვნული ემბლემა ერანულს ენაცვლება²¹. ამკარაა, რომ აქ რელიგიური საბურველით გადმოცემულ პოლიტიკურ აქტში საქართველოში სასანელთა ირანის ძლიერების შესუსტებისა და ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლების სურათი ჩანს²².

უნებურად იბადება კითხვა — რა კავშირშია აღნიშნული ფაქტი ჩვენს თემასთან? მით უმეტეს, რომ აქ გვიანი ხანის პოლიტიკური აქტია გადმოცემული, იმ დროისა, როდესაც ადრეული ფეოდალიზაციის პროცესი დამთავრებულია და ქრისტიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს და მაინც ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამას ლოგიკური საფუძველი წინარეწარმართულ ხანაში ეძებნება.

უაღრესად საინტერესოა, რომ მონეტებზე მაზდეანური სპარსეთის წმინდა ცეცხლი სწორედ ჯვარმა შეცვალა. აქ თითქოს არაფერია გასაკვირი, რადგან ქრისტიანულმა საქართველომ ჯვრით შეცვალა მისთვის უცხო ოფიციალური სარწმუნოების სიმბოლო.

ჯვრის საკითხი თავისი ბუნებით მეტად რთულია და განვითარების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას მრავალი კუთხით უდგებიან მეცნიერნი და დღესაც კვლევის საგანს წარმოადგენს. ჩვენი ცოდნა კი ამ საკითხის ირგვლივ ემყარება იმ შეხედულებებს, რომელიც ქართულ მეცნიერებას დღეისათვის გააჩნია და არ გვავიწყდება ისიც, რომ ჯვრის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება

¹⁸ В. Г. Луконин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 83.

¹⁹ სიცოცხლის ხის მოტივში ღვთაებისა და ღვთაებრივი ცხოველების გამოყვანის ფაქტები ჩვეულებრივი მოვლენაა (ვ. ნ.).

²⁰ Е. А. Пахомов, *Монеты Грузии*, ч. I, С.-Петербург, 1910, с. 14—22; დ. კახაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, თბ., 1950, გვ. 36—37; ტაბ. II, 30, 35—38.

²¹ დ. კახაძე, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 36.

²² იქვე.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე და ამ ეტაპებთან კავშირში გამოიხატება (ვ. ბარდაველიძე)²³.

ქრისტიანულმა სიმბოლომ — ჯვარმა წარმართულ ხანაში აიდგა ფეხი. იგი იყო ცეცხლისა და ასტრალურ სხეულთა სიმბოლო და ქრისტიანი ქართველისათვის — „ძელი ცხოვრებისა“ („ქართლის ცხოვრება“).

ამასთან ერთად მეტად საყურადღებოა, რომ «В своих лингвистических трудах слова «Д ж в а р и» и «Х а т и» (а также одного с последним корня арм. хач) возводит к коренному значению х е и д з е л и, грузинских названий дерева. Далее, опираясь на исторические сведения исконного почитания деревьев у яфетидов Иверии, Грузии и Армении, Марр выдвигает положение о том, что термины х е, д з е л и, первоначально означали культовое дерево. Вместе с тем, опять при помощи лингвистического анализа, автор выявляет связь дерева, в частности дуба и липы, с космическими и астральными мировоззрениями»²⁴. აქედან ცხადია, რომ ჯვარი ძელია, ხეა. იგი „ძელი ცხოვრებისა“, სიცოცხლის ხეა, წმინდა ხე. ამიტომაც ჯვარი ფასეული ძვირფასი ხისაგან მზადდებოდა ქრისტიანულ ხანაში, სხვას რომ თავი დავანებოთ, წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი ხომ ერთი იმათთაგანია, რომელმაც ფეოდალურ საქართველოში ადრეული ფეოდალიზმიდან მოიპოვა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა და დამკვიდრდა როგორც წმინდა ხე (ს. ჯანაშია).

ცხადია, რომ ჯვრები, რომლებიც წმინდა ხეებისაგან მზადდებოდა, იდგმებოდა კვარცხლბეკზე, სადაც წმინდა ადგილი იყო და სადაც ხშირად იქვე წარმართთა სათაყვანებელი ხეები იდგა.

ახლა, როდესაც აშკარაა ჯვრის ეს ბუნებაც, აღარაა გასაკვირი, რატომ ეხდებოდათ საკურთხეველებზე ერთ შემთხვევაში ცეცხლს და მეორეში კი ხის ნაყოფებს. უფრო მეტიც, რატომ შეენაცვლა ერანულ ცეცხლს ქრისტიანული ჯვარი — „ძელი ცხოვრებისა“.

თუ კი ზემოთ მოყვანილი მსჯელობა დამაჯერებლად გამოიყურება, მაშინ, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ავჭალის თასის უქრობელი ათაშდანი სიცოცხლის ხის ერთ-ერთი შემცველი ვარიანტთაგანია, რომლის დამცველ ანტიპოდ ცხოველებს ცხენები წარმოადგენენ.

აქვე თუ დავამატებთ იმასაც, რომ ვარდული, რომელიც ჭურჭლის ძირზეა მოცემული, სხვა მრავალი ანალოგიის მიხედვით შეიძლება ასტრალურ სიმბოლოდ მივიჩნიოთ, მაშინ უფრო დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თასზე მოცემული და აქ განხილული სცენა მართლაც უნდა ასახავდეს სიცოცხლის ხის მოტივს, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, სიცოცხლის ხის მოტივში აქტიურად ჩართულია ხოლმე ციურ სხეულთა აღმნიშვნელი ნიშნები.

ავჭალის თასის ფრიზი, როგორც ვიცით, ორი დამოუკიდებელი შინაარსის მქონე სცენისაგან შედგება. ერთის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ისიც აღვნიშნეთ, რომ იგი თასის უკეთ გადარჩენილ ნაწილზეა მოცემული. რაც შეეხება ფრიზის მეორე სურათის კომპოზიციას, იგი სამწუხაროდ,

²³ მ. გეგეშიძე, კოკორი (ტობონიმიკური დაკვირვება), კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 199.

²⁴ В. Бардавелидзе (Ломая), Земельные владения древне-грузинских святылиц, «Советская этнография», 1949, № 1, с. 98.

მეტად დაზიანებულია და ამავე დროს ნაკლებიც. სცენის ძირითად კომპონენტებს ორი გრიფონი წარმოადგენს, რომლებიც გამოსახულნი არიან ძნელად საცნობი საგნის ორივე მხარეს. ამ თვალსაზრისით, ფრიზის სცენებს შორის კომპოზიციური სიახლოვე თითქმის უეჭველიც კია.

მარჯვენა გრიფონი, ისევე როგორც მარცხენა, დაზიანებულია და ნაკლები. პირველი გრიფონისაგან შემორჩენილია წინა ნახევარი, ხოლო მეორესაგან ტანის მხოლოდ უკანა ნაწილი. მარჯვენა გრიფონს მარჯვენა ფეხი აწეული და ჰორიზონტალურად გაწვდილი აქვს ისე, რომ მისი თათი ზემოაღნიშნულ უცნობ საგანს ებჯინება. საფიქრებელია, რომ მარცხენა მხარეს გამოსახული გრიფონიც იმავე პოზაში იყო წარმოდგენილი. ამას გავაგარაუდებინებს იგივე თასის ანტიპოდი ცხენების მაგალითი.

თუ გავიხსენებთ ზემოთ განხილული სიცოცხლის ხის მოტივის აღმნიშვნელ სიუჟეტს, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ გრიფონები ცხენების მსგავსად საკურთხეველის წინაშე უნდა ყოფილიყვნენ გამოსახულნი. მაგრამ თუ დავუკვირდებით გრიფონების წინამდებარე საგნის გადარჩენილ ნაწილს, უნდა დავუშვათ ისიც, რომ ჩვენ საქმე გვაქვს განსხვავებული ტიპის რაღაც უცნობ საკურთხეველთან, ან არა და აქ საკურთხეველის ამოცნობა ყოვლად შეუძლებელია.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბ. კუფტინის მიერ კერძო საუბარში ზეპირად გამოთქმული მოსაზრება, რომელიც ჩვენთვის საინტერესოა ძნელად საცნობ საგანს შეეხება. მან როგორც გადმომცეს, ავჭალის თასის გრიფონების წინ გამოსახულ საგანში ირმის თავის გამოსახულება ივარაუდა. როგორც ირკვევა გ. კუფტინმა აღნიშნული საგნის ზედა ნაწილში გატოტვილი ხაზები რქებად მიიჩნია, შუა ნაწილში — სამკუთხა ყური იგულისხმა, მარცხნივ დაქანებული მორკალური ხაზით ქვედა ყბის ნაწილი დაუნახავს, ხოლო ყურიდან ქვემოთ წამოსული ვერტიკალური ხაზი კისრის აღმნიშვნელად შეუტყვია. ამის შემდეგ მას ისღა დარჩენოდა, რომ მოეხაზა ირმის თავ-კისრის კონტური²⁵.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ გრიფონები, რომლებიც ამავე თასის ცხენების მსგავს პოზაში არიან გამოსახულნი, ანტიპოდი ცხოველებია. აქ ისმება საკითხი მხოლოდ იმის შესახებ, რას აცავენ, რას გუშავობენ ისინი? თუ დავუშვებთ იმას, რომ გრიფონებს შორის მართლაც ირმის თავის გამოსახულებაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ირემი, ისევე როგორც ათამიანი, სიცოცხლის ხის შემცვლელია (ირემი თავის გატოტვილი რქებით წარმართ ქართველებში დაკავშირებული იყო წმინდა ხესთან. ირმის რქებს სწირავდნენ წმინდა ხეებს²⁶; ირმის რქები მაგრდებოდა დედაბობებზე — იგივე სიცოცხლის ხეზე; აქ აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბრინჯაოს ხანაში სტილიზებული რქებიანი ირემი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სიცოცხლის ხე...).

²⁵ აღნიშნული მოსაზრება გ. კუფტინს გამოუთქვია საქართველოს მუზეუმის ქიმსარესტავრაციო ლაბორატორიაში, სადაც გამოქვეყნებიდან დიდი ხნის შემდეგ ქიმიურად დამუშავდა და გაიწმინდა ავჭალის თასი. ამ საუბრის შესახებ ცნობა მომაწოდა ლაბორატორიის გამგემ რ. ბახტაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

²⁶ იხ. ე. ლომია (ბარდაველიძე), დასახ. ნაშრ., გვ. 24.

დასასრულს, განმეორებით უნდა დავძინოთ, რომ არ არის გამორიცხული ისიც, რომ გრიფონების წინ გამოსახული ნივთი არა ირმის თავი, არამედ საკურთხველი ყოფილიყო. ორივე შემთხვევაში უეჭველია გრიფონებიანი სცენა უნდა პასუხობდეს ადრე განხილულს და, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც, ცხენებიან სცენის მსგავსად, სიცოცხლის ხის მოტივის ამსახველია²⁷.

²⁷ ჩვენ არ ვცდილვართ დაგვესვა საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ავჭალის თასი ადგილობრივი ნაწარმი ან კიდევ შემოტანილი... მაგრამ ერთი რამ ცხადია, მისი შინაარსი გვიანანტიკური ხანის ქართულ რწმენა-წარმოდგენებს პასუხობს და ეხმაურება კიდევ ჩვენში აღმოჩენილ ე. წ. ცხენიან პინაკთა ჯგუფს.

მ. ზამთარაძე

გუდაგის არქეოლოგიური მონაპოვარი

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ოჩამჩირიდან ათიოდე კილომეტრზე, სოფელ გუდავას ტერიტორიაზე (გალის რაიონი), მდინარე ოქუშის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ნასახლარი, სადაც 1969—1972 წლებში გათხრებს აწარმოებდა მუზეუმის შუა სუკუნეების არქეოლოგიის განყოფილება პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. განათხარი მასალა დასამუშავებლად გადმოგვეცა ჩვენ.

ქართული საისტორიო მწერლობა, ასევე უცხოურიც, ქართველ ტომთა დასავლური გაერთიანების შესახებ მცირე ცნობებს ვვაწვდის.

ლაზეთის ეპარქიაში შემავალი საეპისკოპო ცენტრის „ზიგანევის“ ლოკალიზაციისათვის მნიშვნელობას არაა მოკლებული ზოგიერთი ცნობა, რომელიც შემონახულია ძველ ქართულ ხელნაწერში.

XI საუკუნის ერთი ქართული ხელნაწერის სქოლიოში აღნიშნულია: „გუდაყუას რტყვის ზიღანეოსადო“¹. ეს დღევანდელი სოფელი გუდავაა — ერის წყალის ნაპირზე მოთავსებული, სადაც „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით საეპისკოპოზო კათედრა იყო².

„მატიანე ქართლისაჲში“, იქ სადაც ლაბარაკია აფხაზთა მეფეების საეკლესიო პოლიტიკის შესახებ, ნათქვამია: „ზაგრატმა ააგო ბედის ტაძარი და იქ გადმოიტანა („მოცვალა“) გადი-სი (ქვა: გუდაყვისა) საეფისკოპოსო. „გუდაყვა“ (გუდავა — ?) კი ერთი XI—XII სს-ში გადაწერილი სუნაქსარის ცნობით, არის ბერძნული ზიღანეოს. ბერძნული ტაქტიკონებიდან ვიცით, რომ სწორედ ეს ქალაქი იყო საჯდომი ლაზიკის მიტროპოლიტის ერთ-ერთი ხელქვეშე ეპისკოპოსისა“³.

ზიგანევი მოხსენიებულია III—IV საუკუნეების მიჯნის ამბების აღწერისას „ორენტის მარტვილობაში“, რომლის მიხედვით იმპერატორი დიოკლიტიანეს მმართველობის ეპოქაში, ქრისტიანთა დევნის დროს ზიღანეოსში ორენტის ერთ-ერთი თანამოღვაწე — კირიაკი დაკრძალეს. „ხოლო წმინდა კირიაკოს, მოვიდა რაჲ საეგრომსა (სქოლიოში: „საეგრომსა“ გელათის მეტაფრასულ რედაქციაში: წარვიდეს სოფლად ან ლაზთა წოდებულად ადგილ ზიღანეოს“) ქუეყანასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების ზიღანეოს...“⁴.

¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი A, ხელნაწ. № 97, გვ. 436.

² ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 123.

³ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. III, თბ., 1966, გვ. 299; მ. ლორთქიფანიძე, ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 425.

⁴ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 415.

შემდეგ ზილანეოსი იხსენიება IV—V საუკუნეებში, როგორც რომაულ-ბიზანტიური გარნიზონის სადგომი ადგილი. აქვე ამ გარნიზონის სახელიცაა მოცემული — ვალენტის მცირე კოპორტა (კოპორტა კი, როგორც ცნობილია, 400—680 ჯარისკაცს ითვლიდა)⁵.

„ზილანეოსი“ მოიხსენიება აგრეთვე VII—IX საუკუნეების ბიზანტიის იმპერიის საეპისკოპოსო კათედრების სიებში. აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ ზოგიერთ დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში მხოლოდ ხუთი საეპისკოპოსო კათედრა იყო⁶.

ამდენად, გვიანანტიკურ პერიოდში „ზილანეოსი“ რომის იმპერიის სტრატეგიული ინტერესებისათვის გარკვეულ როლს თამაშობდა, ისე როგორც სხვა ამ დროის პუნქტები კოლხეთის სანაპიროზე. ეს პუნქტები ზილანეოსთან ერთად დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში პქმნიდა რომაული გარნიზონების განლაგების სისტემას. პუნქტებს შორის მანძილი დაახლოებით 60—70 კმ იყო. ამ გარნიზონებს უნდა დაეცვათ რომის იმპერიის მისადგომები, კერძოდ, ის საკაბოტაჟო-საზღვაო ტრასა და სანაპიროს გაყოლებით სახმელეთო გზა, საიდანაც რომის იმპერიის ფარგლებში შეეძლოთ შეჭრა ამიერკავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნეომარ ტომებს. ამ გარნიზონებით ინარჩუნებდნენ ადგილობრივ კოლხურ ტომებს ვასალურ მდგომარეობაში, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, ევალებოდათ იმპერიის სანაპირო ზოლის დაცვა. ძველი ქალაქების ადგილზე ციხე-სიმაგრეების გაჩენაც კოლხეთში რომაელების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბატონობაზე მოწმობს. მათთვის ეს ციხე-სიმაგრეები წარმოადგენენ საიმედო დასაყრდენს რომის იმპერიის პოლიტიკის განსამტკიცებლად⁷.

კოლხეთის სანაპირო ზოლის გამაგრება უფრო ძლიერდება II—III საუკუნეების მიჯნაზე, მაშინ როცა რომი ახორციელებს უფრო მდგრად პოლიტიკას. ეს ციხე-ქალაქები, განსხვავებით კლასიკური და ელინისტური ხანის ქალაქებისაგან, რომლებიც სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრებს წარმოადგენდნენ, იქცნენ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებად⁸.

მიუხედავად ამ ცვლილებებისა, კოლხეთის სანაპიროს ქალაქები ინარჩუნებენ სავაჭრო-ხელოსნური ცენტრების მნიშვნელობას. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები მოწმობენ ევროპის აღმავლობაზე, რომელშიც წამყვანი როლი უკავია კავშირს მცირე აზიის ცენტრებთან. აღნიშნული პერიოდის არქეოლოგიურ მასალაში ბევრია, მაგალითად, სინოპიდან მომდინარე ამფორები, ლუთერიები, კრამიტები. განათხარ მასალაში წითელლაკიანი ქურტლის არსებობა მოწმობს მცირე აზიის სხვა ცენტრებთან ურთიერთობაზეც. II საუკუნიდან მოყოლებული საკმაოდ მჭიდრო კონტაქტები შეიმჩნევა ტრაპეზუნტთან, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან.

III საუკუნეში გოთების შემოსევებმა საგრძნობლად დასცა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ცხოვრება, ხოლო III—VI საუკუნეების მიჯნიდან ისევ იწყება მათი აღორძინება. წერილობითი და არქეოლოგიური მასა-

⁵ პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ა ძ ე, გუდავამი 1971 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპ. III, თბ., 1974, გვ. 139.

⁶ ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 123.

⁷ М. П. И н а д з е, Причерноморные города древней Колхиды, Тб., 1968, с. 249.

⁸ М. П. И н а д з е, Города Колхиды античной эпохи (Диоскурия — Себастиопольсь, Бичвинта), Тб., с. 144.

ლების მიხედვით იქ შენდება დიდი შენობები. ეკონომიურ სიძლიერეზე მოწმობს გაცხოველებული ხელოსნური წარმოებაც. ამის დამადასტურებელი არქეოლოგიურ მასალებში არსებული დიდძალი რაოდენობის აგური, კრამიტი თუ ადგილობრივი წარმოების წითელლაკიანი ჭურჭელი.

აქედან გამომდინარე, თუ შავიზღვისპირეთის ქალაქების გაფურჩქვნა II—III საუკუნეებში დაკავშირებული იყო რომაელების მოქმედებასთან, III—IV საუკუნეებში ეს გავლენა სუსტდება, რადგან ამ დროს უკვე არსებობს ძლიერი ლაზთა სამეფო⁹.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიურ საქმიანობაზე მიუთითებს მრავალრიცხოვანი კერამიკის ნიმუშები — ამფორები, ნაცრისფერთიხიანი სამზარეულო კერამიკა, ორყურა ქოთნები, ქილები, ჯამები, რომლებიც საერთოდ არ ჩანს II—III საუკუნეების კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროდან მომდინარე არქეოლოგიურ მასალაში. ამასთან ერთად, ეს მასალა ამჟღავნებს ტრადიციულობას, გენეტიკურ კავშირს უფრო ადრეულ ადგილობრივი კერამიკის ნიმუშებთან¹⁰.

ამრიგად, IV საუკუნის ბოლომდე ზღვისპირა ქალაქების ცხოვრებაში საკმაოდ ძლიერი აღმავლობა შეიმჩნევა. მკიდროა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი გარე სამყაროსთანაც, იქნება ეს მცირე აზიის ცენტრები თუ რომის იმპერიის აღმოსავლეთი და დასავლეთი პროვინციები. ამის დადასტურებაა ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც მოპოვებულია შავიზღვისპირა ნასახლარების გათხრების შედეგად.

სანამ შევუდგებოდეთ გუდავის არქეოლოგიური მასალის აღწერას, მოკლედ უნდა მოვიხსენიოთ ის ნაგებობები, რომელიც აღმოჩნდა გათხრების შედეგად.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, გუდავის ნასახლარი მდებარეობს მდინარე ოქუმის მარცხენა სანაპიროზე. ეს მდინარე ცნობილია თავისი „მოძრავი“ კალაპოტით, სწრაფად იცვლის კალაპოტს და ინტენსიურად რეცხავს თავის მარცხენა სანაპიროს, რომლის ჭრილშიც ჩანს კულტურული ფენა. სწორედ ამ ჭრილში გამოჩნდა ძველი ნაგებობის ნაშთები. ეს იყო მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობის ნანგრევები აღმოსავლეთის მხარეზე ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რომლის ძირში აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის პროკონეზული წარმოშობის მარმარილოს არქიტექტურული დეტალები, ხოლო უფრო ქვედა ფენაში კი — IV საუკუნის რომაელი იმპერატორის კონსტანტინე დიდის და ლიცინიუსის სპილენძის 16 მონეტა (მონეტები განსაზღვრა ნუმიზმატიკის განყოფილების გამგემ ვ. ლეჟინაძემ). ნანგრევებში აღმოჩენილი ჯვრის გამოსახულებიანი ანტიფიქსები (ტაბ. XI—1), რომლებიც ანალოგიების მიხედვით კარგად თარიღდება არაუგვიანეს X საუკუნით, იძლევა საშუალებას ძველი ადრეფეოდალურ ხანას მივაკუთვნოთ.

გათხრელების აზრით¹¹, ძველის ადრეფეოდალურ წარმოშობაზე მეტყველებს, აგრეთვე, მცირე ზომის შვერილი აფსიდა და მისი „აუზისებურობა“, აფსიდა გამოყოფილია ნაგებობის სხვა ნაწილებისაგან კედლით. აუზების არსე-

⁹ М. П. И н а д з е, Города Колхиды в античную эпоху, с. 148.

¹⁰ М. М. Т р а п ш, Раскопки древнего Себастиополиса в районе Сухумской крепости. в 1959 г., с. 246, 247.

¹¹ ვ. ლეჟინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140.



სურ. 1. ეკლესიის გეგმა — მარჯვნივ

ბოზა აფსიდებში დამახასიათებელია ზოგიერთი ბაბტისტერიუმისათვის (საინთო-
ლავისათვის). ამდენად სავარუდოა, რომ აღწერილი ნაგებობა პირველად აღნიშნულ
ფერდალური ხანის ბაბტისტერიუმში იყო. მას, როგორც წესი, აგებდნენ ეკ-
ლესიებთან. ეკლესია კი მისგან ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს აღ-
გობი დღევანდელი მდინარის კალაპოტში ხვდება და ამდენად საფიქრებელია,
რომ იგი, ისევე როგორც ნაწილობრივ თვით სალოცავიც, მდინარემ ჩამორე-
ცხა და წაიღო. ნაწილობრივ ამას ადასტურებს მდინარის ფსკერიდან ამოღე-
ბული ადრეული ხანის მასალა, მაგალითად, ადრეანტიკური შავლაკიანი იმ-
პორტული ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც ანალოგიური მასალით კარგად
თარიღდება V—VI საუკუნეებით¹² (ტაბ. XI—2). ამრიგად, გუდავის ტერიტო-
რიაზე სალოცავის აღმოჩენა ნაწილობრივ წყვეტს მის ტერიტორიაზე ზილანეო-
სის საეპისკოპოსო კათედრის არსებობის საკითხს, რაც წერილობითი წყარო-
ებითაც დასტურდება.

შემდეგი ნაგებობა, რომელიც სალოცავიდან ჩრდილო-დასავლეთით 50—
100 მეტრზე გამოვლინდა, იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმული
გრძელი შემადგება, რომელიც ჰკვეთდა მდინარე ოქუმის მიერ შექმნილ
კონცხს. აქ აიკრიფა უამრავი არქეოლოგიური მასალა, რომლისთვისაც დამა-
ხასიათებელია რომაული წითელლაკიანი ჭურჭლის და ადგილობრივი გვიანან-
ტიკური ყავისფერთხიანი ამფორის ნატეხები. ეს ტერიტორია გათხრების
დროს დაკავებული არ იყო, მაგრამ ადრე ნათესებსა და პლანტაციებს ეკავა და,
ბუნებრივია, აქ აღმოჩენილი ნაგებობაც და კულტურული ფენაც ნიადაგის
დაძუწავებამ ძლიერ დააზიანა. ფენის საშუალო სიმაღლე 50—60 სმ იყო.

უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ აღმოჩნდა რიყის ქვის, აგურის, კრა-
მიტისა და კირქვის ერთიანი ფენა. აქედან კი გამოიყო ძალიან ცუდად შენახუ-
ლი კედელი, რომლის შემორჩენილი სიმაღლე 60 სმ-ია, სიგანე კი — 1 მეტრი.
კედელს საძირკველი არ გააჩნდა, ან, როგორც ვარაუდობენ, შესაძლოა, კედელი
დაბალი ყოფილიყო. კედელი მიემართებოდა შემადგენის გასწვრივ, მის სამ-
ხრეთ ნაწილში გამოვლინდა კუთხე, რომელიც სამხრეთ-დასავლეთისაკენ უხ-
ვევდა. გამოვლენილი კედელი თავდაცვითი ზღუდის ნაშთის სურათს იძლევა.
სწორედ მის ძირში აღმოჩნდა ის არქეოლოგიური მასალა, რომელზეც ქვემოთ
გვექნება ლაპარაკი.

ზღუდის ერთი მხარე — აღმოსავლეთი დაახლოებით 110 მეტრი სიგრძისა
უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცნობილ რომაულ სიმაგ-
რებს სწორკუთხოვანი გეგმა ჰქონდათ და გუდავაშიც გამოვლენილი სიმაგრის
ნაშთებიც სწორკუთხოვანი გალავნის ნაწილი უნდა ყოფილიყო. სწორკუთხო-
ვანი გალავანი ჩამოკვეთილი კუთხეებით გვეხვდება რომაულ სიმაგრეებში.
თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შერჩენილი ნაწილის წყობა ნაკლებად მეტყვე-
ლია, ვიდრე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენი ცნობილი რომაულ
სიმაგრეები, რაც არ ითქმის საკმაოდ მრავალფეროვან და მეტყველ არქეოლო-
გიურ მასალაზე.

ეს მასალა ძირითადად სებასტოპოლისში და პიტიუნტში რომაული ციხე-
ების გათხრებისას აღმოჩენილი მასალების ანალოგიურია. არქეოლოგიური მა-

¹² В. Н. Соловьев, Археологические раскопки близ г. Очамчиры в Абхазии, СА,
№ 4, 1937, М.-Л., с. 323.

სალის შესწავლა უნდა დაეწყოთ იმპორტული დაბალი ხარისხის გუდავის რომაული წითელლაკიანი ჭურჭლების განხილვით.

საყოველთაოდ ცნობილია წითელლაკიანი კერამიკის მნიშვნელობა გვიან-ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საქმეში. ანტიკური სამყაროს გვიანდელი პერიოდის ძეგლების დათარიღება მნიშვნელოვანწილად მას ემყარება¹³. ჩვენში წითელლაკიანი კერამიკა მოპოვებულია უმთავრესად დასავლეთ საქართველოში და ისიც მეტწილად ზღვის სანაპიროზე. ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა შედარებით დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ვანში¹⁴ და სოხუმში — შედარებით მცირე. ხოლო I—IV საუკუნეების წითელლაკიანი ჭურჭელი გვხვდება ქობულეთში, გონიოში, ვაშნარში. ნოქალაქეში, წებელდაში და ყველაზე მეტი ბიჭვინთასა და სოხუმში. ამ მასალის ძირითადი ნაწილი მცირეაზიური წარმოშობისაა, მაგრამ მკვლევარებს აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ ეს ჭურჭელი ადგილობრივაც მზადდებოდა¹⁵.

როგორც ცნობილია, წითელლაკიანი ჭურჭელი სუფრის ჭურჭელია და ჩვენი ფრაგმენტებიც ამ სახის ჭურჭელთანაა წარმოდგენილი. ესენია: ფიალეების, ჯამების და უმეტესად ლანგრების ფრაგმენტები (მათი ფრაგმენტულობის გამო ფოტოები ვერ წარმოვადგინეთ).

გუდავის წითელლაკიანი ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია ღია ფერი. წმინდად განლექილი და მოხელილი თიხა. ლანგრები და ჯამები სხვადასხვა ზომისაა და მრავლადაა აღმოჩენილი (32—969: 216, 188, 299, 176, 340, 412 და სხვ.). ძირითადად დაბალი მომრგვალებულად აკეცილი, სადა და მცირედ დაქანებული ნაპირი აქვს, მეტ-ნაკლებად გასქელებული, მოყვანილი წრიული ქუსლი. თიხის ფერი ღია მოყვითალო-მოვარდისფერია. ერთ ფრაგმენტზე (32—969:216) წითელი ლაკის არსებობა შეიმჩნევა შიგნითა და გარეთა მხრიდან, ქუსლთან ახლოს დაღარული ზოლები შემოყვება (ტაბ. XI—3).

მეორე ფრაგმენტი (32—969—412) ძირითადად ისეთივე ფორმისაა, მხოლოდ ქუსლი მეტად გასქელებული და მასზე მუქი წითელი, თითქმის მოყავისფრო ლაკია გადავლებული.

მესამე ფრაგმენტი (32—969:333) უფრო მოზრდილი საშუალო ჯამისაა, მოყვითალო თიხის, კალთამომრგვალებული და ნაპირშეზნექილი, ქუსლიც უფრო თხელი და დაბალი. გარეთა მხარეს კლაკილი ზოლებით ორნამენტა შესრულებული. ეს ფორმა ჯამების საკმაოდ გავრცელებულია, როგორც ჩანს, I საუკუნიდან და გვიანამდე ინახავს თავს, მაგრამ აშკარა ცვლილება ხდება თიხასა და ლაკის ხარისხში. სოხუმში მრავლად გვხვდება II—III საუკუნეებით დათარიღებული ამ ტიპის ჯამები.

ზემოთ მოხსენიებული კარგად განლექილი თიხის ჯამის ანალოგიები დიდი რაოდენობით გვხვდება ბიჭვინტის ნაქალაქარის ზედა ფენებში. მათ ოთ. ლორთქიფანიძე¹⁶, ისე როგორც ტ. კნიპოვიჩი¹⁷, ტირიტაკში აღმოჩენილი ანალოგიუ-

¹³ რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, წითელლაკიანი კერამიკა სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიიდან, მსკა, ტ. IV, 1965, გვ. 95.

¹⁴ ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, იმპორტული კერამიკის ერთი ჯგუფი ვანიდან, „მაცნე“, № 6, გვ. 33. 199—207.

¹⁵ რ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

¹⁶ ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მსკა, ტ. III, 1968, გვ. 101.

¹⁷ Т. Н. К н и п о в и ч, Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935—40 гг., МИА, вып., 25, с. 318—319, рис. 12.



რი ჯამების მიხედვითაც მცირეაზიური წარმომობისად მიიჩნევს და III საუკუნეებით ათარიღებს.

მეოთხე ფრაგმენტი (32—969:292) — ეს არის თიხის თეფში, რომლის მსგავსი და ანალოგიური ჩვენს მასალაში ბევრია. მას დაბალი და გამოხნიქილი მომცრო კალთები, მოწითალო კეცი, შედარებით კარგად განლექილი, მრგვალი, განიერი და დაბალი ქუსლი აქვს.

თეფშებს ანტიკური სამყარო ადრიდანვე იცნობდა. როგორც ფიქრობენ, ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილი მსგავსი ჭურჭლები პერგამული თეფშების გვიან რეპროდუქციის წარმოადგენენ და ისინი III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნით თარიღდებიან. ადრეული და გვიანი ფორმების გარჩევაში სხვა ნიშნებთან ერთად გვეხმარება ქუსლის კონსტრუქცია. ადრე, რომაულ ხანაში, მრგვალი, მცირე დიამეტრის მქონე მაღალი ქუსლი ჰქონია, ხოლო IV საუკუნისათვის ქუსლი განიერდება და დაბლდება, რომლის მაგალითიცაა ზემოთ აღწერილი ნიმუში.

მეხუთე ფრაგმენტი (32—969:305) — დაბალი და განიერქუსლიანი, სწორკალთიანი ჯამისა, ქუსლთან პროფილირებული კალთით. ჭურჭლის კეცი პირთან ოდნავ თხელი და შიგნითაა ჩაკეცილი. ასეთი ჯამები აღმოჩენილია ბიჭვინტაშიც. ვ. გაიდუკევიჩი ამ ტიპის ჯამებს III—IV საუკუნეებით ათარიღებს¹⁸ და მათ მცირეაზიული საწარმოებიდან შემოტანილად მიიჩნევს. ტ. კნიპოვიჩი¹⁹ კი IV საუკუნით ათარიღებს, ბლავატსკიც ფანაგორიის მასალების მიხედვით მათ IV საუკუნით განსაზღვრავს. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული ასეთი ჭურჭლების ადგილობრივობაც, რაზეც მიუთითებს თუნდაც მათი კოლოსალური რაოდენობა ზღვისპირეთის სხვა ანალოგიურ ძეგლებში²⁰.

გუდავის კერამიკულ მასალაში რაოდენობრივად პირველ ადგილზეა ამფორების ნატეხები. აქ ამფორები გვხვდება როგორც ყავისფერთიხიანი ადგილობრივი წარმოებისა, ისე ყვითელ და წითელთიხიანი იმპორტული. საერთოდ, ამფორები კარგადაა ტიპოლოგიურად დაჯგუფებული და დათარიღებული, ამდენად ჩვენს მასალაში აღმოჩენილ ამფორათა ფრაგმენტები არსებით დახმარებას გვიწევს ძეგლის ასაკის დადგენისას.

ამფორა წარმომობით ძველი ბერძნული ჭურჭელია, რომელიც უმეტესად ზეთისა და ღვინის გადასატანად იხმარებოდა. იგი თავიდანვე ფართოდ გავრცელდა ანტიკურ სამყაროში და დასავლეთ საქართველოშიც მრავლად ჩნდება სხვადასხვა დროს. აღმოჩენილი ნატეხების სიმრავლემ მკვლევარები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ამ ჭურჭლის გარკვეული სახეობა ადგილობრივადაც მზადდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანანტიკურ ხანაში პოლიტიკური ცხოვრება დასავლეთ საქართველოში მაინც და მაინც ბრწყინვალე არ იყო, ქვეყანა სამთავროებად იყო დაშლილი და მას არ ჰყავდა საერთო მეთაური. კოლხეთის ზღვისპირა ნასახლარებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში თიხის ჭურჭლის დამზადება საკმაოდ მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა ხელოსნობისა. ამაზე მიუთითებს არც თუ ისე მდარე ჭურ-

¹⁸ В. Ф. Гайдукевич, Раскопки Тири-таки в 1935 г. МИА, 25, с. 123 (სურ. 158—შუაში).

¹⁹ Т. Н. Книпович, დასახ. ნაშრ., გვ. 319, სურ. 12.

²⁰ რ. რამიშვილი, არქეოლოგიური ვათხრება ბიჭვინტაში, მსკა, ტ. III, 1963, გვ. 75.

ჰელი, ამფორები, განსაკუთრებით კი წელში გამოყვანილი ამფორების დიდი სიმრავლე.

ჩვენი მასალიდან მომდინარე წელში გამოყვანილი ამფორა (32—969:294) მოყავისფრო თიხისგანაა დამზადებული, ცუდად გამომწვარი, შედარებით კარგად გამოძერწილი ვიწრო და გრძელი კორპუსი ყელისაკენ გაფართოებულია, მკვეთრად გამოყვანილი წელი კი გადადის ოდნავ გამობურცულ ქვედა ტანში, კონუსისებური ძირი პატარა ბურთულით მთავრდება. ყელი დაბალი და ზემოთკენ შევიწროვებულია, სახელურები მცირე ზომისაა და ბრტყელგანივკვეთიანი, კორპუსის ზედაპირი დაღარულია გოფირებული ზოლებით. ასეთი ამფორის ნატეხები მრავლადაა ჩვენს მასალაში.

მკვლევარებს კარგა ხანია მიაჩნიათ, რომ ასეთი ტიპის ამფორები ადგილობრივი წარმოებისაა²¹. ურეკის მასალების მიხედვით წელშეზნეჭილი ამფორები (სურ. 18, ტაბ. XVIII) III—IV საუკუნეებითაა დათარიღებული²². წელშეზნეჭილი ამფორები გონიოდან, ნოქალაქევიდან და ბიჭვინტიდან მომდინარე მასალაშიცაა დადასტურებული. მის ადგილობრივობაზე ლპარაკობს ამ ჭურჭლების თიხის სტრუქტურაც. საინტერესოა, რომ მსგავსი ჭურჭელი ყირიმშიაც გვხვდება²³, მაგრამ რაოდენობრივად ისინი ყველაზე მეტი დასავლეთ საქართველოშია დადასტურებული. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ტიპის ამფორები გარკვეულ პერიოდში ექსპორტის საგანია, ძნელია თქმა, მაგრამ მთლად გამორიცხულიც არ უნდა იყოს.

გუდავის მასალაში მრავლად არის აგრეთვე ყვითელ და წითელთიხიანი იმპორტული ამფორებიც.

წარმოდგენილი ამფორა მოყვითალო თიხისაა, მრავლად შემცველი შავი მბრწყინავი მარცვლებით, რაც აშკარად მიუთითებს მათ მცირეაზიურ წარმოშობაზე. განიერი მრგვალი კორპუსი წაწვეტებული ძირით, ფართო ცილინდრული ფორმის მაღალი ყელი პატარა ბაკოთი, სახელურები დიდი და მასიური, განიკვეთში მრგვალი ან „სამყურა“.

მსგავსი ამფორები მრავლადაა აღმოჩენილი ბიჭვინტაში²⁴ და ტანაისის IV საუკუნის ფენებში. შელოვის თქმით, ისინი ადრეშუასაუკუნეებშიც განაგრძნობენ არსებობას²⁵.

IV საუკუნეში გავრცელებულ ამფორათა ტიპს უნდა ეკუთვნოდეს გუდავაში აღმოჩენილ ამფორათა ნაწილი (32—969:303, 267), რომელთაც შედარებით ვიწრო, ცილინდრული ყელი, ყელსა და მხარზე მიძერწილი შედარებით პატარა ყურები, წაგრძელებული, მჭრქალად დაღარული ტანი და ღილისებური ძირი აქვთ. მათი თიხა ღია ჩალისფერი ან მოყვითალო ფერისაა, ყურიც ქედიანი აქვთ.

²¹ ქ. ბერძენიშვილი, კოლხური ამფორების შესწავლის საკითხებისათვის, თბ., 1952, ისტ. ინსტ. არქ. განყ. არქივი; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, ტ. IV, 1965.

²² Н. Хоштарна, Археологические исследования Уреки, Мска, I, 1955, გვ. 59.

²³ А. Я. Яковсон, Средневековые амфоры Северного Причерноморья, СА, XV, М.-Л., 1951.

²⁴ ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთურიძე, ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები (კატალოგი), გვ. 273, ტაბ. 565.

²⁵ იქვე, ტაბ. 58₂₋₅ და 59₂.



ამგვარი ამფორები ცნობილია ბიჭვინტაში, ბოსფორში²⁶. განსაკუთრებით ბევრია ჩვენ მასალაში ლიტერატურაში ცნობილი ე. წ. „სამოსური“ წარმოშობის ამფორათა ნაწილები. ეს არის მცირე ზომის ამფორები (32—969:132, 482), დამზადებული მოწითალო ან მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისაგან, თხელკედლა. ძირები (ტაბ. XII-1), ზოთაც გვაქვს წარმოდგენილი უმთავრესად გუდავის მასალაში ასეთი ტიპის ამფორები, სხვადასხვა სახისაა, ძირითადად კი კონუსისებრი (32—969:131). ასეთი ამფორები ცნობილია ბიჭვინტიდანაც²⁷. ბოსფორის ქალაქებიდან მომდინარე მასალის მიხედვით ი. იაკობსონი მათ V—VI საუკუნეების ფენებისათვის დამახასიათებლად თვლის. ისინი ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქებში მრავლადაა წარმოდგენილი²⁸.

საკმაოდ მრავალფეროვანია გუდავის მასალაში წითლად გამომწვარ ამფორათა ფრაგმენტები, რომელთა ყურების ზედაპირი ამოღარული ორნამენტითაა დაფარული (32—969:247). ჩვენში ამგვარ ამფორათა ნაწილები ნაპოვნია ბიჭვინტაში. მირმიკონის მსგავსი მასალით იგი ადრე შუასაუკუნისადმი ითვლება²⁹.

ამგვარად, ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ გუდავაში მოპოვებულ ამფორათა ფრაგმენტები მოიცავს როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტულ მასალას და მათი გავრცელების პერიოდად ითვლება ადრე შუა საუკუნეები.

გუდავაში ჭურჭლის ძლიერ გავრცელებული სახეა მასიური ჯამის თუ თასის მსგავსი ჭურჭელი, რომლებსაც ლიტერატურაში ლუთერია ეწოდება. წარმომავლობით მისი ფორმა, რასაკვირველია, არ არის ადგილობრივი. მაგრამ წელში გამოყვანილი ამფორების მსგავსად, ყავისფერი თიხა მის კოლხურ წარმომავლობაზე მიგვიითობს.

ლუთერია (32—969:245, 319) (ტაბ. XII—3), როგორც ჩანს, საკმაოდ ღრმა, ოდნავ ოვალური ყოფილა, ირიბი გვერდებითა და ბრტყელი ძირით. ლიტერატურაში ტირიტაკისა და მირმიკონის ლუთერიებს თიხის სტრუქტურის მიხედვით სინოპურ ნაწარმიდან მიიჩნევენ³⁰. მაგრამ გაიდუკოვიჩი ცდილობს გამოყოს ლუთერიების ადგილობრივი ფორმა.

ოთ. ლორთქიფანიძე³¹ ბიჭვინტაში მოპოვებულ ლუთერიებს განასხვავებს ანტიკურ სამყაროში გავრცელებულ მსგავსი ჭურჭლისაგან იმით, რომ ტუჩი და მისი გავრძელება ქობაზეა შემადგენელი. და ვარაუდობს „ლუთერიების“ ადგილობრივი ტიპის შექმნაზე, რასაც კეცის შემადგენლობაც მოწმობს.

გუდავის ლუთერიების ფრაგმენტებიც იგივეს თქმის უფლებას გვაძლევს. ბიჭვინტის მსგავსი ლუთერიები მომდინარეა III—IV საუკუნეებიდან³². შემდეგ კი იგი აღარ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთ საქართველოს ძეგლებში. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს მასალებს, ურბნისის IV—VIII საუკუნეებით დათარიღებულ ფენებშია დადასტურებული და მას „საწველა-

²⁶ А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 326, სურ. 12.

²⁷ რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107, სურ. 3.

²⁸ А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 326—328.

²⁹ იქვე, გვ. 277, ტაბ. 60, В. Ф. Гайдукович, დასახ. ნაშრ., გვ. 180, სურ. 82.

³⁰ В. Ф. Гайдукович, დასახ. ნაშრ., გვ. 210.

³¹ ოთ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ.

³² რ. რამიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 81.



ვის“ სახელი აქვს მიცემული³³. რისთვის იხმარებოდა ეს ჭურჭელი, ზუსტად თქმა ძნელია, ფორმით კი უდგება მარილის წარმოების ტექნიკას. ყოველ შემთხვევაში, ზღვისპირა ტერიტორიაზე იგი ამ დანიშნულებით იხმარებოდა.

საშინაო ხელოსნობის დარგის უძველესი ტრადიციების მიმანიშნებელია სხვადასხვა ფორმისა თუ ზომის კვირისტაყების (32—969:147 და სხვ.) არსებობა განსახილველ მასალაში, აგრეთვე, პირამიდული საწაფები (32—969:203, 204, 205 და სხვ.), რომლებიც ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმად ყოფილა გამოყენებული³⁴. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი არ გამოირიცხავს მათ გამოყენებას სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული დანიშნულებებითაც, მაგალითად თევზჭერაში³⁵.

ლიტერატურაში ცნობილია ბადის საწაფების განსხვავებული სახეები. ჩვენი ნიმუშები პატარა ზომის ერთნახვრეტიანი საწაფები — მოგვიანო ხანის ძეგლებიდან მომდინარე მასალებშია დადასტურებული: სოხუმსა და მის მიდამოებში, ოჩამჩირეში, ურეკში, ბათუმის ციხეზე და სხვ.

საერთოდ, ზღვისპირა მასალებში ქსოვილიანი კერამიკის, კვირისტაყებისა და საწაფების არსებობა კოლხური სელის წარმოებისა და რთვა-ქსოვის თუ თევზჭერის მიმანიშნებელია.

გუდავის არქეოლოგიურ მონაპოვარში ნრავლადია აგრეთვე ადგილობრივი, კოლხიდაში დამზადებული კერამიკა. ესაა სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, როგორც ტლანჭი, ხელით ნაძერწი, ისე სამეთუნეო მორგვზე ნაკეთებაც.

სამზარეულო კერამიკის დიდ ჯგუფს წარმოადგენს ქოთნები, რომლებიც ძირითადად ნატეხებითაა წარმოდგენილი — პირისა და კედლის ნატეხები, ყურები, ძირები. მხოლოდ რამდენიმეა მთლიანი სახის. სამზარეულო ჭურჭლის თიხა მსხვილმარცვლოვანია. მინარეგები — ქარსი, ქვიშა, კვარცი, ავიტი. უმეტესად ცუდადაა განლექილი და კეციც არათანაბრადაა გამოწვეარი. ქოთნების უმრავლესობა სადა ზედაპირიანია, თუმცა არის ზერელედ ზედაპირდაღარულიც. გეხვდება უყურო, ყურიანი და ორყურაც. დაბალი, ზევითკენ გაგანელებული ყელით და ხშირად ოდნავ შესამჩნევი ტუჩით. ყურები პატარა, ბრტყელი. ქოთნის მუცელიც მეტნაკლებად არის მომრგვალებული, ძირები ბრტყელი. მათი უმრავლესობა საშუალო ზომისა ჩანს.

ქოთან (39—969:290), რომელიც აგურისფრადაა გამოწვეარი, თხელკედლია. თიხა მსხვილმარცვლოვანი, მინარეგებით, ცუდად გამოწვეარი, ძლეერი ცეცხლის კვლით. კეცი არათანაბარი. გუდავის ასეთი ქოთნების უმრავლესობა ყურიანია. პატარა ყური ზეაწეული, როგორც წესი, მხარზე და მუცლის დასაწყისზე აქვს მიძერწილი. განივკვეთში ბრტყელი, მხრის ქვემოთ ოდნავ გამობერილი მუცლით სწორი კალთებით გადადის ბრტყელ ძირში. პირისა და ძირის დიამეტრი თითქმის ტოლია (10,5 და 10 სანტიმეტრი). მხარზე ულაზათოდ შესრულებული კლაკნილი ორნამენტის ორი მწკრივი შემოუყვება.

პირგადაშლილი, ყელგამოყვანილი ქოთანი (32—969:382), ნაკლული. აღნიშნული ფრაგმენტის კეცი მორუხო-შავადაა გამოწვეარი. არის მოწითალო

³³ მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა (საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით), მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, 1966, გვ. 50.

³⁴ В. Ф. Г а й д у к е в и ч, К вопросу о ткацком ремесле в Боспорских поселениях, МИА, 25, 1952, с. 397.

³⁵ Н. А. О н а й к о, О фанагорийских грузилах, МИА: 57, 1956, с. 154—155.



შეად ან მოყვითალო-ყავისფრად გამომწვარიც. ყელი ზემოთ განხილულ ფრაგმენტთან შედარებით ფართო და მაღალი აქვს, შებოლილი. ყელზე ქლაკნილი ხაზების ორნამენტი შემოუყვება. ყური ყელსა და მხარის ბოლოზე აქვს მიძერწილი. მხარზევე ამოღარული ხაზები შემოუყვება.

ასეთივე ქოთანი (32—969:369) მოწითალოდ გამომწვარი დაბალი ბაკოთი და ნაკლებად გამობერილი მუცლით. ყელი ოდნავ გადაშლილი, შედარებით მაღალი ტანი. პირის დიამეტრის მქონე სწორი ძირი. ყურის მიძერწვის ადგილი მუცლის შუა ნაწილსა და მხარზეა. ტანი დაღარული აქვს მკრთალი ზოლებით. გუდავის ამ ტიპის ქოთნების ფრაგმენტები მხოლოდ მარტივი სახეების ორნამენტითაა შემკული. ზოგს ირიბი ან ტალღისებური ნაჭდევების სარტყელი შემოუყვება, ერთი ან რამდენიმე რიგად, ან ზედაპირული. ღარები ხან ირგვლივ შემოუყვება, ხან კი ვერტიკალურად.

ტალღური ორნამენტი შესამჩნევად ჩანს გავრცელებული ანტიკურსა და ადრეფეოდალურ აფხაზეთში — ბიჭვინტის ნაქალაქარზე, წებელდაში. ბიჭვინტის კატალოგის მიხედვით ასეთი ორნამენტით შემკული ჭურჭელი მოქცეულია III—IV და VI საუკუნეების ჩარჩოებში³⁶. ამავე პერიოდს განეკუთვნება და მრავლად მოეპოვება ანალოგიები დაბალქობიან ცალყურა ქოთნებს, რომელთაც დაბალი ყელი და თითქმის პირთან მიძერწილი ბრტყელი ყურები აქვთ.

გუდავის მასალაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი — სულ რამდენიმე ნატეხი — ქვაბ-ქოთნებისა. ერთი მათგანი (32—969:143) მოყვითალოდ გამომწვარი თიხისაა, ალაგ-ალაგ შებოლილი. მისი ქობა კედლიდან ღარით არის გამოყოფილი, რომელშიც ალბათ იდგმებოდა ქვაბის ხუფი.

მსგავსი კერამიკა აღმოჩენილია ბიჭვინტაში „ხალიანი“ მინის თანმხლებ ფენაში და ამდენად IV საუკუნითაა დათარიღებული³⁷.

ამრიგად, ზემოთ აღწერილი სხვადასხვა ზომის ჭურჭლები განსხვავდებიან ძირითადად ერთმანეთისაგან პირისა და ტანის მოყვანილობით. ზოგი ფრაგმენტი ორნამენტირებულია და ზოგიც არა. საინტერესოა, რომ ზოგიერთი ფრაგმენტის ორნამენტაცია რაღაცით იმეორებს კოლხეთში ადრეულ ხანაში გავრცელებულ ორნამენტს და შესაძლებელია, სხვა გარემოებასთან ერთად, ესეც მიუთითებდეს ძველი ტრადიციების არსებობაზე — გვიანანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების ადგილობრივი მოსახლეობის კერამიკულ წარმოებაში.

ცეცხლზე სადგამ ჭურჭელს — ქოთნებს უნდა ეკუთვნოდეს ღია ფერად გამომწვარი ბრტყელი დისკოსებრი სარქველი (32—969:471), რომლის დიამეტრი 11 სანტიმეტრია. დისკო სადაა, ძლიერი ცეცხლის კვალით. სარქველს შუაში ხელისმოსაკიდი წანაზარდი აქვს, შუაში ჩაღრმავებული.

სამზარეულო დანიშნულებისაა ანუ ცეცხლზე სადგამ ჭურჭელთა რიცხვს ეკუთვნის ტ ა ფ ე ს მ ა გ ვ ა რ ი ჭურჭლები (ტაბ. XII—2), რომელთაც უქუთსლო ჯამისებრი მოყვანილობა აქვთ (39—969:255, 454). გვერდის სიმაღლე სხვადასხვაა, ამდენად სიდიდეც. კეცი აგურისფრადაა გამომწვარი სხვადასხვა სისქის. შებოლილია უფრო მეტად მისი ქვედა მხარე. სახელური მსხვილი და განიერია, შუაში ნახრეტით, შესაძლოა მასში ხის სახელურს ამაგრებდნენ.

³⁶ ლ. ასათიანი, ბიჭვინტის სამზარეულო კერამიკა (კატალოგი), დიდი პიტიუნტი, თბ., 1975, გვ. 206.
³⁷ იქვე, გვ. 208.



განსხვავებით I—III საუკუნეების მსგავსი ჭურჭლებისაგან, რომლებიც უფრო მეტი სიფაქიზით გამოირჩევიან, აქ აღნიშნული ჭურჭლის ტიპი უფრო ტლანქადაა ნაძერწი და მათთვის დამახასიათებელია ფორმათა კუთხოვნება. ყურები განიგვეთში კვადრატულია და არა მრგვალი, როგორც დამახასიათებელია ადრეული ხანისათვის. მსგავსი ჭურჭლები ცნობილია როგორც აღმოსავლეთ³⁸ და დასავლეთ³⁹ საქართველოს ძეგლებიდან, ისე მის გარეთ, ზოს-ფორის⁴⁰ გვიანანტიკური ფენებიდან მომდინარე მასალიდან.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ჭურჭლის ერთი სახეობა (32—969:364), რომელიც ფორმით განსხვავებულია და ჩვენს მიერ შესწავლილ ანალოგიურ მასალაში არ შეგვხვებოდა. ეს არის მუქი აგურისფერი, მოწითალო მყფე თიხისაგან ნაკეთები აშკარა შავი მარცვლების მინარევებით „ლარნაკის“ ტიპის ჭურჭელი. ნაძერწი უხეშად, ძირისაკენ ოდნავ გამობერილი და შემდეგ სწორად ამავალი კედლები, როგორც ჩანს, თანდათან ვიწროვდება და ყელში გადადის. აი ეს შევიწროვება განასხვავებს მას სწორედ სასმისებისაგან. სამწუხაროდ, ზედა ნაწილი არ არის შემორჩენილი, ამდენად ფორმის გარკვევა ძნელია. ძირი მრგვალი, ტანზე დიდი დიამეტრის მქონე, შიგნითაა შეწეული. კეცში თიხა ნაცრისფერი, გამოუწვავია. ეს ჭურჭელი თავისი ფორმით ძალიან მოგვაგონებს ანტიკურ ხანაში გავრცელებულ ლარნაკებს და შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი შემდეგდროინდელ მინაბაძსაც წარმოადგენდეს. თიხის სტრუქტურა ადგილობრივსა ჰგავს.

საინტერესოა ჩვენი მასალიდან აგრეთვე პატარა ზომის დოქი თუ სასმისი. ესაა (32—969:449) მოყვითალო, შედარებით კარგად განლექილი თიხის თხელკედელა ჭურჭელი, ძირისაკენ მკვეთრად გაგანიერებული და დაბრტყელებული მუცლით, ძირი სწორი. მუცლის ზედა ნაწილი უცვბ გადადის ვიწრო, ოდნავ გადამოილ პირიან ყელში. ბრტყელგანიგვეთიანი ყურის ადგილი მუცლის ყველაზე გამოწეულ ნაწილზე შეიმჩნევა. მის გვერდით ამავე ხაზზე წვრილი მილია დატანებული. მსგავსი ჭურჭელი, ოღონდ უფრო დიდი დიამეტრის მქონე მილით, დადასტურებულია ბიჭვინტის ნაქალაქარის ფენებში და ისიც სამი ფრაგმენტი⁴¹. როგორც ჩანს, ჭურჭლის ეს სახეობა იშვიათად გამოიყენებოდა.

ზემოთ შესწავლილ ადგილობრივ, კოლხეთში დამზადებულ კერამიკას, რომელიც სამხარეულო ქოთნებით გვექონდა წარმოდგენილი, ძალიან ემსგავსება თავისი სტილით და იერსახით გუდავის მასალაში არსებული დიდი ზომის დოქები (32—969:357, 328). მათი თიხა აგურისფერი და მოწითალოა. გვხვდება უხეშად და კარგად გამოძერწილიც, დამახასიათებელია დაბალი და განიერი, გადამოილი ყელი. მკვეთრად გამობერილი მუცელი ქვემოთაგან ვიწროვდება და სწორ ძირში გადადის. ყურები უმეტესად ბრტყელგანიგვეთიანი, სხვადასხვა დახრილობის, მიძერწილია ყელსა და მხარზე. ზოგ ფრაგმენტს კარგად გამოკვეთილი ჩარხის კვალი ამჩნევა, შეიძლება დეკორის მიზნითაც.

ასეთი ჭურჭლის ფრაგმენტებს ზოგ შემთხვევაში თან ახლავს გამოძერ-

³⁸ მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

³⁹ ა. კახიძე, მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის, მსკა, ტ. IV, 1965, გვ. 73.

⁴⁰ В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмикия в 1935—38 гг., МИА, 25, 1952, სურ. 62.

⁴¹ ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., (კატალოგი), გვ. 222.

წვამდე ამოკაწრული „ისრისებური“ ნიშანი. გუდავაში წარმოდგენილი ასეთი ნიშნები დამახასიათებელი და ხშირია ვანურ კრამიტებსა და კოლხურ ლაქებზე. ამით უფრო მტკიცდება ამ ტიპის კერამიკის კოლხური წარმოშობა⁴². ასეთივე სურათის შემქმნელია წიწვოვანი ორნამენტის იმიტაცია, რომელიც გუდავის ერთ-ერთ ღოქს აქვს.

ღოქების ფრაგმენტები გუდავის მასალაში საკმაოდ ბევრია. ზემოთ მოხსენიებული ორნამენტის ღოქი მოყვითალო-აგურისფერი, მინარევებიანი თიხისგანაა დამზადებული, ხორკლიანი ზედაპირით. საკმაოდ ლამაზად გამოყვანილი ყელი ძაბრისებური ვადაშლილი პირით მთავრდება, პირთან ახლოს მიძერწილი ბრტყელი ყური დაფარულია ხშირი, სველ თიხაზე შესრულებული „წიწვოვანი“ ორნამენტით. ასეთივე ორნამენტი აქვს ყელზე, პორიზონტალურად. სამწუხაროდ, მისი ქვედა ნაწილი შემორჩენილი არ არის, მაგრამ სავარაუდებელია, რომ მას ძირისაკენ გაგანიერებული მუცელი ჰქონდა.

ღოქების უმრავლესობა გუდავაში წარმოდგენილია ძირითადად ყელყურისა და ცალკე ძირების სახით. განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან ყელის სიმაღლით, ფორმითა და დეკორით. ძირითადი ნაწილი არის მაღალი და ვიწროყელიანი, სადა ან პირის ქვემოთ შემოყოლებული წიბოთი. მეტწილად ღია აგურისფერად და წითლად გამონწეარი (39—669:232, 248 და სხვ.). ყურებიც შესაბამისად სხვადასხვა ზომის, ბრტყელგანივკვეთიანი უმთავრესად პირთან ახლოს მიძერწილი. ფრაგმენტს ყურზე სავარცხლისებური ერთი მწკრივი ნაჭდევეები აქვს.

ამ სახეობის ჭურჭელში გამოირჩევა ვიწრო და ძალზე მაღალი, სწორყელიანი ღოქის ფრაგმენტი (32—969:377), ოდნავ გაგანიერებულ ყელზე, პირთან ახლოს პატარა მრგვალი ყურით. თიხა მოყავისფრო, შავი ნატრისფერი კეციით.

ღოქების ნაირსახეობას წარმოადგენს ე. წ. „სამტუხა“ პირის მქონე ჭურჭლები (32—969:277), რომელთა თიხა მოყვითალოა და უფრო თხელკედელია.

წარმოდგენილი ღოქების თიხა დიდი რაოდენობით ქვიშის შემცველია, ნაწილი ძალიან ჰგავს ადგილობრივი კოლხური ამფორების კეცს. ნაძერწია შედარებით ტლანქად, დეკორიც ძუნწადაა გამოყენებული.

ანალოგიური მასალა არის ბიჭვინტის ნაქალაქარის ადრეფეოდალურ ფენებში. მაგრამ მათი წარმომავლობა უფრო კოლხეთის შიდა რაიონებიდან უნდა იყოს. ავიღოთ თუნდაც მათი მსგავსება ვანიდან მომდინარე უფრო ადრეული ხანის ადგილობრივ კერამიკასთან. და რაც საინტერესოა, ზემოთ განხილული ღოქები, განსაკუთრებით კი „სამტუხა“ თავისი იერით, „ტუჩის“ მოყვანილობით უფრო ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკას, კერძოდ, ურბნისიდან მომდინარეს. იქ კი ასეთი ჭურჭლები VI—VIII საუკუნეებით დათარიღებულ ფენებშია დადასტურებული⁴³.

საერთოდ, „სამტუხიანი“ მოყვანილობის პირი განსაკუთრებით გავრცელებულია გვიანანტიკურ ხანაში და ამ ტრადიციის გავრცელებას უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ნიმუშებიც.

გუდავის მინის ჭურჭელი, სამწუხაროდ, პატარა ფრაგმენტებითაა წარმო-

⁴² ნ. ხოშტარია, ოთ. ლორთქიფანიძე, რ. ფუთურიძე, ვ. ლეჟავა, არქეოლოგიური გათხრები ვანში 1966 წელს, ვანი I, 1972, გვ. 165—166.

⁴³ მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60—61.

დგენილი. ესაა ძირითადად თხელკედელა, მომწვანო, ცისფერი და თეთრი მინის პატარაფეხიანი სასმისების მრგვალი ძირები (32—969:157, 158 და სხვ.), სწორპირიანი ჭურჭლის ნატეხები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ყურბები აგრეთვე სარკმლის მინაც.

გუდავის მინის ჭურჭლიდან საინტერესოა მოყვითალო-მომწვანო ფერის მინის თხელკედელა ფინჯნის მუცლის ნაწილი (32—969:481), რომლის ზედაპირზეც ლურჯი საღებავით შესრულებული „ხალებია“. „ხალიანი“ მინის ჭურჭლის ფრაგმენტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია ბიჭვინტის ნაქალაქარზე⁴⁴, წებელდაში (ინახება სოხუმის მუზეუმში), ქობულეთში; ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მინის ლურჯი „ხალებით“ შემკული ფინჯანი ნაპოვნია მცხეთის ერთ-ერთ სამარხში. ნ. უგრელიძე ამ ფინჯანს ჩრდილო შავიზღვისპირეთული ანალოგიების მიხედვით ათარიღებს ახ. წ. IV საუკუნით⁴⁵.

„ხალიანი“ მინის ჭურჭელი სადღეისოდ დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდილო შავიზღვისპირეთში, სადაც ისინი ჩვეულებრივ გვხვდებიან ე. წ. „გოთური სტილის“ ნივთებთან ერთად. დიდი რაოდენობით გვხვდება ისინი ქერჩის მასალებში და იქ აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალით საიმედოდ თარიღდება IV საუკუნის მეორე ნახევრით⁴⁶. მსგავსი ფრაგმენტები აღმოჩენილია აგრეთვე ტირიტაკსა და ფანავორიაში⁴⁷. გაილუკევისის გამოკვლევის თანახმად, „ხალიანი“ მინის ჭურჭელი ფართოდ იყო ხმარებაში ჩრდილო შავიზღვისპირეთში ახ. წ. IV—VI საუკუნეებში⁴⁸. ხოლო რაც შეეხება მისი წარმოშობის ცენტრებს, ვერ არ არის დადგენილი.

სამშენებლო მასალა გუდავაში წარმოდგენილია საკმაო რაოდენობის კრამიტებით, ყველა მომდინარე ეკლესიის უბნიდან. კრამიტი ცნობილია გვერდბაკეცილი ბრტყელი, ე. წ. სოლენი და ღარისებრი — კალიბტერი. ეს უკანასკნელი სინქრონულ მასალაში გაცილებით მცირედაა წარმოდგენილი. იგი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ყოფილა გავრცელებული. ურეკის გათხრებით გამოვლენილი მასალიდან ჩანს, ღარიანი კრამიტი ბრტყელის გარეშე იხმარებოდა. ურეკის ღარიანი კრამიტი VI—VII საუკუნეებითაა დათარიღებული. ღარიანი კრამიტი ცნობილია აგრეთვე ვანის ძვ. წ. IV—III საუკუნეების ფენებიდან. ამ დროისთვის იქ უკვე სოლენიც დასტურდება.

გუდავის გვერდბაკეცილი ბრტყელი კრამიტები ზომების, სისქის მიხედვით ახლო მსგავსებაშია ბიჭვინტის ნაქალაქარზე⁴⁹ აღმოჩენილ კრამიტებთან. მისი სიგრძე 40—45 სანტიმეტრია, განიერი თავის სიგრძე 27 სანტიმეტრია, ხოლო ვიწრო თავისა — 20 და 21 სანტიმეტრებს შორის მერყეობს. კედის

⁴⁴ თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული საღაზვერვო არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მსკა, ტ. III, 1963, გვ. 99.

⁴⁵ ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინის ისტორიის წარმოშობისათვის ძველ საქართველოში, საღისერტაციო ნაშრ., თბ., 1954, გვ. 101—102.

⁴⁶ В. В. Шкорпиль, Отчет о раскопках в г. Керчи в 1904 г., ИЛК, вып. 25, 1907, с. 42—44.

⁴⁷ В. Ф. Гайдукевич, Раскопки в Тиритаки в 1935—40 гг., МИЛ, 25, с. 119.

⁴⁸ В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 38, 85.

⁴⁹ რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა, ტ. III, 1963, გვ. 71.

საშუალო სისქე 1,5 სანტიმეტრია. აკეცილი გვერდის სიმაღლე კი — 4,5—5 სანტიმეტრს არ აღემატება.

ასეთი კრამიტები საგრძნობლად განსხვავდება ანტიკური და გვიანანტიკური კრამიტისაგან — ზომებით, მოყვანილობით. ეს კრამიტები ახლო ანალოგიებს პოულობს უფრო ადრეფეოდალური ხანის ნაგებობათა თხრისას მოპოვებულ კრამიტებთან, მაგალითად, ვაშნარისა და ბიჭვინტის მსალასთან. ბიჭვინტის კრამიტის დათარიღების ბოლო პერიოდად მიჩნეულია VII—VIII საუკუნეები.

ასეთი ახლომდებარე პუნქტების კრამიტების ერთგვარობა მიუთითებს არა მარტო მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეზე, არამედ იმაზეც, რომ დასავლეთ საქართველოს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთი სახის სახურავი მასალა ყოფილა გავრცელებული.

ჩვენი მასალიდან მომდინარე ლითონის ნაწარმი — იქნება ეს დანები თუ ბრტყელთავიანი დიდი ზომის ლურსმნები, ანალოგიებით ასევე ადრეფეოდალური ხანის ძეგლებშია დადასტურებული.

ამრიგად, როგორც ირკვევა, გუდავა-გუდაყვა-ზიდანოსი გვიანანტიკურ პერიოდში რომის იმპერიის სტრატეგიული ინტერესებისათვის ისეთივე როლს ასრულებდა, როგორც სხვა იმდროინდელი პუნქტები დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში.

მიუხედავად იმისა, რომ გუდავაში არა გვაქვს შენობების, განსაკუთრებით კი თავდაცვითი ნაგებობების ისეთი ნიმუშები, როგორც დამახასიათებელია იმ დროის აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის სხვა რომაული სიმაგრეებისათვის, მას არ ეკარგება თავისი მნიშვნელობა. გუდავა მდებარეობს შუა წერტილზე ფოთსა და ბიჭვინტას შორის. თითქოს კანონზომიერია ამ ადგილას ასეთი პუნქტის არსებობა, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ შავი ზღვისპირეთზე განლაგებული რომაული სიმაგრეები გარკვეული მანძილით იყვნენ ერთმანეთისაგან დაცილებული.

რაც შეეხება ნაგებობის ფრაგმენტულობას, სავარაუდებელია, რომ მისი დიდი ნაწილი დღევანდელ ჰაობიან ადგილას ხვდება, სადაც გათხრების ჩატარება შეუძლებელი იყო. ის რომ დასავლეთ საქართველოს ამ კუთხეში არ არის სამშენებლო კარიერი, ერთგვარად წყვეტს აქ წარმოდგენილი თავდაცვითი ნაგებობის „სილატაკეს“.

გუდავის არქეოლოგიურ მასალაში წარმოდგენილი იმპორტული წარმოების ნიმუშების სიმრავლე საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ გვიანანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა მცირე აზიისა და ჩრდილო შავი ზღვისპირეთის ცენტრებთან. ეს არ ითქმის შემდეგდროინდელ მასალაზე, სადაც უმრავლესობა ადგილობრივია, რაც იმის მანიშნებელია, რომ არსებული პოლიტიკური ვითარების გამო შეწყვეტილია ან მოშლილია სავაჭრო ვაჭრობა.

მიუხედავად იმისა, რომ თვალში საცემია ადგილობრივი კერამიკის სიმდარე, დაბალია თიხის დამუშავების კულტურა, მივიწყებულია ძველი, დახვეწილი და სიმეტრიული ფორმები, მისი სიმრავლე მაჩვენებელია იმისა, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში ჭურჭლის დამზადება მნიშვნელოვანი დარგი ყოფილა და, რაც მთავარია, მეტი შეხების წერტილები ჩნდება დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებთან და აღმოსავლეთ საქართველოსთან.

მ. ჟოჯელია

სასანური სინი კრასნაია პოლიანადას

(ტაბ. VII—X)

სასანური ირანის ხელოვნების გამოვლენის სფერო საკმაოდ მრავალმხრივი იყო. ამ ეპოქის ხელოვნების დარგებიდან ყველაზე უფრო კარგად არის ცნობილი გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც „პროკლამატიურ“ ხასიათს ატარებდა. მეფეთ მეფისა და მის წარჩინებულთა ოფოციალური პორტრეტების გამოსახვა დამახასიათებელი იყო სასანური რელიეფების, კედლის ფერწერის, გემების და ჭედური ხელოვნებისათვის. სასანურ ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელზე (თასებზე, სინებზე, რიტუალურ საგნებზე) სამეფო კარისათვის მიღებული ხელოვნების სპეციფიკური სიუჟეტებია აღბეჭდილი: ნადიმის და ნადირობის სცენები, სხვადასხვა ცხოველების ფანტასტიკური გამოსახულებები, მითოლოგიური სიუჟეტები.

დღემდე ცნობილი სასანური ტორეტიკის ასამდე ნიმუშიდან მკითხველის ყურადღებას ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებთ.

1947 წელს ადღერის რაიონის დაბა კრასნაია პოლიანაში ნაპოვნი იყო სასანური ხანის ვერცხლის სინი, რომელზეც გამოსახულია ტახტის მემკვიდრის დათვებზე ნადირობის სცენა. (ტაბ. VII). სინი პირველად გამოაქვეყნა ა. მელიხოვმა, რომელმაც თავის პუბლიკაციაში აღნიშნა, რომ სინი ნაპოვნი იყო სამარხში, მდიდარ სამარხეულ ინვენტართან ერთად, და მკვლევარი, სამარხის შემადგენლობის მიხედვით, მას ათარილებს II საუკუნის მიწურულით — III საუკ. დამდეგით¹. მისი აზრით, ძეგლი მიეკუთვნება სკვითო-სარმატულ წრეს და წარმოადგენს კავკასიური სახვითი ხელოვნების ნიმუშს.

სინი ინახება ქ. სოხუმის დ. გულიას სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში ისტორიის განყოფილების სეიფში (საინვენტარო № 3839). სინის დიამეტრი 28 სმ-ია, წონა — 1835 გრ.

სინზე წარმოდგენილი მხედრის იკონოგრაფია ზუსტად არაა იდენტიფიცირებული და მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ა. მელიხოვი თვლის, რომ სინი დამზადებულია წინასასანურ პერიოდში². ბ. მარშაკი სინს უკავშირებს ირანის მომავალ შაჰანშაჰ ვარაჰრან II-ს³. ვ. ჰინცი მხედრის იკო-

¹ А. Н. Мелихов, Серебряное блюдо из Красной Поляны. «Краткие сообщения Института истории, материальной культуры АН СССР», вып. XLIII, М., 1952, с. 74.

² А. Н. Мелихов, დასახ. ნაშრ., გვ. 78—79.

³ Б. И. Маршак, Я. К. Крикис, Чилекские чаши, «Труды Государственного Эрмитажа», № 10, 1967, с. 62.

ნოგრაფიას აიგივეებს პიტიახშუ პაპაკის გამოსახულებასთან⁴. ვ. ლუკონინი სინს, სამართლიანად, მიაკუთვნებს შაჰანშაჰ შაჰურ I-ის მეფობის ხანას⁵. ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, გავვესაზღვრა გამოსახული მხედრის ვინაობა და დაგვეზუსტებინა სინის დამზადების თარიღი.

სინი კარგად არის შენახული (მხოლოდ ორგანაა ოდნავ მოტეხილი — დათვის უკანა ფეხი და წარწერის ფრაგმენტი), დამზადებულია ვერცხლისაგან, ზოგან ვარაყის გამოყენებით (მოვარაყებულა მხედრის თავსაბურავი, ტანსაცმელი იდაყვამდე, ხიფთანის სამაჯეები, ორი მოკლე აფრიალებული ბაფთა მკერდზე, ცხენის მოკახმულობა, ცხოველების ჩლიქები და დათვის თავები).

სინზე წარმოდგენილ მხედარს აქვს ყველა ნიშანი დამახასიათებელი ადრეგნასანური „ოფიციალური პორტრეტის“ იკონოგრაფიისათვის⁶. ტანი პროპორციულია, თავი პროფილშია გამოსახული, მკვეთრად გამოსახული პორტრეტული ნიშნებით. მხრები და გულმკერდი ფასშია წარმოდგენილი (ტაბ. VIII). მხედრის სახე ოვალურია, წვერ-ულვაშით შემკული. უღვაშები ზევით აქვს აპრეხილი, წვერი დაკულულებული, კისერი მასიური. თმის ვარცხნილობაც „ოფიციალურ პირთათვის“ დამახასიათებელი აქვს — მჭიდროდ დაგრებული ხუთი ნაწნავით. ყურში დიდი მრგვალი მძივისებრი საყურე უყვითა. თავი შემკულია საპატიო თავსაბურავით — ოვალური ქულახით (ე. წ. პართული ტიპით), რომელიც დაფარულია პატარა წრეებითა და წერტილებით. მხედრის ტანი შემოსილია მრგვალსაყელოიანი ხიფთანით და შარვლით, რომელიც თითქმის ფეხის ტერფამდე სწვდება. მხედრის სამოსელი მოფარდულია. მკერდზე ორი მოფრიალე ბაფთაა, რომლებიც ორი ბალიდან გამოდიან: ეს დეტალი დამახასიათებელია III საუკუნის ირანის წარჩინებულთა ტანსაცმლისათვის⁷. სამოსელი მორთულია სამი შეერთებული წრის ორნამენტით. ეს დეკორატიული მოტივი ხშირად იყო გამოყენებული ტორეტიკის ძეგლებსა⁸ და სასანურ ნუმიზმატიკაში⁹. მდიდრული სამოსელის ბალიებით, ასხმული მძივებით და მარგალიტებით მორთვის ტრადიცია ცნობილი იყო სასანურ ირანში¹⁰.

მხედარს წელზე შეზბული აქვს საისრე, რომელზეც გამოსახული ორნამენტი ახლოს დგას ქ. თეირანის მუზეუმში დაცული თასის კაპარჭის ორნამენტ-

⁴ K. Hinz, Altiranische Funde und Forschungen, Berlin, 1969, გვ. 206.

⁵ В. Г. Луконин, Культура сасанидского Ирана, М., 1969, с. 68, рис. 20.

⁶ ადრეგნასანური ოფიციალური პორტრეტის ხასიათისა და მისი განვითარების შესახებ, იხ. В. Г. Луконин, Иран в эпоху первых Сасанидов, Л., 1961; А. Я. Борисов, В. Г. Луконин, Сасанидские геммы, Л., 1963.

⁷ იხ. შაჰურ I-ის რელიეფები დარაბში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 91, 97; ბიშაპურში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 180, სურ. 105; ნაჟში-რუსთაში — W. Hinz, დასახ. ნაშრ. გვ. 181, სურ. 106; გვ. 183, სურ. 107.

⁸ პიტიახშუ პაპაკის თასი არმაზისხევის № 2 სამარხიდან — К. Г. Мачабели, Позднеранняя торевтика Грузии, Тб., 1976, с. 105—116, рис. 40—41. მეფეთ მეფის ტანსაცმელი ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცულ თასზე, რომელიც V—VII სს-ით თარიღდება; V საუკუნის სინზე მოცეკვავე ქალების სამოსელი: R. Ghirshman, Parthians and Sassanians, Paris, 1962, გვ. 203, სურ. 242. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის თასზე შაჰანშაჰ ხოსრო II-ის გამოსახულებით: A. Godar, Umestnost Irana, Beograd, 1965, სურ. 117.

⁹ ვარაპრან V-ის, ფეროზის, კავადის, ზამსპის და ვარაპრან VI-ის მონეტების ზოვიერთ გმისაზე.

¹⁰ Н. В. Дьяконова, Сасанидские ткани, «Труды Государственного Эрмитажа», т. X, Л., 1969, с. 81—98.

თან. (ტაბ. IX). მარჯვენა ხელი წინ არის გაშვებული და საგდებელი უჭირავს, რომელშიც ერთ-ერთი დათვის თავია გაბმული.

მხედრის გვირგვინს სასანელი შაჰანშაჰების გვირგვინების ყველა დამახასიათებელი ნიშანი აქვს. სასანელ მეფეთ მეფეთა გვირგვინების 30 ტიპია ცნობილი. სინზე წარმოდგენილი გვირგვინი არაა წარმოდგენილი სასანურ მონეტებზე. ქულახი შეკვლია ორი იდენტური ნიშნით (nišan) და მონოგრამით ცენტრში. სასანელი ოფიციალური პირების თავსაბურავები ხშირად იყო შემკული სხვადასხვა ნიშნებითა და მონოგრამებით¹¹.

განხილული სინის მხედრის თავსაბურავის ფორმა ანალოგიურია სასანურ გემაზე ე. წ. „დევონშირის ამეთვისტოზე“ წარმოდგენილი პირის ქულახისა, რომელზეც გამოსახულია ქერმანის შაჰი — ვარაჰრანი.

დათვების ბეწვი გადმოცემულია პუნქტირული ხაზებით და მოკლე შტრიხებითაა შესრულებული (ტაბ. XI). დაჭერილი დათვის თავის გამოსახულება მსგავსია დათვის გამოსახულებისა ადრესასანურ თასზე, რომელიც 1886 წ. იყო ნაპოვნი პერმის გუბერნიის სოფ. ნიჟნაია შახაროვკაში და III საუკუნის შუა წლებით თარიღდება¹².

სინზე წარმოდგენილი ცხენი გამოსახულია მოძრაობაში, წინაწეული ფეხებითა და გაკვანძული კუდით, რომელზეც მიბმულია ორი ბაფთა და ორი ბურთი. ანალოგიური ბურთებია ქ. თეირანის მუზეუმის თასზე, რომელზეც აღბეჭდილია ტახტის მემკვიდრის ნადირობა. ცხენის გაკვანძული კუდით წარმოსახვა სასანური ხელოვნების დამახასიათებელი ნიშანია¹³. სიგრივ ღვედზე ცხენის აკაზმულობაა ჩამოკიდებული. ცხენის თავიც ბურთითაა შემკული. გვირგვინზე შემკული და მდიდრულ ტანსაცმელში გამოწყობილი მხედრის (მეფის ან უფლისწულის) გამოსახვა — ადრესასანური ხელოვნების საყვარელი სიუჟეტია, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ირანელი ოსტატები¹⁴.

¹¹ არღამირ I-ის რელიეფები ფირუზაბადში — W. Hinz, დასახ. ნაშრომი, სურ. 56; ნაყში-ი რაჯაში (არტაბან V-ის ქულახზე) — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 57—58, 68; შაპურ I-ის რელიეფი ნაყში-ი რაჯაში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 74, ვარაჰრან II-ის რელიეფი ნაყში-ი რუსთამში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 125 და ნაყში-ი ბაჰრამში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 133; ჰორმიზდ II-ის რელიეფი ნაყში-ი რუსთამში — W. Hinz, დასახ. ნაშრ., სურ. 133 (a); მაგუპატ ქარტირის თავსაბურავზე სხვადასხვა, ნიშნებია გამოსახული — W. Hinz, დასახ. ნაშრ., 135 (a); პიტიაშ პაპაკის თავსაბურავი — А. Апакидзе, Г. Гобеджишвили, А. Каландадзе, Г. Ломтатидзе, Мухета I, Археологические памятники Армазисхеви, Тб., 1958, სურ. 47, ფიგ. 21, და ზოგიერთ სასანურ ვეშებზე: А. Я. Борисов, В. Г. Луконин, დასახ. ნაშრ., გვ. 39—40.

¹² Я. Н. Смирнов, Восточное серебро. Атлас древней серебряной и золотой посуды восточного происхождения, найденной преимущественно в пределах Российской империи. СПб., 1909, рис. 14, № 36; К. В. Тревер, Памятники греко-бактрийского искусства, Л., 1940, с. 99; А. П. Смирнов, «Железный век Башкирии», «Материалы и исследования по археологии СССР», М., т. 58, 1957, с. 86; В. Г. Луконин, Б. И. Маршак, Изучение сасанидского искусства в Государственном Эрмитаже. Тезисы докладов на юбилейной научной сессии, Л., 1964; В. Г. Луконин, Картир и Мани, ВДИ, 1966, № 3, с. 78—79; Б. И. Маршак, Согдийское серебро, М., 1971, с. 79.

¹³ არღამირ I-ის რელიეფები დარაბსა: W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 150—151, სურ. 76—77 და სალმასში: W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 136, სურ. 69; ჰორმიზდ II-ის რელიეფი ნაყში-ი რუსთამში: А. Godard, დასახ. ნაშრ., სურ. 99; E. Porada, The Art of ancient Iran, New-York, 1965, გვ. 205, სურ. 55. W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 218, სურ. 133 ვ; В. Г. Луконин, Культура, с. 115, рис. 18.

¹⁴ სოხუმში დაცული სინის ანალოგიური სცენებია წარმოდგენილი შემდეგ სასანურ თასებზე: ა) ქულახის მეფე ვარაჰრანი — ერმიტაჟის კოლექციიდან: И. А. Орбели, К. В. Тревер, 81
ბ. მუზეუმის მოაბზე, XX XIV — В

ადრესასანური ხანის ტორევეტიკის ძეგლებს შორის გვხვდება რომლებიც შესრულების სტილით და სიუჟეტიტ ენათესავენ იან ერთმანეთს. კომპოზიციისა და სტილისტური დეტალების ზოგიერთი ნიშნის მიხედვით (ცხენის კუნთების, მხედრის ტერფის) სოხუმის მუზეუმში დაცული სინი ახლოს დგას თეირანის მუზეუმის თასთან. მასზე წარმოდგენილ მხედარს ზოგიერთი მეცნიერი აიგივებს შაჰანშაჰ ჰორმიზდ II-თან¹⁵.

ჩაცმულობის ზოგი დეტალი (ტანსაცმლის ნაკეცები, გადმოცემული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებით) და კომპოზიციის ზოგიერთი თავისებურება ანალოგიურია შაჰურ II-ის თასებისა ერმიტაჟის კოლექციიდან და ბრიტანეთის მუზეუმიდან.

ადრესასანური ტორევეტიკის ამ ძეგლების სტილისტური ანალოგიები ამტკიცებენ თასების ქრონოლოგიურ სიახლოვეს და მათ კუთვნილებას წარმოების ერთი ცენტრისადმი. აღმოსავლური ტორევეტიკის სპეციალისტი ბ. მარშაკი სასანურ ტორევეტიკაში გამოყოფს რამდენიმე სკოლის არსებობას, ათარიღებს რა სინს კრასნაია პოლიანადან III საუკუნის III მეოთხედით, მას სასანური ტორევეტიკის განვითარების I ეტაპს მიაკუთვნებს; ქ. თეირანის მუზეუმის თასს და შაჰურ II-ის თასს ერმიტაჟიდან — II ეტაპს, ხოლო ბრიტანეთის მუზეუმის თასს შაჰურ II-ის გამოსახულებით — III ეტაპს¹⁶.

სოხუმის სინზე წარმოდგენილ მხედარს „ოფიციალური პორტრეტისთვის“ დამახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს — ქულახი, ბაბთა, თმის ვარცხნილობა, საყურე, მარგალიტის ფარღული (გულსაკიდი), ტანსაცმლის მორთულობა, რაც მის მეფურ მოდგმაზე მიუთითებს.

სინის გარეთა მხარეზე წყვეტილხაზოვნად შესრულებული პართული წარწერაა, რომელიც გვამცნობს სინის მფლობელის სახელს და თასის წონას (ტაბ. X₂). წარწერა ამოიკითხა ვ. ლუკონინმა. იგი შემდეგნაირად ითარგმნება: „მიეკუთვნება ვარაჰრანს (ან წარმოადგენს ვარაჰრანის კუთვნილებას). 452 დენარი“¹⁷ (ტაბ. X₃). წარწერის დუქტის მიხედვით, ზედწერილი სინის ერთდროუ-

Сасанидский металл, Л., 1935, рис. 4; В. Г. Луконин, Иран в эпоху, рис. XVIII К. Erdman, Die Kunst Irans zur Zeit der Sassaniden, Berlin, 1969, სურ. 62; ბ) იეზიდგერდ I-ის თასი ნადირობის სცენით: Я. Н. Смирнов, დასახ. ნაშრ., № 62; გ) ვარაჰრან V-ის თასი ბრიტანეთის მუზეუმიდან: O. Dalton, The Treasure of the Oxus, London, № 207, გვ. 61—62. დ) იეზიდგერდ II-ის თასი გარეულ ხართან ორთაბრძოლის სცენით: К. Erdman, Die Entwicklung der sasanidischen Krone, «Ars Islamica», v. XV—XVII, 1951, გვ. 104; Б. И. Маршак, Я. К. Крикис, დასახ. ნაშრ., გვ. 63. ე) ფეროზის თასი სამარყანდის მუზეუმიდან ლომსა და ლეოპარდზე ნადირობის სცენით: Б. И. Маршак, Я. К. Крикис, დასახ. ნაშრომი, გვ. 64. ვ) ონაგრზე მონადირე კვადი თეირანის მუზეუმიდან: К. Erdman, Die Entwicklung, გვ. 110; L. V. Berghie, L'archéologie d' Iran ancien, Leiden, 1959, სურ. 5. გ) ფეროზის თასი ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმიდან: E. Herzfeld, Khusräu Parvez und der Taq-i Vastan. «Archaeologische Mitteilungen aus Iran». Bd. IX, Berlin, 1930, სურ. VIII; К. Erdman, Die Kunst., გვ. 63; К. Erdman, Die Entwicklung, გვ. 106; E. Rogada, დასახ. ნაშრ., გვ. 219, სურ. 59; Б. И. Маршак, Я. К. Крикис, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

¹⁵ R. Ghirschman, Notes Iranniennes VI: Une Coupé Sassanide à scène de chasse. «Artibus Asiae», XVIII, გვ. 5—9.

¹⁶ Б. И. Маршак, Я. К. Крикис, დასახ. ნაშრ., გვ. 62—63.

¹⁷ В. Г. Луконин, Иран в эпоху., с. 58.



ლი უნდა იყოს. წარწერიდან ვიგებთ, რომ სინზე უნდა იყოს გამოსახული საყრდენული სახური ირანის შაჰანშაჰის ერთ-ერთი ვაჟი — სახელად „ვარაჰრან“¹⁸.

იკონოგრაფიული ნიშნების მიხედვით სინზე გამოსახულ მხედარს III საუკუნეში უნდა ეცხოვრა. იმ დროს, როგორც ადრე სასანური ხანის ეპიგრაფიული ძეგლებიდანაა ცნობილი (SKZ)¹⁹, ამ სახელს ატარებდა ორი უფლისწული — ირანის მომავალი შაჰანშაჰი ვარაჰრან I (შაპურ I-ის ვაჟი) და ვარაჰრან II (ვარაჰრან I-ის ვაჟი). თასზე სწორედ ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს წარმოდგენილი. შევეცადოთ განვსაზღვროთ ამ ორი მოსაზრებიდან რომელია უფრო დამაჯერებელი.

1. SKZ (სტრიქ. 24) მოხსენებულია შაჰანშაჰ შაპურ 1-ის ოთხი ვაჟი — ვარაჰრანი გილანის მეფე, შაპური — მეშანის მეფე, ჰორმიზდ-არდაშირი — სომხეთის დიდი მეფე და ტახტის მემკვიდრე, ნერსე — ინდოეთის, საკასტანის და ტურესტანის მეფე. ამ საპატიო წოდებებს უფლისწულები ჯერ კიდევ რომთან ომის დაწყებამდე ატარებდნენ. რომაელებზე გამარჯვების აღსანიშნავად შაპურ 1-მა დააარსა „სახელობითი ცეცხლტაძრები“ ('twr w ptn'n — pat nām atūr.)²⁰. ვაჟიშვილებს შორის, რომელთა სახელობითი ცეცხლებიც ავიზგიზდნენ, არაა მოხსენებული ვარაჰრან I. ის მამის სამხედრო ლაშქრობებში არ იღებდა მონაწილეობას. მას ევალებოდა ახლადდაარსებული სასანური იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრებისათვის თვალყურის დევნება.

¹⁸ ამ სიტყვის ეტიმოლოგია ასეთია: ზოროასტრელების წმინდა წიგნში „ავესტაში“, ვერეტრაგნა გამარჯვების ღვთაებაა, რომელიც სდევნის ბოროტ სულს ვერეტრუს. ძვ. სპ. Vr. Qragnahya > Vera Qrayna. პართულ ხანაში ეს საკუთარი სახელი გადაიქცა ვარაჰრანად — Varahrān. VIII—IX სს-ში სპუთალო სპარსული ენა (ფალაური) შეცვალა ახალმა სპარსულმა, რომელმაც გამოიწვია ძველ სიტყვებში თანხმოვან „ვ“-ს შეცვლა „ბ“-თი და ცხვირისმიერი „ნ“-ს „მ“-დ გადაქცევა — ბჰრამ: Bahrām.

* WrQragnahya > Varahrān > Vahrān Bahrān > Bahrām. იხ. ლიტ. F. Justi, Iranisches Namenbuch, Marburg, 1895, გვ. 361. P. G. III т а к е л ь б е р г, Об иранском влиянии на религиозное верование древних армян. Труды восточной комиссии императорского Московского Археологического общества, М., 1901, т. II, с. 1—39, A. Гафуров, Лев и кипарис, М., 1971, с. 59.

¹⁹ SKZ-ზოროასტრის ტაძარი ე. წ. „ზოროასტრის ქაბაბა“.
²⁰ SKZ—21—სტრიქონი W TNH ('yw)
 [A] [ptn'n] NW [R'I] hwsewb shpw hry SM. PWN LNH lwb'n
 [B] W ptn'm KWR' I hwsrwb 'twr'nhyt SM PWN 'twr 'nhyt [MLKT'n MLKT' ZY LNH NYŠH] lwb'n
 [C] [W ptn'm] NWR' [I] hwsrwb 'whrmzd rthštr SM PWN 'whrmzd 'rthštr LB 'MLK 'lmm'n ZY LNH BRHr lwb'n
 [D] W ptn'n 'HRN NWR I hwsrwb šhpw hry ŠM PWN šhpw hry ZY myš'n MLK'ZY LNH BRHr lwb'n
 [E] W ptn'm NWR' I hwsrwb nrshy ŠM PWN., mzdysn nrshy MLK' hndy skst'nw f[h]wrstn W dym'd'by [ZY LNH BRH]r lwb'n
 [A] ერთი საყდარი ცეცხლისა „შაპური“ სახელად, ჩვენი სულის სადიდებლად,
 [B] და ერთი საყდარი ცეცხლისა სახელად „ატურანაპიტ“, ატურანაპიტის სულის სადიდებლად, ჩვენი დედოფალთ-დედოფლისა, ჩვენი ქალიშვილისა, და
 [C] ერთი საყდარი ცეცხლისა სახელად „ჰორმიზდ-არდაშირი“, ჰორმიზდ-არდაშირის სულის სადიდებლად, სომეხთა დიდი მეფისა, ჩვენი ვაჟისა, და
 [D] ერთი საყდარი ცეცხლისა „შაპური“, შაპურის სულის სადიდებლად, მეშანის მეფისა, ჩვენი ვაჟისა.
 [E] და ერთი საყდარი ცეცხლისა სახელად „ნერსე“, არიელის სულის სადიდებლად, მაზდას

გამეფებამდე ვარაპრან I ფლობდა კასპიისპირეთის სამხრეთ მხარეს გილანს და ატარებდა „ვარაპრან გილანის შაჰის“ ტიტულს (wšrpn-gyl'n MLK'). 262—273 წწ.-ში ვარაპრან I-ს ალბათ წილად ზედა ქერმანი, რაზეტ ბრიტანეთის მუხეუმში დაცული ვარაპრანის გემა მიუთითებს. ე. წ. „პერცოგ დევონშირის“ გემს მიაკუთვნებდნენ შაპურ II-ის ვაჟს — ვარაპრან IV-ს. მაგრამ პორტრეტის ხასიათისა და წარწერის ლუქტის მიხედვით, გემა III საუკუნეს უნდა მიეკუთვნოს. წარწერა გემაზე ასე იკითხება: „ვარაპრანი, ქერმანის მეფე, ვაჟი შაპურისა მეფეთ მეფისა“²¹.

გემაზე გამოსახულ ვარაპრანსა და სოხუმის სინის ვარაპრანს შორის დიდი იკონოგრაფიული მსგავსებაა. ორივეს ერთნაირი ფორმის ქულახი ჰხურავთ, თუმცა განსხვავებული მონოგრამებით. სოხუმის თასსა და ბრიტანეთის მუხეუმის გემაზე ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს გამოსახული.

შაპურ I-ის „ქაბა ზოროასტრის“ წარწერის სასანიანთა გვარის სიის მიხედვით, ქერმანის მეფის ტიტული (KRM'N MLK') მხოლოდ შაპანშაპ შაპურ I-ის ვაჟს შეეძლო ეტარებინა.

პირველი სასანიელი მონარქის არდაშირ I-ის დროს ქერმანი სასანიელთა სახელმწიფოს შემადგენლობაში დამოუკიდებელი შაპრის უფლებებით შედიოდა. არდაშირ I-ის სამეფო კარის დიდგვაროვანთა სიაში ქერმანის მეფეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. შაპურ I-ის (ŠKZ) და მაგუპატ ქარტირის წარწერების მიხედვით (KNRU—KSM), III საუკუნის 80-იან წლებში ქერმანი უკვე დამორჩილებული ქვეყნის უფლებებით შედიოდა შაპან-შაჰის დასტაკერტში²².

2. ვარაპრან II დაიბადა 260 წლის შემდეგ (261 წ.), რადგან ŠKZ წარწერაში ის არ არის ნახსენები²³. 276 წელს მას უბოძეს „საკასტანის მეფის“ ტიტული და მმართველობაში გადაეცა პროვინცია, რომელსაც ადრე ბიძამის

თაყვანისმცემელი ნერსესი, მეფისა ინდოეთისა, საკასტანისა და ტურესტანისა, ზღვის სანაპირომდე, ჩვენი ვაჟისა.

W. H e n n i n g, The Great Inscription of Shahpur I, Bulletin of the School of Oriental Studies, London, 1939, v. 9, p. 4, გვ. 845—846.

²¹ F. P a r u c k, Sassanian Coins, Bombay, 1924, გვ. 95; E. T h o m a s, Early Sasanian Inscriptions, Journal of Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, London, 1863, გვ. 110; P. S y k e s, A History of Persia, London, 1930, გვ. 427; A. B i v a r, The personal and Administrative Seals of the Sasanian Period. ირანისტების I კონგრესზე წაკითხული მოხსენება. თეირანი, 1966, როტოპრინტი, გვ. 44. გამეფებამდე ვარაპრან IV იყო „ქუშანების მეფე“; B. Г. Л у к о н н и, Кушано-сасанидские монеты. «Эпиграфика Востока», XVIII, 1967, с. 25, B. Г. Л у к о н н и, Завоевания Сасанидов на Востоке и проблема кушанской абсолютной хронологии. ВДИ, № 2, 1969, с. 35. (380—388 წწ. — ქუშანთა დიდი მეფე, 388—399 წწ. — ირანის მეფეთ-მეფე).

²² მაგუპატ ქარტირის წარწერა სარ-ი მეზხედში (სტრიქონი 17):... ('L) y.m.l...[pr]'c'L pskpwly ptyh(wy)(k)...[']nyr'n štr[y]'twry W mgwy GBR'...sy... [M]RK' [MRK'] [Y] HMT. N(')nd (ywyw?) „ჩემი წყალობით მრავალი ცეცხლი და მოგვები მთელ ქვეყნად... მეშანში, ატრპატენაში, სპაჰანში, რეში, ქერმანში, საკასტანში და ტურანში ფეშავრამდე აყვავებულ იქნენ“; Ph. G i g n o u x, L'inscripton de Kartir à Sar Mashad. Journal Asiatique, CCLVI, fasc. 3—4, 1968, Paris, გვ. 387—418. B. Г. Л у к о н н и, Культура, с. 87.

²³ ვარაპრან II-ის მეფობის დროს ამოიკვეთა 9 რელიეფი, რომლებზეც შაპანშაჰი გამოსახული ოჯახის წევრებთან და სამეფო კარის წარჩინებულებთან ერთად: F. S a r r e, E. H e r z f e l d, Iranische Felsreliefs, Berlin, 1910, გვ. 71—73; E. H e r z f e l d, Archaeological History of Iran, London, 1935, გვ. 87—88; L. V a n d e n B e r g h e, Archaologie de l'Iran ancien, Leiden, 1959, გვ. 73, 74, 80, 83; R. G h i r s h m a n, Parthes et Sassanides, გვ. 170—171, სურ. 212.

ნერსე ფლობდა. ნერსე იყო აღმოსავლეთ ირანის თითქმის ყველა დამორჩილებული შაჰრების მფლობელი²⁴.

ცნობილია, რომ სამეფო ტახტზე ასვლისას — 276 წ. ვარაპრან II 16 წლის იყო. შაპურ I-ის რელიეფზე ნაყმ-ი რაჯაბში მეფეთ მეფის უკან დგას მისი ცოლი (და ქალიშვილი) დედოფალთ დედოფალი ატურანაპიტ და მეფის ოთხი ვაჟი: ვარაპრანი, შაპური, ჰორმიზდ-არდაშირი და ნერსე²⁵. რელიეფის თარიღი დგინდება შაპურ I-ის ტიტულით (262—272 წწ.), სადაც ის მოხსენებულია, როგორც „მეფეთ მეფე ერანისა და არა ერანისა“.

ამ რელიეფზე გამოსახულ საკასტანის მეფის ნერსეს თავსაბურავის ფორმა და ნიშანი განსხვავებულია სოხუმის სინზე წარმოდგენილი მხედრის ქულახისაგან. ამის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სინზე არა გამოსახული საკასტანის მეფე ე. ი. მომავალი შაჰანშაჰი ვარაპრან II.

სინზე წარმოდგენილი უნდა იყოს უფლისწული ვარაპრანი — მომავალი შაჰანშაჰი ვარაპრან I ზ X Z -ის წარწერის თანახმად, 260 წლამდე ვარაპრან I იყო გილანის მეფე. ქერმანის მმართველი ის შეიძლება გამხდარიყო 260—274 წწ-ში. სოხუმის სინზე და ბრიტანეთის მუზეუმის გემზე სწორედ ვარაპრან I უნდა იყოს გამოსახული და თუ განხილულ სინზე ვარაპრან I-ის ნადირობაა აღბეჭდილი, მაშინ ის 260 წლამდე უნდა იყოს დამზადებული და შეიძლება 240—260 წლებით დათარიღდეს.

М. В. ЦОЦЕЛИЯ

САСАНИДСКАЯ ЧАША ИЗ КРАСНОЙ ПОЛЯНЫ

(Таблицы VII—X)

В статье рассматривается раннесасанидская серебряная чаша из с. Красной Поляны, изображавшая сцену охоты наследника престола на медведей. Личность изображенного на чаше всадника вызывает разногласия ученых. В статье сделана попытка установить приблизительную дату изготовления чаши и установить—кто же на ней изображен.

Изображение всадника имеет все характерные черты иконографий раннесасанидского «официального портрета» с инсиглиями власти, на-

გვ. 173, სურ. 214—215; გვ. 184—185, სურ. 225—226; W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 196, 200, სურ. 117—121; 124—126; გვ. 208—214, სურ. 127—133; გვ. 219—223, სურ. 134—135 (ა.ბ.ა.) გვ. 225, სურ. 137—139; L. Vanden Berghe, De Iconographische Betekenissen van Het. Sassanidisch Rotsrelief von Sarab-i Qandil, Brussel, 1973, გვ. 21—22; В. Г. Луконин, Культура., с. 191—194, სურ. 14, 15, 16.

²⁴ ნერსე იყო გამგებელი აღმოსავლეთის პროვინციებისა — საკასტანის, ტურესტანის და ინდოეთის. ცნობილია, რომ 283 წ. ჰორმიზდი — „საკასტანის მეფე“ აუჯანყდა ვარაპრან II-ს ტახტის ხელში ჩაგდებას მიზნით. აჯანყების ჩახშობის შემდეგ საკასტანში მმართველად გაიგზავნა ვარაპრან II-ის ვაჟი — ვარაპრან III.

²⁵ შაპურ I-ის ეს რელიეფი გაშუქებულია შემდეგ შრომებში: E. Thomas, დასახ. ნაშრ., გვ. 60; F. Sarre, E. Herzfeld. დასახ. ნაშრ., გვ. 92—93; L. Vanden Berghe, Archeologie., 26b; R. Grishman. Parthes., გვ. 160; W. Hinz, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142, სურ. 73—74; В. Г. Луконин, Культура., с. 189, სურ. 9.

лицие которых указывает на его царское происхождение. Корона изображенного на чаше персонажа сохраняет все элементы корон сасанидских правителей. На кулахе — два идентичных знака с монограммой в центре. Надпись, сопутствующая чаше, сообщает имя ее владельца — «Варахран», следовательно, в ней может быть упомянут один из царевичей носивших это имя в III веке.

Как известно из раннесасанидских источников, лишь два царевича будущие шаханшахи Ирана Варахран I и Варахран II могут быть изображены на чаше. В надписи Шапура I на «Каабе Зороастра» среди сыновей, которым Шапур I воздвиг «именные огни», Варахран I не упомянут. Он не участвовал в военных походах отца и лишь следил за северо-восточными границами сасанидской империи, которые были завоеваны Шапуром I-ым раньше.

